

აქ

ახლა



თიბისი ლიზინგი

მომავალი წელი

20
20



თბილისი ლიზინგი

მეგობარი ჯერა

სარჩევი

მმართველობითი ანგარიშგება

მიმოხილვა

მოკლე მიმოხილვა	4
2020 წლის ძირითადი მაჩვენებლები	6
გენერალური დირექტორის წერილი	8

კომპანიის ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა	12
ქვეყნის მაკროეკონომიკური მიმოხილვა	13
ბიზნეს სტრატეგია	15
შედეგების ძირითადი მაჩვენებლები	20
ბიზნეს მიმართულებები და მათი მიმოხილვა	24
ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა	32
რისკის მართვა	44
ფინანსური მიმოხილვა	56

მართვა

კორპორაციული მართვა	63
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები	64
კომპანიის მენეჯმენტის ბიოგრაფიები	66

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში	69
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	75
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	76
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	77
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	78
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	80

3IN პართ რ3ინ

ჩვენ ვართ #1 სალიზინგო კომპანია საქართველოში, რომელსაც ქვეყნის სალიზინგო ბაზრის 72% უჭირავს. დღესდღეობით, კომპანია ემსახურება 3000-მდე მომხმარებელს და მისი მართვის ქვეშ 281 მილიონი ლარის მოცულობის პორტფელია.

თიბისი ლიზინგი მომსახურებას უწევს, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ვთავაზობთ მათზე მაქსიმალურად მორგებულ არატრადიციულ ფინანსურ ინსტრუმენტს. თიბისი ლიზინგის სამიზნე აუდიტორია მოიცავს, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს, ისე მსხვილ კორპორაციებს, დამწყებ ბიზნესებს (სტარტაპებს) და ინდივიდუალურ მომხმარებლებს, რომლებსაც მინიმალური თანამონაწილეობისა და უმეტეს შემთხვევაში დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნის გარეშე ვთავაზობთ გაზარდონ საკუთარი საწარმოო სიმძლავრეები და კონცენტრირდნენ მათ ძირითად კომპეტენციაზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, გამოანთავისუფლონ ფულადი სახსრები და მომხმარებლებს დროულად მიაწოდონ მრავალფეროვანი პროდუქციის არჩევანი.



რით განსხვავდებით

სასურველი აქტივის ფლობა აქ, ახლა

აქცენტი სალიზინგო საგანზე (შინაარსზე) და არა თანხაზე;

მართივად და სწრაფად ხელმისაწვდომი ფინანსური პროდუქტი

მარტივი დამტკიცება;
შესაძლებლობა სტარტაპებისთვის;

მიხეილ ქიქოძე

ლიზინგი - როგორც აქტივების დაფინანსების ყველაზე სწრაფი და მარტივი საშუალება.

მისიის შესრულების გზები

- ბაზარზე ლიდერობის შენარჩუნება
- პროდუქტის/ბრენდის ცნობადობის ამაღლება
- სალიზინგო პროდუქტების ასორტიმენტის ზრდა
- პორტფელის ზრდა
- ლიზინგის სერვისების გაციფრულება

მთავარი მიმართულებები

თიბისი ლიზინგი აფინანსებს მოქმედ და დამწყებ ბიზნესებს შემდეგი სფეროებიდან:

- მედიცინა;
- მშენებლობა;
- დეველოპმენტი;
- სერვისი;
- გზების მშენებლობა;
- სოფლის მეურნეობა;
- სადისტრიბუციო ავტომობილები;
- ვაჭრობა;
- HoReCa;
- მსუბუქი მრეწველობა;
- განახლებადი ენერგიები;
- ტექნოლოგიები;
- მედია და ტელეკომუნიკაცია;
- პოლიგრაფია;
- ავტომობილები;

2020 წლის ძირითადი მაჩვენებლები

2020 წელს, მიუხედავად მრავალი სირთულისა, კომპანიამ მოახერხა და სტაბილურად შეინარჩუნა ძლიერი ფინანსური მდგომარეობა. კომპანიის გადაწყვეტილებები და ქმედებები, როგორც ყოველთვის ორიენტირებული იყო, საკუთარი მომხმარებლების კეთილდღეობაზე და მათთვის ცხოვრების გამარტივების მიზანს ემსახურებოდა.

ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში

281 მლნ ლარი

8.3% pp YoY

-3.2 mln

-138.7% pp YoY

წმინდა ბარალი

-8.1%

-35.7 pp YoY

უკუგება საშუალო
კაპიტალზე

-0.8%

-3.4 pp YoY

უკუგება საშუალო
აქტივებზე

52.9%

10 pp YoY

ხარჯების შემოსავალთან
ფარდობა

4.0%

1.6 pp YoY

რისკის ღირებულება

1.7%

-2.1 pp YoY

უმოქმედო სესხები

6.4%

-4.2 pp YoY

წმინდა საპროცენტო
მარჟა

64%

43.7% ^

ANSWERED CALLS

37 SEC.

(Decrease)

AVERAGE CALL
WAITING TIME

68%

26% ^

NPS

85%

EMPLOY HAPPINESS INDEX

53%

24% ^

ENPS

62%

7% ^

FACEBOOK
ENGAGEMENT RATE



“ ვთვლით, რომ საკმაოდ
შედეგიანად დავასრულეთ 2020 წელი.
მოგვიწია სწრაფად გადაგვეწყო
კომპანია ახალ რეალობაზე, არც
ერთი წუთით არ გავჩერებულვართ
და მიუხედავად სირთულეებისა,
ინვესტიციების მხრივაც ამ წელმა
ბევრი სასიამოვნო სიახლე
მოგვიტანა.

წლის შეჯამება

2020 წელი, როგორც ჩვენი კომპანიისთვის, ისე ქვეყნისთვის და მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევებით იყო სავსე. აქამდე ასეთი კრიზისული და კრიტიკული სიტუაციების მართვის არანაირი გამოცდილება არ არსებობდა. მიუხედავად ამ მდგომარეობისა, ვთვლით, რომ საკმაოდ შედეგიანად დავასრულეთ 2020 წელი. სწრაფად მოვახდინეთ ახალ რეალობასთან ადაპტაცია, შედეგად არცერთი წუთით არ გავჩერებულვართ. ამ წელმა ბევრი სასიამოვნო სიახლე მოგვიტანა ინვესტიციების კუთხითაც. მთავარია სწორად დაგვეგმილი, გაწერილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა გქონდეს, რომელიც ჩვენმა გუნდმა წლის დასაწყისშივე შეიმუშავა.

პირველი, რაც მიზნად დავისახეთ, იყო შეგვენარჩუნებინა, როგორც ფინანსური ისე, ემოციური სტაბილურობა და უსაფრთხოება ჩვენი თანამშრომლებისთვის. ასევე, მაქსიმალურად დავვეჭირა მხარი მომხმარებლებისთვის, რაც სალიზინგო გადასახდელების არაერთხელ გადავადების საშუალებით წარმატებით შევასრულეთ.

მთელი კომპანია, პროცესები და პროცედურები უმოკლეს დროში გადავანწყვეთ დისტანციურ რეჟიმზე მუშაობისთვის ისე, რომ ხელი არ შეშლოდა, არც თანამშრომელს და არც, მომხმარებელს. ამ ყველაფრის ფონზე თანამშრომელთა ბედნიერებისა და კმაყოფილების ინდექსმა მოიმატა 24%-ით

მომხმარებელზე ორიენტირებულობა წლის მთავარი აქცენტი იყო, ვცდილობთ ყველა პროცესი ისე დავგვეგმოთ, რომ მომხმარებლისთვის ჩვენი მომსახურება მარტივად გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს, ამისათვის არაერთი სისტემა შევცვალეთ, დავწერეთ, გადავათამაშეთ რესურსები და ეს ყველაფერი მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსშიც გამოისახა, რაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 26%-ით

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს კრიზისი გამოვიყენეთ შესაძლებლობად და ვფიქრობთ, რომ გამოგვივიდა.

ამ პერიოდშიც თიბისი ლიზინგი ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას და აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ წელს ჩვენი კომპანიის, სალიზინგო ასოციაციის ინიციატივითა და ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით, ლიზინგის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში ჩაიწერა. ეს არის უდიდესი მიღწევა ქვეყნისთვის და ამ დარგისთვის, რადგანაც ლიზინგის განვითარება ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების და ზრდის პირდაპირპროპორციულია.

ეს წელი გაჭერებული იყო ისეთი სიახლეებით როგორიცაა ახალი ფინანსური რესურსების მოძიება და კაპიტალის სტრუქტურის დივერსიფიკაცია. ასევე, ეს წელი აღსანიშნავია იმით, რომ გავლენიანმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Fitch Ratings-მა თიბისი ლიზინგს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი „BB-“ მიანიჭა, რაც საქართველოში, არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგია.

გიორგი ჯიქია

თიბისი კაპიტალის მხარდაჭერით კი, საქართველოს საფონდო ბირჟაზე განვათავსეთ 58.4 მილიონი ლარის ოდენობის ობლიგაციები.

გარდა ამ ყველაფრისა, 2020 წელს მოვიზიდეთ არაერთი ინვესტიცია, რომელმაც ჯამში 240 მლნ ლარზე მეტი შეადგინა.

2021 წლის ჩვენი მთავარი გეგმა — არსებული სერვისების გაციფრულება და ჩვენი მომხმარებლისთვის ცხოვრების მაქსიმალურად გამარტივებაა. ვფიქრობთ, ამ შესაძლებლობებით ლიზინგს, როგორც ალტერნატიული დაფინანსების საშუალებას, კიდევ უფრო მიმზიდველს გავხდით ადგილობრივი ბაზრისთვის და დავაინტერესებთ კიდევ უფრო მეტ მომხმარებელს.

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2020 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა კლებამ 6.2% შეადგინა, რაც განპირობებულია გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით. პანდემიის დაწყებიდან დღემდე შემოსავლები ტურისტული სექტორიდან ნულთან ახლოს ნარჩუნდებოდა, თუმცა მეორეს მხრივ ქვეყნის სავაჭრო სალდო დადებითი დინამიკით ხასიათდებოდა. კერძოდ ექსპორტის მაჩვენებელი შემცირდა 12.0%-ით, ხოლო იმავე პერიოდში იმპორტის მოცულობა შემცირდა 15.9%-ით. შედეგად, 2019 წელთან შედარებით სავაჭრო სალდო გაუმჯობესდა 18.8%-ით, რაც დაახლოებით შეადგენს 1 მილიარდ აშშ დოლარს.

ამავდროულად საყურადღებოა, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდამ შეადგინა 8.8%.

წლის განმავლობაში გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე დაფიქსირდა სალიზინგო პორტფელის ზრდა 9.44%-ით.

თიბისი კაპიტალის ბოლო შეფასებების მიხედვით 2021 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის აღდგენა 4.2%-ით, ხოლო 2022 წლისთვის - 6.0%-ის ოდენობით.

მდგრადი ფინანსური მაჩვენებლები

2020 წელს ჩვენმა წმინდა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 15.1 მილიონი ლარი, 36.8%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებული იყო ერთი მხრივ, წლის განმავლობაში აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების 2.7 მილიონი ლარის წმინდა მოდიფიკაციის ზარალით, რაც უკავშირდება ფულადი ნაკადების დაყვანილი ღირებულების შემცირებას, რომელიც წარმოიქმნა მსესხებლებისთვის მიცემული სესხის დაფარვის საშუალებით პერიოდებიდან, ხოლო მეორეს მხრივ, ლიკვიდურობის რისკის შემცირების მიზნით გაზრდილი ფულის და ფულის ექვივალენტების ბალანსით, რომელიც დაფინანსებული იყო სასესხო ვალდებულებებით, რამაც გამოიწვია საპროცენტო ხარჯების ზრდა, თუმცა ამავე დროს განაპირობა კომპანიის მდგრადობა და ფინანსური სტაბილურობა პანდემიის პერიოდის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად, კომპანიის უკუგება კაპიტალზე საკრედიტო ზარალის რეზერვამდე შეადგენდა 19.9%-ს (2019: 46.2%). მიუხედავად შემოსავლების შემცირებისა და გაზრდილი ლიკვიდურობის რისკის ხარჯისა დადებითი შედეგი იქნა მიღწეული, რაც ძირითადად გამოწვეულია ადმინისტრაციული დანახარჯების ეფექტური მართვით, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.1 მილიონი ლარით. აქედან გამომდინარე, 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ხარჯის შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი შეადგინა 52.9%, რაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10.5%-ით.

2020 წელს ჩვენი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენს მსესხებლებზე კოვიდ-19-ის პანდემიის პოტენციური ზემოქმედების დასაფარად, რის შედეგად რისკის საერთო ფასმა სრული წლის განმავლობაში 4.0% შეადგინა, 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2.4%-ს. შედეგად წმინდა ზარალი 2020 წელს 3.2 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო ჩვენი უკუგება კაპიტალზე და უკუგება აქტივებზე -8.1%-ს და -0.8%-ს, შესაბამისად.

ზარალით დასრულებული წლისა და პანდემიის შედეგად მიყენებული ზარალის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ 2020 წლის კაპიტალის მაჩვენებლები კომპანიის შიდა ლიმიტების და კრედიტორების მიერ დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში შეგვენარჩუნებინა, კერძოდ Tier1 და Tier2-ის მაჩვენებლებმა შეადგინა 11.3% და 22.5% , შესაბამისად, რაც 2019 წელს შეადგენდა 12.1% და 21.8%-ს. ზარალით დასრულებული წლისა და პანდემიის შედეგად მიყენებული ზარალის მიუხედავად, ჩვენ მოვახერხეთ 2020 წლის კაპიტალის მაჩვენებლები კომპანიის შიდა ლიმიტების და კრედიტორების მიერ დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში შეგვენარჩუნებინა, კერძოდ Tier1 და Tier2-ის მაჩვენებლებმა შეადგინა 11.3% და 22.5% , შესაბამისად, რაც 2019 წელს შეადგენდა 12.1% და 21.8%-ს.

პერსპექტივა

2020 წელს განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ დიჯიტალიზაცია და ონლაინ სერვისების განვითარება უმნიშვნელოვანესია კომპანიის წარმატების მისაღწევად. შესაბამისად სამომავლოდ იგეგმება და გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები ახალი პროდუქტების შესაქმნელად და ისეთი სერვისების დასაწერად, რომლებიც მომხმარებლებს გაუმარტივებს შესაბამისი სერვისის და ინფორმაციის მიღებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ არა მარტო კლიენტების მხრივ, არამედ კომპანიის თანამშრომლებისთვისაც 2020 წელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან კომპანიამ განიცადა ტრანსფორმაცია და მაქსიმალურად მოერგო თანამშრომლების მოთხოვნებს და მათი უსაფრთხოება პირველ ადგილზე დააყენა. ერთის მხრივ, აღნიშნული პროცესები დაგვეხმარა უწყვეტ რეჟიმში მიგვეწოდებინა სერვისები, ხოლო მეორეს მხრივ, გაუმარტივა ცხოვრება ჩვენს თანამშრომლებს და მეტი მოქნილობა მისცა მათ დაებალანსებინათ პირადი და საქმიანი ცხოვრება.

გენერალური დირექტორი
გაიოზ გოგუა

28 მაისი 2021



გიორგი ჯიქა


კომპანიის საქმიანობა

თიბისი ლიზინგი 2003 წელს დაარსდა და დღეის მდგომარეობით 2,846 მუდმივ მომხმარებელს ემსახურება. კომპანიის საბაზრო წილი 72%¹-ს შეადგენს და მისი მართვის ქვეშე 281 მილიონი ლარის მოცულობის პორტფელია.

ლიზინგი, როგორც დაფინანსების ინსტრუმენტი საუკეთესო საშუალებაა, როგორც დამწყები, ისე ბაზარზე დამკვიდრებული კომპანიებისთვის. ლიზინგის დახმარებით, ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ მინიმალური თანამონაწილეობისა და დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე გაზარდონ საწარმოო სიმძლავრეები და კონცენტრირდნენ ძირითად კომპეტენციაზე, რათა მომხმარებლებს უფრო სწრაფად და ხარისხიანად შესთავაზონ საკუთარი პროდუქცია თუ მომსახურება, აღნიშნული კი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

ბაზრის წილი 2020

- თიბისი ლიზინგი
- საქართველოს სალიზინგო კომპანია
- სხვა



ქვეყანაში, სხვა ფინანსურ პროდუქტებთან შედარებით, ლიზინგის დაბალი ცნობადობიდან გამომდინარე, 2020 წლის დასაწყისიდან, კომპანიის გუნდმა მიზნად დაისახა ლიზინგის პოპულარიზაცია, რათა არსებული და პოტენციური მომხმარებლებისთვის ნათლად დაენახებინა აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტის შინაარსი და მისი რეალური უპირატესობები.


¹ ლიზინგის ასოციაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით

გიორგი ჯიქა

ქვეყნის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2020 წელს -6.2%² შეადგინა, რაც განპირობებულია პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ეკონომიკური ინდიკატორების საბაზისო სცენარის მიხედვით, 2021 და 2022 წლებში მოსალოდნელია მშპ-ს რეალური ზრდა 4.3%³ და 5.8%-ის ოდენობით, რაც მეტწილად შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2021 - 3.5%, 2022 - 5.8%)⁴ და თიბისი კაპიტალის (2021 - 4.2%, 2022 - 6.0%)⁵ ანალოგიურ საპროგნოზო მაჩვენებლებთან.


რეალური მშპ-ის ზრდა (%)



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა საქონლის სავაჭრო სალდო, რაც განპირობებულია პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე ადგილობრივი მოთხოვნის და იმპორტის ჭამური მაჩვენებლის 15.9%-ით, ხოლო საქონლის ექსპორტის 12%-ით შემცირებით. თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ (84%) განაპირობა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუარესება.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მშპ-ის %)



წყარო: სტბ, საქსტატი


² წყარო - www.geostat.ge

³ https://www.mof.ge/images/File/2021-biujeti/12-01-2021/1.%202021%20BD%20Tables%20sen%2020_1_new_BDD_LEPL.pdf

⁴ <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021>

⁵ www.tbccapital.ge

შემოდინებათა ზრდა და იმპორტი (წ/წ, %)




* შენიშვნა: 2020 წლის მე-4 კვარტალში ინვესტიციების შემცირების მთავარი მიზეზი რამდენიმე საწარმოს რეზიდენტის მფლობელობაში გადასვლა იყო, რაც არ იყო დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინებასთან, თუმცა ინვესტიციები დაახლ. 295 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა. ამ კომპონენტის შესწორებით პირდაპირი ინვესტიციები 30.5%-ით დაეცა, შესწორების გარეშე კი - 52.9%-ით

წყარო: სებ, საქსტატი

შემცირებული ტურისტული აქტივობის ფონზე სავალუტო ნაკადების კლებამ, თავის მხრივ, გაზარდა წნეხი ეროვნულ ვალუტაზე გაუფასურების მიმართულებით, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის თანმიმდევრულმა მონეტარულმა პოლიტიკამ და საჭირო მოცულობით განხორციელებულმა დროულმა სავალუტო ინტერვენციებმა ხელი შეუწყო საანგარიშო პერიოდის ბოლოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასტაბილურებას. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 2.4% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს მთავრობის კომუნალური სუბსიდირების პროგრამის ამოქმედებით

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ინფლაცია



წყარო: სებ

Handwritten signature

ბიზნეს სტრატეგია

კომპანიის გრძელვადიანი განვითარების გეგმა მოიცავს 4 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას:

1-ლიზინგის ცნობადობის ამაღლება და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა

2019 წელს თიბისი ლიზინგში ჩატარდა არაერთი კვლევა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ნათლად დაგვეჩვენა კომპანიის იმჟამინდელი პოზიციონირება და თუ რა მიმართულებით უნდა გავვეძლიერებინა მუშაობა ან რაზე გავვეკეთებინა აქცენტი.

მთავარი, რაც გუნდმა უპირველეს პრობლემად მიიჩნია, იყო ლიზინგის, როგორც პროდუქტის ცნობადობა. როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის გაუგებარი ან ბუნდოვანი იყო ლიზინგის შინაარსი. დაკვირვების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ბევრი ლიზინგს ავტოსესხთან აკავშირებდა, ან უბრალოდ არ აღიქვამდა მას, როგორც ფინანსურ ინსტრუმენტს.

აქედან გამომდინარე, 2020 წელს, საკომუნიკაციო გუნდმა მთავარ მიზნად ლიზინგის ცნობადობის ამაღლება დაისახა და მთავარი აქცენტი საგანმანათლებლო მიმართულებაზე გააკეთა.

მიზნის მისაღწევად, ავითვისეთ სხვადასხვა არხები, ვიყენებდით სამიზნე აუდიტორიისა და თემის შინაარსზე მორგებულ რეკლამის ფორმატებს. ლიზინგის სხვადასხვა უპირატესობის აღსაწერად შევქმენით ვიდეომიმართულება, რომლის ფარგლებშიც ჩვენი თანამშრომლები მარტივად და მოკლედ განიხილავდნენ საკითხს. ამ ვიდეოების მიზანი იყო მომხმარებლებისთვის გაეძარწყლებინა აზრი, რომ ლიზინგი რთული პროდუქტია და მარტივ, ყველასთვის გასაგებ ენაზე დაენახებინა ამ ფინანსური ინსტრუმენტის უპირატესობა.

2020 წლის განმავლობაში, კომერციული შინაარსის პოსტებიც ლიზინგის ცნობადობის გაზრდას ემსახურებოდა. კერძოდ, მოქმედებისკენ მიმართული პოსტები ლიზინგის სხვადასხვა მიმართულებას შევუსაბამეთ და ამ მხრივ, მომხმარებლებს ვაწოდებდით ინფორმაციას, თურისთვის შეეძლოთ ლიზინგის გამოყენება. პოსტები აერთიანებდა ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამკერვალო, სტომატოლოგიური კაბინეტი, რძის პროდუქტების წარმოება და სხვა.

ასევე, ცნობადობის ამაღლებას ემსახურებოდა ჩვენი მომხმარებელი კომპანიების შესახებ გადაღებული ვიდეოები, რომლებიც მაღალი ცნობადობითა და ნდობით სარგებლობდნენ და სწორედ ამით უსვამდნენ ხაზს ჩვენი პროდუქტის გამოყენების შესაძლებლობებსა და ამავედროულად კომპანიის სანდოობას.

ავტომოტივის მიმართულებით გაიზარდა ისეთი აქციების რაოდენობა, რომელთა შინაარსიც კიდევ უფრო და უფრო მეტ მომხმარებელს დაინტერესებდა და ამ გზით აწევდა ცნობადობის მაჩვენებელს.

წლის ბოლოს, გაძლიერებულმა კომუნიკაციამ ერთი-ორად გაზარდა რეკლამის შედეგები:

2019	2020	%
REACH	REACH	
1,309,663	2,460,171	87,8% ▲
TOTAL INTERACTIONS	TOTAL INTERACTIONS	
16,937	104,902	519,4% ▲
(Reactions, comments, shares)	(Reactions, comments, shares)	
POST ENGAGEMENT	POST ENGAGEMENT	
697,560	2,289,846	228,3% ▲
Total actions	Total actions	
ENGAGEMENT RATE	ENGAGEMENT RATE	
55%	62%	12,7% ▲

მომდევნო წლებში კომპანია კვლავ გეგმავს მსგავსი პროგრამების საშუალებით ლიზინგის ცნობადობის ამაღლებას და მომხმარებელთა ჩართულობის ზრდას.

2-მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლება

გარდა საკომუნიკაციო არხებში გააქტიურებისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა. ამ კუთხით, კვლევის ჩატარებისას მივიღეთ კონკრეტული მესიჯები, თუ რა საკითხების გამოსწორება იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი და სწორედ ამ უკანასკნელით დავიწყეთ მუშაობა. მაგალითისთვის, მომხმარებლების თქმით, კომპანიას პრობლემა ჰქონდა სატელეფონო კავშირზე, ამიტომ შეიქმნა შემომავალი ზარების სისტემა – ცენტრალიზებული ქოლცენტრი, საიდანაც დღეს უკვე ხდება როგორც არსებული, ისე ახალი მომხმარებლის გადამისამართება კონკრეტულ დეპარტამენტებთან.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის შედეგების მიხედვით, შემოსული და ნაპასუხები ზარების რაოდენობა გავაუმჯობესეთ 43.7%-ით. ასევე, ზრდა გვაქვს შემომავალი ზარების მოლოდინის დროზე, რომელიც 37 წამით გაუმჯობესდა.

დამატებით, შეიქმნა სავალდებულო პროცედურები თითოეული მომხმარებლის საკითხის უკუკავშირისთვის, შემუშავდა მომხმარებლებთან კომუნიკაციის გაიდლაინები და Q/A დოკუმენტები.

ასევე, შიდა და გარე მომხმარებლის ცხოვრების გამარტივებისთვის, შევიმუშავეთ შეტყობინებების ავტომატური გენერირების სისტემა. დაიხვეწა როგორც მესიჯ ბოქსი, ასევე ინფორმაციის მიწოდების შინაარსი და სტრუქტურა.

ავტომატურ რეჟიმში მომხმარებელთან იგზავნება ლიზინგის ყოველთვიური გადასახადის შესახებ შემახსენებელი შეტყობინებები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებები, ტრანზაქციები და ა.შ.

კვლევა

2020 წლის მანძილზე, ჩვენი მომხმარებლების ლოიალურობისა და მათი ცხოვრების გამარტივების გზების მოსაძებნად ჩატარდა NPS და Customer Journey კვლევები.

NPS

2020 წლის შედეგების შესაჯამებლად, კორპორატიულ და SME მომხმარებლებისთვის ჩატარდა NPS კვლევა.

NPS ქულა – **68**

Customer Journey - ეს კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს 360 გრადუსით დავინახოთ და შევაფასოთ კომპანიაში არსებული პროდუქტები და მომსახურებები. შეფასებები ხდება არამართო გარე, არამედ შიდა მომხმარებლის მხრიდან. კვლევის შედეგები გვიმარტივებს სწორად დავინახოთ და დავაპრიორიტეტოთ მომსახურების გაუმჯობესების გზები.





3-ციფრული ტექნოლოგიების განვითარება

2020 წელს შემუშავდა გეგმა, თურაიყოის ციფრული აქტივობები, რომელთა ხორცშესხმაზეც უნდა დაგვეწყომუშაოება. დაიგეგმა როგორც გარე, ისე შიდა ტექნოლოგიური ცვლილებების დანერგვა, რაც არა მარტო მომხმარებელს გაუმარტივებდა ცხოვრებას, არამედ თანამშრომლებს გაცილებით ეფექტურად მუშაობის საშუალებას მისცემდა. შიდა ტექნოლოგიების გაუმჯობესებით კომპანიას ექნებოდა ხელსაწყო, რომელიც გაზომავდა რიგი ქმედებების ეფექტურობას.

დაინერგა CRM, რომლის რეალიზაციის ეფექტი გაყიდვის ეტაპების სისტემატიზაციაში მდგომარეობს. CRM-ის ხარჯზე უმჯობესდება ლიზინგის მენეჯერისა და სექტორის მხრიდან გაყიდვების ეფექტურობა, რადგან ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს ვმართოთ თითოეული პროექტი გაყიდვამდე, ვმართოთ ფაიფლაინი დინამიურად, ვამონიტორინგოთ გაყიდვამდე პროცესი, დავითვალოთ და გავაანალიზოთ წაგების მიზეზები და პორთფელის მართვა შევძლოთ გაყიდვების ეტაპების ქრილში, ხოლო ფაიფლაინი გავაანალიზოთ თანხობრივი და რაოდენობრივი კონცეტრაციებით. CRM ამჟამად განვითარების ეტაპზეა.

შეიქმნა ყოველდღიური დინამიური ანალიზის სისტემა კომერციული მიმართულებით, რომლის დახმარებით შედეგად უნდა მივიღოთ Live ანალიზის და მონიტორინგის საშუალება, რომელიც ასევე განვითარების ეტაპზეა. შიდა მომხმარებლების კმაყოფილებისთვის გაკეთდა ინტერნეტი, რომლის ფარგლებშიც გავაციფრულებთ თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია, შევქმენით პირადი პროფილები და მათთვის რიგი ქმედებები გავამარტივეთ. შეიქმნა სივრცე, სადაც შიდა მომხმარებლისთვის თავმოყრილია ყველაფერი კომპანიის შესახებ. ტექნოლოგიების გამოყენებით კი თანამშრომლები ყველაფერს ერთ სივრცეში ხედავენ და აღარ უნევთ სხვადასხვა საკითხის გარკვევა მეილის დახმარებით.

გარდა კომპანიის შიგნით განხორციელებული ტექნიკური ცვლილებებისა, დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიო გაციფრულდა, კომპანიების მომსახურების ხარისხის შესანარჩუნებლად საჭირო გახდა პროდუქტების გაციფრულებაზე ზრუნვა. თუ აღრე ეს დამატებით უპირატესობად ითვლებოდა, დღეს ციფრული პროდუქტები მომსახურების ხარისხიანობის აუცილებელი კომპონენტი გახდა.

თავის მხრივ, თიბისი ლიზინგმა მიზნად დაისახა ლიზინგი ციფრული პროდუქტი გამხდარიყო, რაც პირდაპირპროპორციულად, კიდევ უფრო გაზრდიდა მომხმარებელთა კმაყოფილებას. მსგავსი ცვლილების გაკეთება მოკლე დროში ვერ განხორციელდებოდა, თუმცა 2020 წელს დავინწყეთ დაგეგმვა ამ პროცესების ასამოქმედებლად. შეიქმნება კლიენტის პორტალი, რომელიც გაზრდის პორტფელის მართვის ეფექტიანობას. გაუმჯობესდება მომხმარებლებთან საოპერაციო საკითხებზე კომუნიკაციის მეთოდი, შევთავაზებთ მათ დამატებით სერვისებს. ამასთან, დავზოგავთ ლიზინგის მენეჯერების რესურსს კომუნიკაციური და საოპერაციო კუთხით და შესაძლებელი გახდება აქციებისა და შეთავაზებების მიზნობრივი გავრცელება ჩვენს ეკოსისტემაში. ბიზნეს დეველოპმენტის ნაწილი მოიცავს გაყიდვების ახალ მოდელს. ეს იქნება განცხადებების ონლაინ მიმღები პლატფორმა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება შემოსული განცხადებების ავტომატური განხილვა და წინასწარ შემუშავებული პირობებით ლიზინგის დამტკიცება.

4-სალიზინგო აქტივების ადგილობრივი და საერთაშორისო მომწოდებლების ყველაზე ფართო ქსელის შექმნა

კომპანიის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად რჩება სალიზინგო აქტივების მომწოდებლებთან აქტიური თანამშრომლობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის მასშტაბით მომწოდებლების ყველაზე ფართო ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, რაც საბოლოოდ ემსახურება ლიზინგის კიდევ უფრო მიმზიდველ პროდუქტად ჩამოყალიბებას.

ლიზინგის, როგორც პროდუქტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივის ხარისხი, სანდოობა, მრავალფეროვნება, სწრაფად ხელმისაწვდომობა და ფასი. ჩვენ, როგორც ქვეყნის სალიზინგო ბაზრის მთავარი მოთამაშე, მთავარ ღირებულებას ვქმნით იმით, რომ ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მომწოდებლებთან, რაც საშუალებას გვაძლევს კლიენტის მოსვლამდე წინასწარ გვეჩონდეს ცოდნა სხვადასხვა ტიპის აქტივზე, შედეგად ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ მათი ბიზნესისთვის საჭირო სალიზინგო პროდუქტებს, ხოლო ჩვენს მომწოდებლებთან ხანგრძლივი და სტაბილური

თანამშრომლობა საშუალებას გვაძლევს სალიზინგო აქტივები შევთავაზოთ კონკურენტულ ფასად.

ბაზარზე ჩვენი კომპანიის მიმზიდველობას განაპირობებს სხვადასხვა ტიპის აქტივზე ინფორმაციისა და ცოდნის აკუმულირება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვაქვს შესაძლებლობა ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ აქტივების ექსპერტიზა. ამის საშუალებას გვაძლევს კომპანიის აქტივების მართვის დეპარტამენტი, რომელიც აერთიანებს თანამშრომელთა გუნდს, რომელთა კომპეტენციაც მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივის მახასიათებლების დეტალურ ცოდნას.

ამასთან, ჩვენი აქტივების მართვის გუნდის მაღალი პროფესიონალიზმი და გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გვექონდეს ინფორმაცია სხვადასხვა აქტივის სრულ სასიცოცხლო ციკლზე და წარმოგვჩვენა გვექონდეს თუ რომელი აქტივი როგორი მოხმარების პირობებში როგორ ფუნქციონირებას ექვემდებარება და შედეგად დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს მათთვის საჭირო აქტივის სწორად შერჩევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი საკვანძო საკითხები საერთო ჯამში საშუალებას გვაძლევს კლიენტს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოვემსახუროთ. ერთ სივრცეში და დროში შევთავაზოთ მისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე არსებული აქტივი ან აქტივები, შესაძლებლობა მივცეთ შეისყიდონ აქტივები სხვადასხვა მომწოდებლისგან და რაც მთავარია მივაწოდოთ სრული ინფორმაცია და ექსპერტიზა სხვადასხვა ტიპის სალიზინგო აქტივებზე.



შედეგების ძირითადი მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

წინა წლებთან შედარებით 2020 წელს კომპანიის წმინდა მოგება შემცირდა, რაც განაპირობა 2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობის შენელებამ და პანდემიასთან დაკავშირებით შესაძლო საკრედიტო დანაკარგების გამო სალიზინგო პორტფელის რეზერვის დონის გაზრდამ. ამასთან, 2020 წელს კომპანია ორიენტირებული იყო მომხმარებელთა მხარდაჭერაზე, რისთვისაც ჩაერთო საშელავათო პროგრამაში, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის წმინდა მოგებაზე და შესაბამისად, 2020 წლის მომგებიანობის მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით გაუარესდა. თუმცა 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ შეძლო სალიზინგო პორტფელის მართვა და შენარჩუნება, ასევე 2021 წლის დაგეგმილი ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების ხარჯზე კომპანია მოელის პორტფელის ზრდის ტემპის გაუმჯობესებას.

წმინდა ზარალი / მოგება



წმინდა საპროცენტო მარჟა




უკუგება საშუალო კაპიტალზე



უკუგება საშუალო აქტივებზე




რისკის ღირებულება



უმოქმედო სესხები



ხარჯების შემოსავალთან ფარდობა



FITCH RATINGS-მა თიბისი ლიზინგს საკრედიტო რეიტინგი „BB-„ მიანიჭა

გავლენიანმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Fitch Ratings-მა თიბისი ლიზინგს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი „BB-„ მიანიჭა.

Fitch-ის მინიჭებული რეიტინგი ასახავს კომპანიის რეალურ საკრედიტო რისკს და მისი მოპოვება ნიშნავს მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული სტანდარტის ქვეშ მოქცევას.

2020 წლის ბოლოს, Fitch-მა თიბისი ლიზინგს ქართულ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგი „BB-“ შეუნარჩუნა.

რთული და გამოწვევებით სავსე წლის შემდეგ, საკრედიტო რეიტინგის შენარჩუნება დასტურია იმისა, რომ ჩვენი კომპანია ფინანსურად მდგრადია, სწორი სტრატეგიული ხედვა აქვს და სწორი მიმართულებით ვითარდება. ეს ყველაფერი კრედიტორებისა და აქციონერებისთვის ნდობის საწინდარია, ჩვენთვის კი, საშუალება ორიენტირის ავიღოთ მომხმარებლის საჭიროებებისკენ.

FITCH RATINGS-მა თიბისი ლიზინგს

BB- შეუნარჩუნა

ყველაზე მაღალი რეიტინგი არასაბანკო
ფინანსურ ინსტიტუტებს შორის

საოპერაციო მაჩვენებლები

2020 წელს შედეგების გაუმჯობესების მხრივ, ერთ-ერთი მთავარი აქცენტი გავაკეთეთ მომხმარებლებთან ინტეგრაციაზე, მათ კმაყოფილებასა და ამ ყველაფრის გამოკვლევაზე.

იმისთვის, რომ გაგვეგო თიბისი ლიზინგის მომხმარებლების ლოიალურობის დონე, თუ რა უმარტივეს მათ ცხოვრებას და ჩვენი მომსახურებაც ამაზე დაყრდნობით დაგვეხვეწა, 2020 წლის მანძილზე ჩავატარეთ NPS და Customer Journey კვლევები.

NPS

NPS კვლევა ჩვენს კორპორატიულ და SME მომხმარებლებისთვის.

ქულა - **68**

CUSTOMER JOURNEY

აღნიშნული კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს 360 გრადუსით დავინახოთ და შევაფასოთ კომპანიაში არსებული პროდუქტები და მომსახურებები. შეფასებები ხდება არამართო გარე, არამედ შიდა მომხმარებლის მხრიდან. კვლევის შედეგები გვიმარტივებს სწორად დავინახოთ და დავაპრიორიტეტოთ მომსახურების გაუმჯობესების გზები.

აქვე უნდა ვახსენოთ შიდა მომხმარებლების კმაყოფილება, რომელშიც ჩვენი თანამშრომლები მოიაზრებიან. მათი ბედნიერების გასაზომად ასევე ჩავატარეთ კვლევა.

EMPLOY HAPPINESS INDEX

SMS კონფიდუციალობა

შიდა და გარე მომხმარებლის ცხოვრების გამარტივებისთვის, შევიმუშავეთ შეტყობინებების ავტომატური გენერირების სისტემა. დაიხვეწა როგორც მესიჯ ბოქსი, ასევე ინფორმაციის მიწოდების შინაარსი და სტრუქტურა.

ავტომატურ რეჟიმში მომხმარებელთან იგზავნება ლიზინგის ყოველთვიური გადასახადის შესახებ შემახსენებელი შეტყობინებები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებები, ტრანზაქციები და ა.შ.

ქოლცენტრი

ჩვენი მომხმარებლების უკეთესი მომსახურებისთვის შეიქმნა ცენტრალიზებული ქოლ-ცენტრი, საიდანაც ხდება, როგორც არსებული, ასევე ახალი მომხმარებლების საკითხების გადამისამართება შესაბამის მიმართულებებთან.

2020 წლის ქოლ ცენტრის შედეგების მიხედვით, დღეში საშუალოდ ვპასუხობთ შემოსული ზარების 64%-ს.

2020
Answered: **64%**
Unanswered: **36%**

2019
Answered: **20.3%**
Unanswered: **79.7%**

გარდა ამისა, დაიწია შემომავალი ზარის მოლოდინის დრომ:

AVERAGE CALL WAITING TIME:

2020: **40 sec.** 2019: **77 sec.**

შეიქმნა სავალდებულო პროცედურები თითოეული მომხმარებლის საკითხის უკუკავშირზე, შემუშავდა მომხმარებლებთან კომუნიკაციის გაიდლაინები და Q/A დოკუმენტები.

ბიზნეს მიმართულებები და მათი მიმოხილვა

ჩვენი მომხმარებლები

თიბისი ლიზინგს არ აქვს გამოყოფილი ცალკეული ბიზნეს მიმართულებები, თუმცა მომხმარებელთა ფართო სპექტრს ემსახურება და მოიცავს, როგორც მცირე, საშუალო და კორპორატიული ბიზნესების, ასევე საცალო და ინდივიდუალური პირების დაფინანსებას და ეხმარება მათ ფინანსური საქმიანობისა და გაფართოების მიზნით. ჩვენი კლიენტების მოღვაწეობის არეალი ქართული ეკონომიკის ყველა დარგს მოიცავს, რაც ჩვენი კომპანიისთვის წარმოადგენს, როგორც შესაძლებლობას ისე გამოწვევას.

თიბისი ლიზინგი ძირითადად აფინანსებს კომპანიებსა და სტარტაპებს შემდეგი სფეროებიდან: **მედიცინა, მშენებლობა, დეველოპმენტი, სერვისი, გზების მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, HoReCa, მსუბუქი მრეწველობა, განახლებადი ენერგია, ავტომობილები, ტექნოლოგიები, მედია და ტელეკომუნიკაცია და პოლიგრაფია.**


ჩვენს კომპანიას გააჩნია სალიზინგო აქტივების მომწოდებლების ყველაზე ფართო ქსელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც მოიცავს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მომწოდებლებს, რომლებთანაც კომპანიას ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აკავშირებს. ამავდროულად, კომპანიაში დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე ჩვენს კლიენტებს ვთავაზობთ მათ ბიზნეს საქმიანობაზე მორგებულ სალიზინგო პროდუქტებს, რომელიც შეესაბამება მათი მოღვაწეობის ბიზნეს ინდუსტრიას და ასევე მათ მიერ შერჩეულ სალიზინგო აქტივს. აღნიშნული სალიზინგო პროდუქტების შეთავაზება ხდება მთელი საქართველოს მასშტაბით, მის ყველა რეგიონში, როგორც კომპანიის, ისე თიბისი ბანკის ფილიალებში, ასევე მომსახურების ცენტრი მდებარეობს თბილისში, კომპანიის სათაო ოფისში.

ლიზინგის საკრედიტო დეპარტამენტი შედგება სამი სექტორისგან, რომლებიც მიმართულებებს ინაწილებენ შემდეგნაირად: **სამედიცინო სექტორი** კურირებს, როგორც სამედიცინო, ისე სერვისისა და ტექნოლოგიების, მედია-ტელეკომუნიკაციებისა და პოლიგრაფიის სფეროს. **აგრო და ინდუსტრიული სექტორი** პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობასთან, წარმოებისა და სადისტრიბუციო მანქანებთან დაკავშირებულ პროექტებზე, **სამშენებლო განყოფილება** ემსახურება დეველოპმენტსა და გზების მშენებლობაში მოღვაწე კომპანიებს.

2020 წლის მანძილზე, გლობალური პანდემიის პირობებში კომპანიამ შეძლო მცირე, საშუალო და კორპორატიული ბიზნეს პორტფელის მოცულობის შენარჩუნება, რომელიც ბოლო 3 წლის მანძილზე წლიურად საშუალოდ 16%-ით იზრდებოდა და 2020 წლის ბოლო მდომარეობით 213 მლნ ლარს შეადგენდა. კომპანია ჯამურად 575 ბიზნეს კლიენტს ემსახურებოდა. ამასთან ერთად მიმდინარე გამოწვევების ფონზე კომპანიამ ბევრი საინტერესო სიახლე განახორციელა.


კორპორატიული კორტჟული ინდუსტრიების მიხედვით

- საგზაო-სამშენებლო
- ჯანდაცვა
- სერვისი
- სამშენებლო
- სოფლის მეურნეობა
- ენერგეტიკა
- წარმოება
- ტრანსპორტი და ლოჯისტიკა
- უძრავი ქონების დეველოპმენტი
- ვაჭრობა
- ტელეკომუნიკაცია
- რესტორნები და სწრაფი კვება
- საცალო
- დისტრიბუცია



კორპორატიული კორტჟული აქტივის ტიპების მიხედვით

- საგზაო-სამშენებლო ტექნიკა
- მანქანები
- სამედიცინო აღჭურვილობა
- სხვა
- სამშენებლო ტექნიკა
- სატვირთო მანქანები
- საბეჭდი მანქანები
- ავტო
- სადისტრიბუციო მანქანები
- ავტობუსები



ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნიდან და კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, აქტიურად დავიწყეთ ახალი პროდუქტების დამუშავება, რომელიც დაეხმარება ენერგო ეფექტური აქტივების დაფინანსების მოცულობის გაზრდას და ასევე განახლებადი ენერგიის წარმოების დაფინანსებას. ამ მიმართულებით კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან როგორცაა Finance in Motion, EBRD და FMO.

თიბისი ლიზინგის ინდივიდუალური და საცალო მიმართულება ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და სწრაფად მზარდია კომპანიაში, რომელიც ძირითადად მოიცავს ახალი, მეორედი იმპორტირებული და მეორადი ადგილობრივი ავტომობილების დაფინანსებას, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის. თიბისი ლიზინგი თანამშრომლობს საქართველოში წარმოდგენილ ყველა ოფიციალურ ავტო ცენტრთან და ავტო დილერთან, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ კლიენტებს მათი პრეფერენციებიდან გამომდინარე მათთვის მისაღები ავტომობილის მოდელი შევთავაზოთ. თუმცა, ჩვენს მომხმარებლებს ასევე საშუალება აქვთ ისარგებლონ ოფიციალური იმპორტიორი კომპანიების სერვისით და ამერიკიდან, ევროპიდან ან იაპონიიდან გამოიწერონ მათთვის სასურველი მეორადი ავტომობილი ან სხვა შემთხვევაში ადგილობრივად მოიძიონ მსგავსი მოდელი. აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ თბილისის, რუსთავის და ბათუმის ფილიალებში.

2020 წლის მანძილზე კომპანიამ 545 ახალ მომხმარებელს საშუალება მისცა ავტომობილის ლიზინგით ესარგებლა და 30 მლნ ლარის მოცულობის სალიზინგო პორტფელი დააფინანსა.

ციფრულ სერვისებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად კომპანია აქტიურად ავითარებს მომსახურების ალტერნატიულ არხებს ვებ და მობილურ პლატფორმებზე. ამ მიზნით სულ მალე იგეგმება ახალი ონლაინ პლატფორმის გაშვება, რომელიც კიდევ უფრო გაადვილებს მომხმარებლებთან ურთიერთობას და საშუალებას მისცემს მათ დისტანციურად იქონიონ წვდომა მრავალფეროვან სალიზინგო პროდუქტებზე.

54%

ბაზრის წილი ახალ მანქანების გაყიდვებში*

24.1%

ავტომობილის წილი მთლიან პორტფელში

2004

რითეილის კლიენტების რაოდენობა

ლიზინგის განახლებული ავტომათა ვაზაზები

თიბისი ლიზინგში ავტომობილის მიმართულება ემსახურება არა მარტო იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირებსაც, შესაბამისად, მოთხოვნა კიდევ უფრო დიდია.

მოთხოვნის გასაზრდელად 2020 წელს ჩვენ შევცვალეთ შეთავაზების ფორმატები და დავხვეწეთ ისინი, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, მომხმარებლებს კიდევ უფრო მეტი მათზე მორგებული შეთავაზება გავუკეთეთ.

მომხმარებელს შეეძლო 2020 წლის ნებისმიერ პერიოდში საქართველოს რომელიმე ცენტრში ლიზინგის სპეციალური შეთავაზებით ესარგებლა, ასევე, კომპანიას მსხვილი აქციები ჰქონდა შემდეგ ბრენდებზე: Hyundai, Jaguar, Toyota, Mazda, Ford. ამასთან, მსხვილი აქციები ჰქონდა, როგორც სხვა ნებისმიერი ბრენდის ავტომობილებზე, ისე კონკრეტულ მოდელებზე.

2020 წლის ბოლოს თიბისი ლიზინგმა მომხმარებლებს შესთავაზა მასშტაბური აქცია, რომელიც კომპლექსურად გაშუქდა. აქციის ფარგლებში, ავტომობილის შეძენით დაინტერესებულ მომხმარებელს შეეძლო საქართველოს ნებისმიერ ავტოცენტრში ავტომობილი 30 წუთში შეეძინა.

პანდემია 2020

ეს წელი ყველა კომპანიის მსგავსად თიბისი ლიზინგისთვისაც გამოწვევებით იყო სავსე. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო კომპანიის ახალ რეალობაზე გადაწყობა მაქსიმალურად სწრაფად მომხდარიყო.

ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში და ლიზინგის შენატანზე სამთვიანი საშელავათო პერიოდი შევთავაზეთ ყველა ფიზიკურ პირს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს მსესხებელს და ასევე, ყველა ბიზნესს, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობდა, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრით ხასიათდებოდა. ეს იყო ნაბიჯი ჩვენი მხრიდან, რათა პანდემიის პირობებში ჩვენი მომხმარებლებისთვის ცხოვრება გაგვემარტივებინა.

საშელავათო პერიოდი შეეხებოდა, როგორც ლიზინგის ძირს, ისე მის პროცენტს და გულისხმობდა, რომ ამ სამი თვის განმავლობაში, მომხმარებლები ლიზინგის გადასახდელებისგან თავისუფლები იქნებოდნენ.

ჩვენი კლიენტები

თანამშრომლობა მზის პანელების მსხვილ მწარმოებელ კომპანიასთან

AE SOLAR

აე სოლარ მზის ენერგიის პანელების გერმანული მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების წევრია და დღესდღეობით მისი პროდუქცია მსოფლიოს 70 მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. კომპანიის გაყიდვების არეალი მოიცავს აფრიკის, აზიის, ევროპის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებს, აზიანური ოკეანის და შუა აღმოსავლეთის რეგიონებს.

აე სოლარს მსოფლიო მასშტაბით აქვს ორი საწარმოო ობიექტი. კერძოდ, მზის პანელების მწარმოებელი ქარხნები მდებარეობს საქართველოსა და ჩინეთში, რომელთა წლიური წარმადობა 1 გიგავატს შეადგენს.

საქართველოში მზის პანელების მასობრივი წარმოება აე სოლარმა 2019 წლის სექტემბერში დაიწყო. წარმოების ჩაშვებამდე კი 2018 წლიდან აე სოლარი თიბისი ლიზინგთან თანამშრომლობს. ჩვენი კომპანიის რესურსით, აე სოლარმა წარმოების მოცულობა გაზარდა.

თიბისი ლიზინგისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პროექტის მხარდაჭერა, რომელიც ორიენტირებულია განახლებადი ენერგიის წარმოებაზე.



თავისუფალი გემის მენეჯლობის დაფინანსება

წლების შემდეგ, თიბისი ლიზინგის ჩართულობით, პირველად დაფინანსდა ახალი თევზსაჭერი გემის მშენებლობა.

2020 წელს, ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში სამხრეთ მეზორანდუმს ხელი მოეწერა თიბისი ლიზინგის, აწარმოე საქართველოსა და თევზსაჭერი გემის მფლობელის მხრიდან.

დღესდღეობით, საზღვაო თევზჭერა შედის აწარმოე საქართველოს პროგრამის მხარდასაჭერი ბიზნესების სიაში, რაც ნიშნავს, რომ ამ მიმართულების ფლოტი მნიშვნელოვნად განახლება და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის.

თიბისი ლიზინგი მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის პრიორიტეტულ ბიზნესებს, მათ შორის საზღვაო თევზჭერას და აფინანსებს მათი საქმიანობისთვის საჭირო მექანიზმიან აქტივებს.







გამართული ბიზნესი არის სწორი ფინანსირება, ანგარიშგება, ფინანსური ხელსაწყოების, მათ შორის ლიზინგის პროდუქტის სრულყოფა. ლიზინგი არის კომფორტი. ლიზინგით სარგებლობა იმდენად გაადვილებულია, რომ მხოლოდ მიზნისა და სურვილის დაფიქსირებაა საჭირო, დოკუმენტაციის მომზადება და ყველაფერი უკვე მზადაა.

თემურ ჭყონია, “კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია” დამფუძნებელი



ჩვენი საქმიანობა ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება, ვთვლით, რომ ჯობს გვექონდეს ხელმისაწვდომობა უახლეს ტექნოლოგიებზე და გვექონდეს ისინი სარგებლობაში და არა მფლობელობაში. ამ მხრივ თიბისი ლიზინგის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

ნატალია ანანიაშვილი, ილუბიების მუზეუმის დირექტორი


ლიზინგი საგანმანათლებლო მიმართულების მხარდასაჭერად

საგანმანათლებლო მიმართულებით ლიზინგი, როგორც ინსტრუმენტი, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შესაძენად. 2020 წელს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, ლიზინგმა დააფინანსა ახლადშექმნილი სამეცნიერო ლაბორატორიის, “ლაბორატორია Z”-ის აპარატურა.

“ლაბორატორია Z”-ის მიმართულება და პროფილი მდგომარეობს ადამიანის ქცევის, ქცევის პროგნოზირებისა და პიროვნების შესწავლაში. ლაბორატორია ფლობს ყველა იმ თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც აუცილებელია კვლევების მრავალი მიმართულებით ჩატარებისთვის.

კერძოდ, ლიზინგით დაფინანსებული აპარატურა, რომელსაც ლაბორატორია იყენებს, ორი სახისაა: პირველი — eye tracking, რომელიც აღრიცხავს თვალის მოძრაობას, ინდივიდის ყურადღებასა და კოგნიტურ პროცესს, ვიზუალურ მესიერებასა და აღქმას, ხოლო მეორე — პოლიგრაფი, ე.წ. “ბიოფილტრი”, რომელიც აღრიცხავს ორგანიზმის წნევას, სისხლის მიმოქცევას, რესპირაციას და ა.შ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს ამ ლაბორატორიის საშუალებით, ექნებათ შესაძლებლობა სრულიად უფასოდ დააგროვონ გამოცდილება, ჩაერთონ უშუალოდ პროექტში და მნიშვნელოვნად აიმაღლონ კვალიფიკაცია.



პოპოვი ჯეზუ

თიბისი ლიზინგი ბიზნეს იდეების მხარდასაჭერად

2020 წლის დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შეიქმნა საკომუნიკაციო მიმართულება, რომელიც მომხმარებლისთვის კონკრეტული ბიზნეს იდეების მიწოდებას გულისხმობდა.

ასეთი გზით, საზოგადოებაში არსებულ კითხვებს ნაწილობრივ მაინც გაეცემოდა პასუხი და ადამიანებისთვის უფრო ცხადი და ხელშესახები გახდებოდა, თუ რაში შეეძლოთ ლიზინგის გამოყენება.

თიბისი ლიზინგი არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს დახმარებას სთავაზობდა ისეთი საქმეების წამოწყებაში, როგორებიცაა: სტამბა, წვრილი და მსხვილი საწარმო, კვების ობიექტის სხვადასხვა ტიპი, სამკერვალო, მეურნეობა, ლაბორატორია, სტომატოლოგიური კაბინეტი და სხვა.

გარდა, ბიზნეს იდეებისა, თიბისი ლიზინგი საკომუნიკაციო არხში მომხმარებელს სთავაზობდა საკუთარ პროდუქტებს შესაძენი აქტივის და მიხედვით: იპოლიზინგს კომერციული ფართის შესაძენად, ტექნოლოგიების შეძენას სამედიცინო მიმართულებით, მძიმე ტექნიკას სამშენებლო ლიზინგით, კომპანიის ავტომობილებს საოპერაციო ლიზინგით და სხვა.



„სოკარ ჭორჭია პეტროლეუმი საოპერაციო ლიზინგით საკუთარი საწვავმზიდების შესაძენად სარგებლობს. გარდა იმისა, რომ საოპერაციო ლიზინგი ძვირადღირებული ტექნიკის შესაძენად დაფინანსებას კონკურენტული პირობებით გვთავაზობს, ასევე გვაძლევს საშუალებას დავზოგოთ დრო, ფინანსები და ადამიანური რესურსი. ზოგადად, ასეთი ტიპის შესყიდვები უკავშირდება უზარმაზარ ბიუროკრატიულ პროცესს, საოპერაციო ლიზინგის შემთხვევაში კი, ჩვენ უბრალოდ ავარჩიეთ ტექნიკა, მოვანერეთ კონტრაქტს ხელი და მშვიდად და წყნარად დაველოდეთ ჩვენი ტექნიკის ჩამოსვლას.“

ლევან გიორგაძე, სოკარ ჭორჭია პეტროლეუმის დირექტორი

ბიზნესის კეთების პასუხისმგებლობა

გლობალური პანდემიით გამოწვეული მიზეზებით, 2020 წელი, ყველა კომპანიის მსგავსად, თიბისი ლიზინგისთვისაც სირთულეებით იყო სავსე. მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ 2020 წლის მთავარი ამოცანა პასუხისმგებლიანი ბიზნესებისთვის კრიზისულ სიტუაციაზე მორგება და ადამიანებისა თუ ბიზნესების მაქსიმალური მხარდაჭერა იყო.

თავის მხრივ, თიბისი ლიზინგმა, ცხოვრების გამართვების ნაცვლად, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დააყენა პრიორიტეტად — ადამიანებში სტაბილურობის განცდის შექმნა.

სტაბილურობის განცდის შექმნა ორგანიზაციაში

როგორც ნებისმიერი კომპანიისთვის, ისე თიბისი ლიზინგისთვის, ყველაზე მნიშვნელოვან კაპიტალს სწორედ გუნდის წევრები წარმოადგენენ, რადგან სწორედ მათზე დგას კომპანია, შესაბამისად მომხმარებლებიც. სწორედ ამიტომ, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 2020 წლის განმავლობაში, არცერთი თანამშრომელი არ გათავისუფლებულა. ასევე, არ შემცირებულა არც ერთი მათგანის ანაზღაურება.

თიბისი ლიზინგი ზრუნავს თანამშრომლებსა და მომხმარებლებზე და ამასთან ერთად, იაზრებს პასუხისმგებლობას, რაც კომპანიის შეუფერხებლად ფუნქციონირებას გულისხმობს. თიბისი ლიზინგმა გაითვალისწინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და მაქსიმალურად დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. ასევე, თანამშრომლებს შეუნარჩუნდათ ყველა ის დამატებითი სარგებელი, რომელსაც კომპანია სთავაზობს.

2020 წლის განმავლობაში, დისტანციური მუშაობის შესაფასებლად 2-ჯერ ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლების უმეტესობამ მუშაობის ახალი სტილი დადებითად შეაფასა:

74% მარტი-მაისი
71% ივნისი-აგვისტო

კრიზისის მართვამნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებისთვისაც. დისტანციურ რეჟიმზე ადაპტირება, უსაფრთხოება, საგანმანათლებლო მიმართულება, თანამშრომლების ტრანსპორტირება და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის შემუშავება - ეს ის საკითხებია, რომლებიც გასულ წელს ყველაზე აქტუალური იყო ამ მიმართულებისთვის.

დისტანციური მუშაობა, ვირტუალური შეხვედრები და ტრენინგები ახალი რეალობის განუყოფელ ნაწილად იქცა. მნიშვნელოვანია, რომ გასულ წელს 42 თანამშრომელი გადამზადდა. ასევე, ჩატარდა 20-მდე შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც, გუნდის წევრებმა ერთმანეთს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს.

აღნიშნულ პერიოდში, HR მიმართულება ყველაზე ხშირად შემდეგ საკომუნიკაციო ფორმატებს იყენებდა: ონლაინ-შეხვედრები, თანამშრომლების პროფაილები, ღია ოთახის ტრენინგები, პროცესების გასამართივებლად Home Made Video-ინსტრუქციები.

სოციალურად დაუცველი ოჯახების დაფინანსება

წელს, თიბისი ლიზინგმა ტრადიციულ საახალწლო საჩუქრებზე უარი თქვა და იმ ადამიანების დახმარება გადაწყვიტა, ვისაც კრიზისულ პერიოდში ყველაზე მეტად სჭირდებოდა მხარდაჭერა. თანამშრომლებს ვთხოვეთ გაეზიარებინათ ჩვენთვის იმ ოჯახების ისტორია და საკონტაქტო, რომლებთანაც მძიმე სოციალური ფონი შეიმჩნეოდა. შემოსული ისტორიებიდან დაფინანსდა უკლებლივ ყველა შემთხვევა. ესენი იყვნენ ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში, სოფლებში, მაღალმთიან რეგიონებში, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახები, სტუდენტები, რომლებსაც უსახსრობის გამო სტატუსი შეუჩერდათ და მძიმე დაავადებასთან მეტბოძოლი ადამიანები.

- ჯგუფის მასშტაბით 300-ზე მეტი ოჯახის დასახმარებლად ჯამში გამოიყო 300,000 ლარი;
- ლიზინგის სახელით დაფინანსდა 13 შემთხვევა;
- თითოეულ ოჯახს ჩაერიცხა 1000 ლარიანი დახმარება;
- გამონაკლისი იყო სტუდენტის შემთხვევა, რომელსაც სრულად დაუფინანსდა სწავლა;

მაკულატურის შეგროვების ტრადიცია

როგორც პასუხისმგებლიანმა ბიზნესმა, თიბისი ლიზინგმა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინიციატივა განახორციელა და კომპანიის მასშტაბით დაიწყო მაკულატურის შეგროვება. შეგროვებული მაკულატურიდან იბეჭდება ახალი წიგნები, რომლებითაც მაღალმთიან რეგიონებში არსებული ბიბლიოთეკების პერიოდული განახლება ხორციელდება.

გიორგი ჯიქა

პირველ ცდაზე შეგროვდა და გადამუშავდა 300 კგ. ქალაქი

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამშრომლების მიერ გამოყენებული მაკულატურა ნაგავში მოხვედრის ნაცვლად სასარგებლო საქმეებს მოხმარდება. ვიაზრებთ, იმ ფაქტს, რომ მაკულატურის ჩაბარება ორმხრივი სარგებლობის მომტანი პროექტია. გარდა იმისა, რომ მაღალმთიანი რეგიონის ბიბლიოთეკის განახლებაში ვიღებთ მონაწილეობას, ეს ინიციატივა უფრო გლობალურ პრობლემებსაც ეხმარება. კერძოდ, მაკულატურის ჩაბარებით ჩვენ ვზრუნავთ გარემოზე და მასზე მიყენებულ ზიანს ვამცირებთ. ერთი ტონა მაკულატურის გადამუშავება 17 ხის გადარჩენის ტოლფასია, რის შედეგადაც 26 კუბური მეტრი წყალი და 2.3 კვ/მ მინა იზოგება.

ამ პროექტის ფარგლებში, მაკულატურის ჩასაყრელი ყუთი თიბისი ლიზინგის ოფისში განთავსდა და შესაბამისად, თითოეულ თანამშრომელს შეუძლია სხვადასხვა სოციალური პროექტის მონაწილე გახდეს.

საშელავათო პერიოდის ანგარიშგება

თიბისი ლიზინგმა გარდა შიდა ორგანიზაციული საკითხებისა, პანდემიის პერიოდში, მომხმარებლების ინტერესების დაცვაზე დაიწყო ზრუნვა.

კერძოდ, პანდემიის დასაწყისშივე თიბისი ლიზინგმა, როგორც პასუხისმგებლიანმა ბიზნესმა მომხმარებლებისთვის ცხოვრების გამარტივება გადანყვიტა და სამთვლიანი, სამ ეტაპად დაყოფილი საშელავათო პერიოდი შესთავაზა, რომელიც ვრცელდებოდა ყველა ფიზიკურ პირზე, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებელზე და ასევე, ყველა ბიზნესზე, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობდა, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრით ხასიათდებოდა.

საშელავათო პერიოდი გულისხმობდა, რომ თვეების განმავლობაში, მომხმარებლები სალიზინგო გადასახდელებისგან თავისუფლები იქნებოდნენ.

საშელავათო პერიოდი გააქტიურდა 13 მარტიდან, განცხადების გაკეთებისთანავე. ფიზიკურ პირებს პირობა ავტომატურად გაუქტიურდათ, მათ კი, ვისაც არ სურდა შეთავაზებით სარგებლობა ჩვენს ვებ-გვერდზე უარის მოთხოვნა უნდა დაეფიქსირებინათ.

იურიდიული პირების შემთხვევაში, პირიქით, საშელავათო პერიოდის გასაქტიურებლად საჭირო იყო მოთხოვნის გაკეთება.

შელავათი ვრცელდებოდა იმ პირებზეც, რომლებიც უკვე ისედაც სარგებლობდნენ ამ პირობით და დამატებით, ისინიც, ვისაც 30 დღემდე ვადაგადაცილება უფიქსირდებოდათ.

საშელავათო პერიოდით სარგებლობის ან უარის თქმის სურვილი მომხმარებლებს 13-დან 20 მარტამდე უნდა დაეფიქსირებინათ.

ამ პერიოდის განმავლობაში თიბისი ლიზინგი აწარმოებდა აქტიურ კომუნიკაციას საშელავათო პერიოდთან დაკავშირებით.

საშელავათო პერიოდის I ეტაპი დაიწყო 2020 წლის მარტში, ხოლო ბოლო, III ეტაპი დასრულდა 2021 წლის მარტში.

I და II ეტაპის საშელავათო პერიოდით ისარგებლა მთლიანი პორტფელის 63.6% და 16.2%-მა, შესაბამისად, ხოლო დეკემბრის საშელავათო პერიოდი გამოიყენა მთლიანი სალიზინგო პორტფელის 20.2%-მა.

სულ, წლის განმავლობაში საშელავათო პერიოდით 3,020 კლიენტმა ისარგებლა, აქედან 686 იყო იურიდიული, ხოლო 2,334 - ფიზიკური. მათი სალიზინგო პორტფელის მოცულობა კი წლის ბოლოსთვის შეადგენდა 165 მლნ ლარს რაც მთლიანი სალიზინგო პორტფელის 59%-ია.

საშელავათოს შეთავაზების პერიოდში, გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ავამუშავეთ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხი, კერძოდ ქოლ ცენტრი და სოციალური ქსელი და მომხმარებლებს უწვევტ რეჟიმში მოვემსახურეთ. ეს ჩვენი მხრიდან ემსახურებოდა მიზანს, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი მომხმარებლებისთვის ცხოვრება გაგვემარტივებინა.

ბიზნესების მხარდაჭერა

ამავე პერიოდში, თიბისი ლიზინგმა, როგორც ბიზნესსექტორში აქტიურად ჩართულმა კომპანიამ, ბიზნესებს საკომუნიკაციო არხები დაუთმო. კომუნიკაცია მოიცავდა ბლოგებს კომპანიების შესახებ და ასევე, თემებს, რომლებიც ამ პერიოდში აუდიტორიას განსაკუთრებით აინტერესებდა. მარტის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე, თიბისი ლიზინგმა მოამზადა 12 ბლოგი.

თიბისი ლიზინგმა მომხმარებელ კომპანიებს ასევე დაუთმო მათთვის განკუთვნილი ბეჭდური მედიის სარეკლამო გვერდები ჟურნალ ენტრეპრენერის გამოცემაში.

თიბისი ლიზინგისა და მზა ჩითილის კოლაბორაცია

პროგრამა #თიბისიშენთვის ფარგლებში თიბისი ლიზინგის, მისიმომხმარებელი—მზაჩითილისადამისიდედაკომპანიის, WG Techno-ს კოლაბორაციით, ხანდაზმულთა თავშესაფარს “ბარბარე 21”-ს სხვადასხვა ბოსტნეულის ჩითილები და სარწყავი სისტემა გადაეცა.

თავშესაფარმა ბოსტნეულის ჩითილები საკუთარ ეზოში, მეურნეობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დარგო და მომავალში მიღებულ მოსავალს პირადი მოხმარების მიზნით გამოიყენებს.

დღეს, “მზა ჩითილი” პროდუქციას 11000 კვადრატულმეტრზე გადაჭიმულსათბურაში ამზადებს. თუ გაზარდა მოთხოვნა აიწვას, კომპანიას რესურსი აქვს ერთდროულად დაახლოებით 7 მილიონი ჩითილი აწარმოოს.





ინტელექტუალური

თიბისი ლიზინგი მმართველობითი ანგარიში

სუბსიდირების პროგრამებში ჩართულობა

2020 წლის სირთულების ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ადგილობრივი ბიზნესების შექმნა/არსებობა მთავარი პრიორიტეტია. ამ მხრივ, ორგანიზაციებმა, რომლებიც ბიზნესსექტორის ხელშეწყობ პროექტებს და პროგრამებს ახორციელებენ, კიდევ უფრო გააქტიურეს საქმიანობა.

ბიზნესის ხელშეწყობის ჭრილში, თიბისი ლიზინგი ჩაერთო ყველა იმ სუბსიდირების პროექტში, რომელიც აწარმოე საქართველოში“-სა და სოფლის განვითარების სააგენტოს მხრიდან განხორციელდა. 2020 წელს თიბისი ლიზინგმა დააფინანსა 28 პროექტი, რომელიც სუბსიდირდა აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან და თემატურად ერგებოდა ლიზინგის საქმიანობის არეალს.

მაგალითად, 2020 წელს გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის თვითმყოფადობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი ლიზინგის მიმართულებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, ამიტომ, სოფლის მეურნეობაში ჩართული მენარმეებისთვის, გარემოს დაცვისა და სოფლის განვითარების სააგენტო / RDA-ის მხარდაჭერით, ამოქმედდა შეღავათიანი აგროლიზინგი.

შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი ემსახურებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით სარგებლობა შეეძლოთ იმ საწარმოებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა) შექმნით იყვნენ დაკავებული, გამოიმუშავებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ნებისმიერი სახით (შენახვა, დაფასოება, გადამამუშავება), ან აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს. ასევე ამ პირობით სარგებლობა შეეძლოთ იმ საწარმოებს, რომელთაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, უკვე დამტკიცებული ჰქონდათ სახელმწიფო თანადაფინანსება.

გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა, ლიზინგის ყურადღების მიღმა არც სამეწარმეო პროექტები დარჩენილა.

თიბისი ლიზინგი აფინანსებდა უკლებლივ ყველა პროექტს, რომელსაც „აწარმოე საქართველოში“ სუბსიდირებას გაუწევდა, იქნებოდა ეს საკვები პროდუქტის, სასმელის, სხვადასხვა ტიპის მოსავლის, ტექსტილის, ხალიჩებისა თუ სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის, ფეხსაცმლის, ავეჯის, ქაღალდის, პარფიუმერიის, სამშენებლო მასალის, მეტალის წარმოება თუ ფოტოგრაფიული, დიზაინერული ან სხვა სპეციალიზირებული საქმიანობები. მთავარი პირობა იყო, ბიზნესსაქმიანობას თანაკვეთა ჰქონოდა ლიზინგისთვის რელევანტურ რომელიმე სექტორთან.

დაფინანსდა

28

პროექტი

15

აწარმოე საქართველოში

13

სოფლის განვითარების სააგენტო

ენერგოეფექტური პროექტების ხელშეწყობა

16.4 მილიონი ლარი ენერგო ეფექტური პროექტების ხელშესაწყობად – Green For Growth Fund (GGF)

2020 წლის ოქტომბერში ლუქსემბურგის ფონდს, “Green For Growth Fund” (GGF)-სა და თიბისი ლიზინგს შორის 16.4 მილიონი ლარის მოცულობის სასესხო ხელშეკრულება გაფორმდა. შეთანხმების მიზანი იყო მცირე და საშუალო მეწარმეების ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსების ხელშეწყობა.

აღნიშნული ფინანსური რესურსი წარმოადგენს პირველ სესხს, რომელიც ფონდის ახლად შექმნილი აქციების კლასიდან გაიცემა. ფინანსური რესურსის ლარში გამოყოფით, პარტნიორები მიზნად ისახავენ მეწარმეებს გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკები შეუმცირონ, ამავდროულად, დაეხმარონ მათ პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური გამოწვევების გამკლავებაში. GGF-ის ახალი დაფინანსება კომპანიის კლიენტებს საშუალებას მისცემს განახორციელონ ენერგოეფექტური ინვესტიციები და წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის მწვანე აღდგენაში.

16.4 მილიონი ლარი

ენერგოეფექტური პროექტების ხელშესაწყობად

GREEN FOR GROWTH FUND (GGF)

მზის პანელების დაფინანსება

თიბისი ლიზინგმა დაიწყო მზის პანელების დაფინანსება სხვადასხვა მიზნობრივობით, მათ შორის: სოფლის მეურნეობის, სერვისის, კვების ობიექტის, სპორტული კომპლექსის, სამრეწველო საწარმოების, სასტუმროებისა და მზის ფერმების მიმართულებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისეთი პროექტის მხარდაჭერა, რომელიც ორიენტირებულია გარემოს დაცვაზე, განახლებადი ენერგიების წარმოება კი ერთ-ერთი მათგანია.

2020 წელს ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით მზის ენერგიის პანელების გერმანულ მწარმოებელ კომპანია – აე სოლართან, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების წევრია და დღესდღეობით მისი პროდუქცია მსოფლიოს 70 მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. კომპანიის გაყიდვების არეალი მოიცავს აფრიკის, აზიის, ევროპის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებს, აზია-წყნარი ოკეანის და შუა აღმოსავლეთის რეგიონებს.

ტრენინგები და გამოფენები მომხმარებლებისთვის

2019 წლის თიბისის ბიზნეს დაჯილდოებაში, რომელიც წლის ბოლოს ჩატარდა, ჩვენი მომხმარებლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის გამოვლინდა 10 ნომინანტი კომპანია, რომლებმაც გამარჯვება ვერ მოიპოვეს, მაგრამ კომპანიის გადაწყვეტილებით, 2020 წელს მათ საჩუქრად გადავეცით საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი მარკეტოლოგის პავლე გაბრიჭის საავტორო ტრენინგ კურსი – ციფრული მარკეტინგის საფუძვლები.

მსოფლიოში პანდემიური ვითარებიდან და ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, ჩვენი SME მომხმარებლებისთვის, FMO და ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგ კურსი - კრიზისის მართვა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

2020 წლის ბოლოს ონლაინ ფორმატში ჩატარდა აგრო ექსპორტის ფორუმი - სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმები და შესაძლებლობები. პანელ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა. თიბისი ლიზინგის სოფლის მეურნეობისა და წარმოების სექტორის მომხმარებლებს, შესაძლებლობა მიეცათ, გაეცნოთ ის პერსპექტივები, რასაც ეს სფერო სთავაზობს, გარდა ამისა, პოტენციურ მომხმარებლებს გავაცანით ლიზინგი, როგორც ფინანსური პროდუქტი და მისი სარგებლობის უპირატესობები.

ლიზინგი აგროექსპოს ონლაინ ფორუმზე

მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, 2020 წლის ღონისძიებების უმეტესი ნაწილის ჩატარება დაუშვებელი იყო, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების განვითარება კი, ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც არასდროს. სწორედ ამიტომ, 2020 წელს, ექსპოზიციამ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ექსპორტის მასშტაბური ფორუმი ონლაინ ჩატარა.

ფორუმი მთლიანად B2B ფორმატში, ონლაინ შეხვედრების კომპონენტით ჩატარდა და აერთიანებდა პანელურ დისკუსიებსა და ვორქშოპებს. ფორუმის ძირითადი მიზანი იყო აგრო და კვების მრეწველობის პროდუქტების მწარმოებლების ხელშეწყობა სარეალიზაციო არხების პოვნასა და გაფართოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მთავარი თემატიკა გამომდინარე, თიბისი ლიზინგის ჩართულობა აგროექსპორტის ფორუმში, როგორც ყოველთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამიტომ, აგროექსპორტის საერთაშორისო ონლაინ გამოფენის ფარგლებში, პანელური დისკუსიის ერთ-ერთი თემა იყო – როგორ შეგვიძლია ლიზინგის გამოყენება აგროსფეროში, რომელზეც თიბისი ლიზინგის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორის უფროსმა – თეკლა რობაქიძემ ისაუბრა.



“თიბისი ლიზინგის მიერ დაფინანსებული ფერმერების და გადაამუშავებელი ქარხნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, იზრდება დაფინანსებული თანხების მოცულობაც.

ბოლო წლებში სახნავ-სათესი და ნარგავებისთვის განკუთვნილი მიწების ათვისების წყალობით, გაჩნდა უფრო მეტი მოთხოვნა ტრაქტორების, მისაგებავებისა და კომბაინების დაფინანსებაზე.

ასევე, ხშირია მოთხოვნა ვანების მოვლისთვის საჭირო ტექნიკისა და ყურძნის გადაამუშავებელი ქარხნების აღჭურვილობაზე, სამაცივრე მაშინობაზე, ჩირის საწარმოო და თხილის გადაამუშავებელ დანადგარებზე.

თეკლა რობაქიძე

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ინიციატივა

2020 წელს თიბისი ლიზინგმა ხელი მოაწერა რამდენიმე მნიშვნელოვან პარტნიორობას, რომელიც მიმართული იქნებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობად.

6 მილიონი ევრო გამოყოფილია EBRD-სგან მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობად

EBRD-მა თიბისი ლიზინგს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების დასაფინანსებლად 6 მილიონი ევროს მოცულობის სესხი გამოუყო, რომელიც ძირითადად რეგიონულ პროექტებზე იქნება მიმართული.

COVID-19-ის კრიზისის დროსაც, EBRD საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორად დარჩა. მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესსექტორი ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ რთულ პერიოდში მისი მხარდაჭერა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტია.

თიბისი ლიზინგს EBRD-თან ხანგრძლივი და მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებს.



16 მილიონი დოლარი სიმბიოტიკსიდან მცირე და საშუალო მეწარმეების დასაფინანსებლად

თიბისი ლიზინგისა და გავლენიანი საინვესტიციო კომპანიის - სიმბიოტიკის გრძელვადიანი პარტნიორობის ფარგლებში, ხელი მოეწერა ახალ შეთანხმებას, რომლის მიხედვით სიმბიოტიკსი თიბისი ლიზინგს 16 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ძირითად სესხს გადასცემს.

ახალი რესურსი დაეხმარება საქართველოში სხვადასხვა სალიზინგო პროგრამების განვითარებას და მიმართული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესსექტორზე - თიბისი ლიზინგის რეგულარულ და პოტენციურ მომხმარებლებზე.


მცირე და საშუალო საწარმოები მზარდ სექტორს მიეკუთვნება და მოქმედი ბიზნესების უმეტესობას წარმოადგენს.

ჩვენი მიზანია გავაფართოოთ რეგიონებში დარეგისტრირებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა, რაც დააბალანსებს ბიზნეს სექტორის გეოგრაფიულ კონცენტრაციას.



გიორგი ჯიქა

ლიზინგის ცნობადობის ამაღლება - თანამშრომლები



ლიზინგი საქართველოს მასშტაბით აუდიტორიის გარკვეული ნაწილისთვის ერთი შეხედვით რთულად გასაგები პროდუქტია, ჩვენი მთავარი მისია კი — მომხმარებლებისთვის ცხოვრების გამარტივებაა. სწორედ ამიტომ, შევექმენით ვიდეო მიმართულება, სადაც თიბისი ლიზინგის თანამშრომლები მოკლედ და მარტივად, გასაგები ენით ხსნიდნენ ლიზინგის ამა თუ იმ თვისებას ან უპირატესობას.

2020 წელს ვიდეო მიმართულების ფარგლებში ვისაუბრეთ ზოგადად ლიზინგის, როგორც პროდუქტის რაობაზე, შევხებით მის უპირატესობებს, ავხსენით საოპერაციო ლიზინგის მნიშვნელობა, რატომ უნდა შეიძინოს დაინტერესებულმა პირმა ავტომობილი ლიზინგით, რატომ არის კარგი აგრო მიმართულებაში ჩართული ადამიანისთვის ლიზინგის გამოყენება და რომელ სფეროებს შეუძლიათ ამ პროდუქტით სარგებლობა.

მომხმარებელთა კმაყოფილება

ჩვენი მომხმარებლების უკეთესი მომსახურებისთვის შეიქმნა ცენტრალიზებული ქოლ-ცენტრი, საიდანაც ხდება, როგორც არსებული, ასევე ახალი მომხმარებლების საკითხების გადამისამართება შესაბამის მიმართულებებთან.

2020 წლის ქოლ ცენტრის შედეგების მიხედვით, დღეში საშუალოდ ვპასუხობთ შემოსული ზარების **64%-ს**.

2020
Answered: **64%**
Unanswered: **36%**

2019
Answered: **20.3%**
Unanswered: **79.7%**

გარდა ამისა, დაიწია შემომავალი ზარის მოლოდინის დრომ:

AVERAGE CALL WAITING TIME:

2020: **40 sec.** 2019: **77 sec.**

გიორგი ჯიქა

შეიქმნა სავალდებულო პროცედურები თითოეული მომხმარებლის საკითხის უკუკავშირზე, შემუშავდა მომხმარებელთან კომუნიკაციის გაიდლაინები და Q/A დოკუმენტები.

ასევე, შიდა და გარე მომხმარებლის ცხოვრების გამარტივებისთვის, შევიმუშავეთ შეტყობინებების ავტომატური გენერირების სისტემა. დაიხვეწა როგორც მესიჯ ბოქსი, ასევე ინფორმაციის მიწოდების შინაარსი და სტრუქტურა.

ავტომატურ რეჟიმში მომხმარებელთან იგზავნება ლიზინგის ყოველთვიური გადასახადის შემახსენებელი შეტყობინებები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებები, ტრანზაქციები და ა.შ.

კვლევები

2020 წლის მანძილზე, ჩვენი მომხმარებლების ლოიალურობისა და მათი ცხოვრების გამარტივების გზების მოსაძებნად ჩატარდა NPS და Customer Journey კვლევები.

NPS

2020 წლის შედეგების შესაჯამებლად, კორპორატიულ და SME მომხმარებლებისთვის ჩატარდა NPS კვლევა.

NPS ქულა - **68**

CUSTOMER JOURNEY - ეს კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს 360 გრადუსით დავინახოთ და შევაფასოთ კომპანიაში არსებული პროდუქტები და მომსახურებები. შეფასებები ხდება არა მარტო გარე, არამედ შიდა მომხმარებლის მხრიდან. კვლევის შედეგები გვიმარტივებს სწორად დავინახოთ და დავაპრიორიტეტოთ მომსახურების გაუმჯობესების გზები.

ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS)

გარემოსდაცვითი პოლიტიკა შემუშავებულია თიბისი ჯგუფის მასშტაბით. თიბისი ლიზინგის გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) გამომდინარეობს აღნიშნული დოკუმენტისგან და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისობაში ვიყოთ გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის მოქმედ რეგულაციებთან და გამოვიყენოთ შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკები, ასევე მივიღოთ შესაბამისი ზომები, რომ ჩვენმა მომხმარებელმა შეასრულონ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები. გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობას (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ) და საერთაშორისო სტანდარტებს (სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: www.tbclearing.ge).

თიბისი ლიზინგში, როგორც შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიაში, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის როლი შეთავსებულია ორგანიზაციული რისკების დეპარტამენტსა და საკრედიტო რისკების განყოფილების თანამშრომლებს შორის. ორივე ერთეული კომპანიის რისკების დირექტორის დაქვემდებარებაშია.

2020 წლის განმავლობაში თიბისი ლიზინგის რისკების და კომერციული მიმართულების თანამშრომლებმა გაიარეს ვრცელი ტრენინგი, რომელიც თიბისი ბანკის ESRM გუნდმა ჩაატარა. ტრენინგი მოიცავდა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მნიშვნელობას, მართვის გზებს და ამ პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას.

გრინ პორტფელის წილი მთლიან
პორტფელში



1.6%

გრინ პორტფელის მოცულობა



4.55 მლნ ლარი


თანასწორობა და მრავალფეროვნება

ჩვენთვის მდგრადი და წარმატებული ბიზნესის საწინდარი ჩვენი გუნდია, სადაც ყველა თანამშრომელს ექცევიან თანაბრად, სამართლიანად და ეხმარებიან წარმატების მიღწევაში. ჩვენ ვუზრუნველყოფთ დაცულ სამუშაო გარემოს ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან, სადაც თითოეულ თანამშრომელს აფასებენ, პატივს სცემენ და ეპყრობიან თანასწორად მიუხედავად სქესისა, ასაკისა, ოჯახური მდგომარეობისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა, ეთნიკურობისა, რელიგიისა, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ შეზღუდული უნარებისა.

ჩვენ შევქმენით გენდერულად დაბალანსებული სამუშაო გარემო, სადაც თანამშრომლების 53% -ი ქალია, ხოლო ქალების წილი, რომელთაც უკავიათ მაღალი პოზიციები, შეადგენს 28%-ს.


თანამშრომელთა რაოდენობა

121



საშუალო რგოლის მენეჯმენტი

18




მიგონი ჯიქა

ჩვენ ასევე გვყავს თანამშრომლები, ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილებით და ახალგაზრდები, ინოვაციური იდეებით, რომელთა კოლაბორაცია საუკეთესო შედეგების მომცემია.

კომპანიის თანამშრომლები

- 29 წლამდე
- 30-39 წლის
- 40-59 წლის
- 50 წლის ზემოთ



რისკის მართვა

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს სალიზინგო კომპანიისთვის ყველაზე მატერიალურ რისკს, ვინაიდან სალიზინგო კომპანია ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. კომპანიის მომხმარებლები არიან, როგორც იურიდიული პირები, ისე ინდივიდუალური მომხმარებლები. საკრედიტო რისკი დაკავშირებულია მომხმარებლის ან მესამე პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების, რომელიც გულისხმობს გადაუხდელი თანხის გადახდას შეთანხმებულ ვადებში, შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არაპეჭირებულ კლიენტებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ლიზინგების გაცემასთან. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რაც შეიძლება წარმოიშვას ერთ სუბიექტზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ სუბიექტების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ დარგებში. ასევე, ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო.

2020 წლის მანძილზე კოვიდ-19-იდან გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა გაზარდა გაურკვევლობა და განაპირობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა ბევრ სექტორში, კერძოდ ფიტნეს ცენტრების, სასტუმროების და დასვენების, უძრავი ქონების მართვის და განვითარების სექტორებში. ასეთი ეკონომიკური ვარდნა მოიცავს მომხმარებლების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რისკს და ზრდის საკრედიტო რისკს.

კომპანიაში მოქმედებს საკრედიტო რისკების შეფასების სრულყოფილი სტრუქტურა, რომელშიც მკაფიოდაა ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და ლიზინგის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების პროცესი განსხვავდება, ამასთანავე დიფერენციაცია ხდება პროდუქტის სახეობათა მიხედვითაც აქტივების კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. საკრედიტო შეფასების წესები განსაზღვრულია რისკების განყოფილებების მიერ რომლებიც დამოუკიდებელი არიან ლიზინგის გამცემი და ბიზნეს განვითარების ერთეულებისგან. კორპორატიული და საშუალო ბიზნესების მომხმარებლების შემთხვევაში, ლიზინგის დაფინანსების განხილვის პროცესი ხორციელდება კონკრეტული სექტორული ჯგუფების ფარგლებში, რომელიც აერთიანებს შესაბამისი სექტორული განვითარების შესახებ ღრმა ცოდნას.

კომპანია იყენებს პორტფელის მონიტორინგის სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება პორტფელის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში. მონიტორინგის სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ მიმართულებებზე და მოიცავს ინდივიდუალური ლიზინგების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან კომპანია იყენებს პორტფელის ზედამხედველობის სისტემას შესუსტებული კლიენტების იდენტიფიცირების და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მიღების მიზნით.

კომპანიის სალიზინგო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და ინდუსტრიის სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკის დონე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიზნეს მიმართულებები შეადგენდა მთლიანი პორტფელის 88.44%-ს, ხოლო საცალო მომხმარებლები 11.6% , რომელიც მოიცავს სრულად ავტოლიზინგებს. ბიზნეს პორტფელში 2020 წლის ბოლოს ტოპ სამ დარგს მიეკუთვნება სამშენებლოს, წარმოების და სერვისის სექტორები, სადაც კონცენტრაციები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 27%, 19.4% და 15.9%.

სალიზინგო ვალდებულების საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან შემარბილებელ საშუალებას წარმოადგენს თანამონაწილეობა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნეს ლიზინგის მიმღების მიერ, კონტრაქტის გაფორმების მომენტში. ამავდროულად საკრედიტო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია დაფინანსებული სალიზინგო აქტივის ეფექტური მართვა, რაც თავიდან აგვაცილებს მატერიალური და ტექნიკური ცვთის მოსალოდნელ საფრთხეს. სალიზინგო კონტრაქტების დამატებით უზრუნველყოფას შეიძლება მოიცავდეს: უძრავი ქონება, ბალანსზე არსებული აქტივების და წილის გირავნობა, მესამე პირის გარანტიები და მომწოდებლის მიერ ნასყიდობით გათვალისწინებული უკან შესყიდვის ოფცია.

თიბისი ლიზინგის მთლიანი პორტფელი უზრუნველყოფილია ინდუსტრიის ყველა სეგმენტში, სადაც უზრუნველყოფის საგანს

წარმოდგენს დაფინანსებული სალიზინგო აქტივები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პორტფელის უზრუნველყოფის კოეფიციენტი განისაზღვრებოდა 1.26%-ით, ხოლო დამატებითი უზრუნველყოფის ჩათვლით 1.35%-ით. დაფინანსებულ აქტივებზე თანამონაწილეობის მოცულობის სწორი განსაზღვრა უზრუნველყოფს მაღალი გადაფარვის კოეფიციენტს.

კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, კომპანიამ დაადგინა მაღალი მოწყვლადობის კლიენტები და განსაზღვრა გადახდის გადავადების ან რესტრუქტურისაციის სტრატეგია ინდუსტრიის ყველა სეგმენტში. კოვიდ-19 პანდემიის დაწყებიდან თიბისი ლიზინგმა განახორციელა ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდის გადავადების აქცია ფიზიკური პირებისთვის, MSME და კორპორატიული კლიენტებისთვის, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა საყოველთაო ლოკდაუნებმა. სტრატეგიის შესაბამისად ზოგიერთ კლიენტს მიეცა გადახდის გადავადების უფლება, როგორც ძირითადი, ასევე პროცენტზე.

დამატებით, თიბისი ლიზინგი აქტიურად ახორციელებს სტრეს-ტესტებს და სცენარულ ანალიზს კლიენტების მდგრადობის შესამოწმებლად სხვადასხვა სტრესულ პირობებში. სტრეს ტესტები მოიცავს დაშვებებს ადგილობრივი ვალუტის გადაფასების, მშპ-ს ზრდის, სექტორული ზრდის, ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების, უძრავი ქონების და საქონლის ფასების ცვლილებების შესახებ. თიბისი ლიზინგი ახორციელებს ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს კლიენტების შესუსტებული ფინანსური და ბიზნეს პერსპექტივების დასადგენად მათთვის რესტრუქტურისაციის გეგმის შეთავაზების მიზნით, რომელიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

თიბისი ლიზინგმა გადახედა ანდერრაიტინგის სტანდარტებს ინდუსტრიის ყველა სეგმენტში კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით და გაამკაცრა ისინი შესაბამის შემთხვევებში. სტანდარტების გადახედვა და გამკაცრება, სხვა ზომებს შორის, მოიცავდა შემდეგს: ცვლილებები გადანაცვების მიღების და დამტკიცების უფლების დელეგირებაში მოწყვლადი სექტორის მსესხებლებისთვის, გამოყენებული რისკის ფაქტორი დაზარალებული სექტორების ინდივიდუალური კლიენტების შემოსავლებზე და მაკროეკონომიკური სექტორული მოლოდინების ინტეგრაცია შეფასების პროცესში ბიზნეს კლიენტებისთვის.

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი

თიბისი ლიზინგი დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან კომპანიის პორტფელში დაფინანსებული თანხების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და ლარის პოტენციური არსებითი გაუფასურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე, პორტფელში არსებული უცხოური ვალუტის მაღალი წილის გამო. არაპეჯირებულ მსესხებლებს შეიძლება ვალის ტვირთი უფრო მეტად დააწვეთ, როდესაც გაიზრდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მათი ვალდებულებები.

თიბისი ლიზინგის პორტფელის მნიშვნელოვანი წილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში და ევროში, რაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 57%-ს. იმ მომხმარებელთა დიდი ნაწილის, რომლებსაც სალიზინგო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ უცხოურ ვალუტაში (80%), შემოსავალი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში, რომლის გამოც არ არიან დაცულები ლარის გაცვლითი კურსის რყევებისგან. 2020 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 14%-ზე მეტით გაუფასურდა, რამაც მნიშვნელოვნად იქონია გავლენა მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე.

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გაცვლითი კურსით გამოწვეულ საკრედიტო რისკს იმის გამო, რომ პორტფელის სესხების უმეტესი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ხშირად ხორციელდება სავალუტო კურსის გაუფასურების მონიტორინგი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხერხდეს სამოქმედო გეგმის სწრაფი განხორციელება. სავალუტო კურსის გარკვეული გაუფასურების მიმართ მდგრადობა გათვალისწინებულია დაკრედიტების სტანდარტებშიც, რაც გულისხმობს ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერის გათვალისწინებას არაპეჯირებული მომხმარებლებისათვის.

თიბისი ლიზინგი იყენებს კონსერვატორული დაკრედიტების სტანდარტებს არაპეჯირებული კლიენტების მიმართ, რომელთა დაფინანსებული თანხები დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გაუძლებენ გაცვლითი კურსის გარკვეულ დონეს, გარდა დაფინანსების პროცესში მოქმედი ზომებისა, კომპანია ასევე აქტიურად აკვირდება და აფასებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ლიზინგებს სტრეს-ტესტირების საშუალებით.

სალიზინგო კომპანიებს და მათ შორის თიბისი ლიზინგსაც შეეხო „სებ“-ის მიერ 2019 წლის იანვარში განხორციელებული ცვლილება, როდესაც უცხოური ვალუტით დაფინანსებაზე ეკონომიკის დამოკიდებულების შესამცირებლად, გაზარდა დასაფინანსებელი სუბიექტის ზედა ლიმიტი 200,000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც დასაფინანსებელი თანხის გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

კონცენტრაციის რისკი

თიბისი ლიზინგს გააჩნია კონცენტრაციის რისკი, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესება სუბიექტებზე ან სექტორებზე დიდი ოდენობით დაფინანსების გაცემის გამო.

როგორც წესი, განვითარებად ბაზარზე მოქმედი სალიზინგო კომპანიების წინაშე თავს იჩენს კონცენტრაციის რისკები, როგორც ცალკეულ მომხმარებლებზე, ისე სექტორებზე. თიბისი ლიზინგს აქვს დაფინანსებული იურიდიული და ინდივიდუალური სუბიექტები, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებსა და გაუფასურების რეზერვის მაღალ ხარჯს. თიბისი ლიზინგის პორტფელი არის კარგად დივერსიფიცირებული სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, თუ გაიზრდება ჯამური დავალიანება მთავარ რისკის მატარებლებზე, შესაბამისად გაიზრდება რისკებიც.

კომპანია ფლობს საშუალებებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული სუბიექტებისა და სექტორული კონცენტრაციის, ეფექტური მართვისათვის. თიბისი ლიზინგს აქვს კონცენტრაციის ლიმიტები ცალკეული სუბიექტებისა და სექტორების, ასევე კონცენტრირებულია ამ პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, გვაქვს ტოპ 20 მსესხებელზე რისკ აპეტიტით განსაზღვრული ლიმიტების, რომელთა მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. თიბისი ლიზინგი განუწყვეტლივ ამოწმებს კონცენტრაციის რისკს, როგორც ცალკეული მსესხებლების, ასევე სექტორებისა და ძირითადი რისკის მატარებლების მიმართ და აწესებს ლიმიტებს რისკის შერბილების მიზნით. რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში, კომპანია აწესებს ლიმიტებს, როგორც ინდივიდუალური, ისე სექტორული კონცენტრაციებისთვის. წელიწადში ერთხელ გადაისინჯება რისკის აპეტიტის კრიტერიუმები წარმოქმნილი კონცენტრაციის რისკის შესამცირებლად. ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები. კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობების გამო განხორციელდა მკაცრი მონიტორინგი, მაკრო მოლოდინების საფუძველზე ტოპ 10 კორპორატიული მსესხებლის საქმიანობის შეფასების მიზნით.

თიბისი ლიზინგის საკრედიტო პორტფელი დივერსიფიცირებულია და მაქსიმალური პორტფელის მოცულობა ერთ უმსხვილეს დარგზე (სამშენებლო) შეადგენს სალიზინგო პორტფელის 3.9%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოცემული მაჩვენებელი გონივრულია და გვიჩვენებს სალიზინგო პორტფელის ადეკვატურ დივერსიფიკაციას. 2020 წლის ბოლოს 10 უმსხვილეს მსესხებელზე არსებული სალიზინგო პორტფელი მთლიანი პორტფელის 3%-ს შეადგენს, რაც რისკ აპეტიტის ფარგლებშია და პორტფელის შემდგომი დეკონცენტრაციის მიზნებიდან გამომდინარე მართვადია.

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული რისკი

თიბისი ლიზინგის საქმიანობას საფრთხეს უქმნის კოვიდ-19-ით გამოწვეული სხვადასხვა ტიპის ნეგატიური ეფექტები ეკონომიკაზე და ზოგადად ეკონომიკური ზრდის შენელებამ და დაგვიანებულმა აღდგენამ საქართველოში კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების გამო, ასევე სხვა შოკების წარმოქმნამ შესაძლოა დამატებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კლიენტების გადახდისუნარიანობაზე, შეზღუდოს მათი მომავალი საინვესტიციო და გაფართოების გეგმები. აღნიშნული გარემოებები აისახება პორტფელის ხარისხზე და მომგებიანობაზე, შეამცირებს პორტფელის ზრდის ტემპს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის მუშაობის შედეგები, რაც განაპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორიცაა სავალუტო კურსის გაუფასურება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, საყოფაცხოვრებო შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, უზრუნველყოფის დონის ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება. სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე ანგარიშის გაუარესებით (მაგ: შემცირებული ექსპორტი, და ტურისტების ნაკადები, ნაკლები ფულადი გზავნილები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები).

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის ბიუროს („საქსტატი“) პირველადი შეფასებით, 2020 წელს რეალური მშპ 6.2%-ით შემცირდა. საბაზისო სცენარში, ხანგრძლივი ლოქდაუნის ზემოქმედების, ასევე საქსტატის მიერ 2021 წლის მე-2 და მე-3 კვარტლების მშპ ინდიკატორების შემცირების კუთხით გადახედვის გათვალისწინებით, თიბისი კაპიტალის გამოთვლების საფუძველზე, ეკონომიკა 2021 წელს აღდგება 4.2%-ით. მსოფლიო ბანკის ბოლო პროგნოზების შესაბამისად⁷, საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება 4.0%-ით 2021 წელს, ხოლო 6.0%-ით 2022 წელს.

⁷ მსოფლიო ბანკი, გლობალური ეკონომიკური პროგნოზი, 2021 წლის იანვარი

კოვიდ-19-ის პანდემიის უარყოფითი ზემოქმედება ასევე მკვეთრი იყო ლარის გაცვლით კურსზე. 2020 წლის განმავლობაში ლარის აშშ დოლართან მიმართებაში 14.3%-ით 2.87-დან 3.28-მდე გაუფასურდა.

2020 წლის ბოლოს ლარის გაუფასურების მიუხედავად, სამომხმარებლო ფასი შემცირდა დაახლოებით 2.4%-ით, რაც უმთავრესად აიხსნება სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამით კომუნალური მომსახურებებისთვის. 2020 წლის განმავლობაში სებ-მა შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი 9%-დან 8%-მდე. შერბილებული ინფლაციის, ტურისტული ნაკადის აღდგენის და გაცვლით კურსზე ნაკლები ზეწოლის გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ტარიფის დამატებით თანდათანობით შემცირებას.

2020 წელს სები მნიშვნელოვნად ჩაერია სავალუტო ბაზარზე და მთლიანობაში გაყიდა 873.2 მილიონი აშშ დოლარი. ინტერვენციები ძირითადად დაფინანსდა საგარეო ვალით. საბიუჯეტო გეგმის შესაბამისად, დეფიციტი კვლავ მოცულობითი იქნება 2021 წელს. მისი მაჩვენებელი მშპ-თან შეფარდებით 7.6%-ს შეადგენს.

ეკონომიკური ციკლებისა და ფაქტორების მიმართ მგრძნობელობის შესამცირებლად კომპანია უზრუნველყოფს ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს რისკის აპეტიტის ფორმატში. მშობელი კომპანიის მასშტაბით შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საქართველოში და ასევე მის მეზობელ/პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენების მუდმივ დაკვირვებას, რათა დროულად მოხდეს გარდაუვალი ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. ეს პროცესი საშუალებას გვაძლევს სწრაფად შევაფასოთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გავაანალიზოთ მათი გავლენა კომპანიის მუშაობის შედეგებზე. იდენტიფიცირებული სიგნალები ანალიზდება და საჭიროებისამებრ აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში, მაგალითად დაკრედიტების სტანდარტებისა და რისკ აპეტიტის ლიმიტების გადასინჯვა-შეზღუდვაში. ამასთან, კრედიტის განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტები და სცენარებად ანალიზი საშუალებას აძლევს კომპანიას წინასწარ შეაფასოს მაკროეკონომიკური შოკების გავლენა ბიზნესსა და პორტფელზე. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია კომპანიის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ კლიენტები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას კრედიტის მომსახურების გონივრული დონის და სათანადო უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

თაღლითობის რისკი

თიბისი ლიზინგის საქმიანობის თანდაყოლილი საოპერაციო რისკის ნაწილია გარე და შიდა თაღლითობის რისკები. ფინანსური სექტორის დიჯიტალიზაციასთან ერთად, ოპერაციების მზარდი სირთულისა და მრავალფეროვნების გამო, იზრდება თაღლითობის რისკები. პროაქტიული მართვის გარეშე თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ მომგებიანობასა და რეპუტაციაზე.

გარე თაღლითობა კომპანიის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებისგან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს კომპანიის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. არცერთ შემთხვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად, თაღლითობის საფრთხე და ციფრული დანაშაულის სწრაფი ზრდა გაძლიერდა და თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკას და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მისათვისებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ მონიტორინგი და მართვა, პოტენციური ზემოქმედება შეიძლება არსებითი იყოს.

კომპანია ახორციელებს აქტიურ მონიტორინგს, აღმოაჩენს და თავიდან იცილებს თაღლითობის რისკებს. ძირითადი მიმართულებაა პროცედურებში ორმაგი კონტროლის და სხვა აღმკვეთი მექანიზმების დანერგვით რისკის მინიმუმამდე შემცირება. შექმნილია მუდმივი მონიტორინგის პროცესები უჩვეულო ქმედებების დროულად აღმოსაჩენად. რისკისა და კონტროლის თვითშეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ძირითადი პროცესების ნარჩენ რისკებზე, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და შერბილებაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის შედეგად, შიდა პროცესების დიდი სირთულის მიუხედავად, კომპანია უზრუნველყოფს თაღლითური საქმიანობის დროულად აღმოჩენასა და კონტროლს.

ორგანიზაციის რისკის მართვა

ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას. ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ ღონისძიებებს, როგორებიცაა: აგრეგირება, ანალიზი და რეპორტირება და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არაა სპეციფიკური მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართულებისთვის. უზრუნველყოფს პროცედურების ჰარმონიზაციას ოპტიმალური აღმკვეთი მექანიზმების დასანერგად, ხელს უწყობს სამართავი საკითხების ლოგიკურ და ეფექტიან მოძრაობას მიმართულებებს შორის, ფასილიტაციას უკეთებს ისეთი საკითხების მოგვარებას, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა დეპარტამენტის ჩართულობას.

სტრეს-ტესტები რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მითიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. თიბისი ლიზინგის ეყრდნობა ჯგუფის დონეზე მაკრო-ეკონომისტების მიერ პროგნოზირებულ სცენარებს და ახორციელებს მათ ანალიზს, რათა განხილული იყოს შესაძლო შედეგები და კომპანიამ შეინარჩუნოს ადეკვატური კაპიტალი. კოეფიციენტებთან შესაბამისობა და სტაბილური ფინანსური მდგომარეობა;

ERM-ის მნიშვნელოვანი ამოცანაა ასევე რისკის მართვის პრაქტიკის თანმიმდევრულობა. რისკების მართვის ფუნქცია, რომელიც მიმართულია თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ, გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და მართვას ოპტიმალური გზით.

რისკის შესაფერისი უკუგების გენერირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნეს მოდელის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. რისკების გათვალისწინება ფასწარმოქმნის პროცესში ისე ხორციელდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭარბი ოდენობით რისკის აღება და უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ კომპანია იღებს ადეკვატურად შეფასებულ რისკს.

საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკების მართვის მიზანია კომპანიაში არსებობდეს გამართული პროცესები რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობას მისაღები რისკის დონის ფარგლებთან. ასევე, ეფექტურად დანერგილი პროცესები უზრუნველყოფს პორტფელში არსებული საკრედიტო რისკების დროულ აღმოჩენას, გაზომვასა და მონიტორინგს.

ლიზინგის დამტკიცება

თიბისი ლიზინგის მიზანია უზრუნველყოს სალიზინგო დაფინანსების ჯანსაღი პროცესის არსებობა, ლიზინგის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და კლიენტის რისკის პროფილის შეფასების ეფექტიანი პროცესის მეშვეობით. თიბისი ლიზინგში არსებობს საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი ჩარჩო, სადაც ცალსახადაა გამიჯნული დაფინანსების ანალიზი და დამტკიცებაში მონაწილე მხარეების მოვალეობები. დაფინანსების შეფასების პროცესი განსხვავდება სხვადასხვა პროდუქტების მიხედვით, იმისთვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორატიული, მიკრო, მცირე, საშუალო და საცალო ლიზინგების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე. ლიზინგის მიმღების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო განყოფილება ამზადებს პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და წარადგენს განსახილველად საკრედიტო რისკების მართვის განყოფილებაში. რისკების მენეჯერი აფასებს პროექტს და უზრუნველყოფს, რომ ანალიზი არის სრულყოფილი, ყველა სახის რისკი და შესაბამისი მითიგაციის გზები იდენტიფიცირებულია და სათანადოდ გათვალისწინებული.

საკრედიტო კომიტეტის სტრუქტურა მრავალდონიანია და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია ლიზინგის მიმღების ჯამური დავალიანების შესაბამისად. აღნიშნული საკრედიტო კომიტეტები პასუხისმგებელი არიან განიხილონ და დაამტკიცონ საკრედიტო განცხადებები, სხვადასხვა მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი და რისკების დირექტორი. ამასთან, თუ ლიზინგის მიმღების საკრედიტო განაცხადის ოდენობა აღემატება თიბისი ლიზინგის კაპიტალის 15%, მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტის მიერ განხილვა და დამტკიცება. მიკრო, მცირე, საშუალო და საცალო ლიზინგების დაფინანსების გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების მიერ, სადაც კომიტეტზე განაცხადის განხილვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო ბიუროს მიერ წარმოდგენილი რეიტინგები. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების საკრედიტო პროფილის მიხედვით და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან.

ლიზინგის მონიტორინგი

თიბისი ლიზინგის რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. თიბისი ლიზინგი მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს ინდუსტრიის სხვადასხვა სეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. კომპანია იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას მაკრო და მიკრო მოვლენებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად. საკრედიტო პორტფელში არსებული სისუსტეების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი გადაწყვეტების ჩამოყალიბებისათვის. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ ინდუსტრიის სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური დაფინანსების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე.

რესტრუქტურიზაცია და თანხების ამოღება

თიბისი ლიზინგი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის კომპლექსურ სისტემას საყურადღებო ლიზინგების იდენტიფიცირებისა და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მყისიერად მისაღებად. პროცესების დეტალური განხილვა შიდა საკომიტეტო განხილვის ფორმატში ხდება 30 კალენდარული დღის ვადაგადაცილების დადგომისთანავე: როდესაც მსესხებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის სალიზინგო საზღაურის გადახდას. რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები ახორციელებენ გადახდისუნარო მსესხებლების მართვას ყველა ბიზნეს მიმართულებებზე ვადაგადაცილებათა მართვისა და პრობლემური ლიზინგების ამოღების სტრატეგიებით, მორგებული ბიზნეს მიმართულებებზე და ინდივიდუალური დავალიანებების სპეციფიკაზე. რესტრუქტურიზაციების ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და ლიზინგის გადაყვანა სტანდარტულ კატეგორიაში. რეაბილიტაციის პროცესის კომპლექსურობა დამოკიდებულია ლიზინგის ტიპსა და სიდიდეზე, აქტივის ლიკვიდობასა და ლიზინგის მიმღების ფინანსურ მაჩვენებლებზე. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის მსესხებლები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა კომპანიის შემოსავლების მკვეთრი გაუარესებით, გადახდისუნარობით, გაკოტრებით, აქტივების ღირებულების მკვეთრი შემცირებით და ა.შ., სალიზინგო ვალდებულების დაფარვის გეგმები შეიძლება მოიცავდეს სალიზინგო დავალიანების ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, როგორებიცაა: მსესხებლის აქტივების გაყიდვა, უზრუნველყოფის რეალიზება ან გარანტორების/თავდებების გამოყენება.

სალიზინგო დავალიანების ამოღების პროცესში პრობლემური აქტივების განყოფილების მიზანია გადახდებთან დაკავშირებული სტრატეგიის დამუშავება და შეთანხმება მსესხებელთან, რაც შეიძლება მეტი ოდენობით თანხის ამოღება ან სალიზინგო ვალდებულების გადახდაზე მოლაპარაკება უზრუნველყოფის გაყიდვით ან დასაკუთრებით.

რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება ახორციელებს ვადაგადაცილებული მსესხებლების ფინანსურ მონიტორინგს, შესაბამისი პროექტების მომზადებას, კომიტეტზე გადატანას და დამტკიცების ან დამატებითი პირობების მოთხოვნის შემდგომ შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. მათი ძალისხმევა, როგორც თავად განყოფილების რესურსით, ასევე აღმასრულებლის ჩართულობით მიმართულია სალიზინგო ვალდებულებების ამოღების მაქსიმიზაციისკენ.

სალიზინგო ვალდებულებების დაფარვის სტრატეგიები განისაზღვრება ლიზინგის ოდენობის, ბიზნესის სპეციფიკისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეტი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს.

ლიზინგის მიმღები კომპანიები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა 60-90-დღიანი ვადაგადაცილების შემდგომ შინაარსობრივი განხილვის საფუძველზე.

პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაზე გადაცემის შემდეგ, როდესაც კომპანიას არ შეუძლია მხარეთათვის მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკება, სალიზინგო კომპანია იწყებს უზრუნველყოფის დასაკუთრებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც საზოგადოდ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, და შეიძლება საჭირო იქნეს სასამართლო, საარბიტრაჟო ან ნოტარიული პროცედურები. რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის ქვედანაყოფებში მუშაობენ კვალიფიციური ექსპერტები, იურისტები სასამართლო დავისა და დასაკუთრების პროცესების ეფექტურად წარმართვისა და აღსრულებისათვის.



მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიტიკა სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებასა თუ პროდუქტებში, ასევე სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია.

2018 წლის იანვრიდან კომპანია გადავიდა დარეზერვების ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაზე „ფასს 9“-ის მოთხოვნების შესაბამისად. ახალი სტანდარტის მოთხოვნაა მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის შეფასება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით.

პროექტი მშობელი კომპანიის ჯგუფის დონეზე განხორციელდა დიდი ოთხეულის წევრი კომპანიის, Deloitte-ის დახმარებით. მეთოდოლოგიის დანერგვაზე კომპანიის მხრიდან პასუხისმგებლები იყვნენ ჯგუფის რისკების, ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტები. ახალი მოდელები უფრო კომპლექსურია და იძლევა მასში მოსალოდნელი მაკრო მოვლენების ჩართვის შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვრული სცენარების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისთვის კომპანია იყენებს ოთხ კომპონენტს: (i) დეფოლტის ალბათობა ("PD"); (ii) დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"); (iii) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"); და (iv) დისკონტირების განაკვეთი (DF). ECL გაზომვის დროს კომპანია იყენებს სამ საფეხურიან მოდელს და ახდენს თავისი მსესხებლების კლასიფიკაციას შემდეგ ეტაპებად:

- I კატეგორია - კომპანია ახდენს პორტფელის კლასიფიკაციას I კატეგორიაში, თუ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- II კატეგორია - აქტივი კლასიფიცირდება II კატეგორიაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება გაუფასურებულად;
- III კატეგორია - ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც დადგა გაუფასურების მაჩვენებლები, კლასიფიცირებულია, როგორც III კატეგორიის ინსტრუმენტები.

ECL-ს გამოთვლა განსხვავდება მოცემული სამი კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით:

- I კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს საკრედიტო ზარალს, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საანგარიშო თარიღიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით.
- II კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტები - ECL წარმოადგენს ECL-ს ინსტრუმენტის მთელი სიცოცხლის მანძილზე, ე.ი. მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. არსებობის მთლიანი პერიოდი არის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი სახელშეკრულებო გადახდის ვადა.
- III კატეგორიის ინსტრუმენტები - დეფოლტის შემთხვევა უკვე დადგა და ECL სასიცოცხლო ციკლი შეფასდა მოსალოდნელი ამოღებების საფუძველზე.
- კომპანია აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს 9 მოდელებიდან წარმოებულ შედეგებს იმის დასადასტურებლად, რომ შექმნილი რეზერვები ადეკვატურად მოიცავს მოსალოდნელ ზარალს.

კოვიდ-19 -ზე რეაგირება

კოვიდ-19 პანდემიაზე რეაგირების მიზნით, ჯგუფმა დაადგინა მეტად მოწყვლადი სექტორები და განსაზღვრა გადახდების გადავადების, რეფინანსირების ან რესტრუქტურისაციის სტრატეგიები ყველა ბიზნეს მიმართულებაში. პანდემიის გავრცელებისთანავე კომპანიამ უზრუნველყო გადახდების საყოველთაო გადავადება, მოგვიანებით კი საშეღავათო პერიოდები შეეხოთ ფიზიკურ პირებს და ისეთი იურიდიულ პირებს, რომლებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა მთავრობის ე.წ. „ლოქდაუნებმა“. მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური მხარდაჭერის პროგრამა დაზარალებული სექტორებისთვის, როგორებიცაა რესტორნები, სასტუმროები და ა.შ. თიბისი ლიზინგი ახორციელებს ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს მსესხებლის შესუსტებული ფინანსური და ბიზნეს პერსპექტივების დასადგენად მათთვის რესტრუქტურისაციის გეგმის შეთავაზების მიზნით, რომელიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

პარალელურად, თიბისი ლიზინგი აქტიურად ახორციელებს სტრეს-ტესტებს და სცენარულ ანალიზს მსესხებლების მდგრადობის შესამოწმებლად სხვადასხვა სტრესულ პირობებში. სტრეს ტესტები მოიცავს დაშვებებს ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების, მშპ-ს ზრდის, სექტორული ზრდის, უმუშევრობის, ინფლაციის, უძრავი ქონების და საქონლის ფასების ცვლილებების, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების და საკრედიტო და სადეპოზიტო პორტფელების განვითარების შესახებ.

კომპანიამ გადახედა დაკრედიტების სტანდარტებს კოვიდ-19 პანდემიის გათვალისწინებით და გაამკაცრა ისინი შესაბამის შემთხვევებში. სტანდარტების გადახედვა და გამკაცრება, სხვა ზომებს შორის, მოიცავდა შემდეგს: ცვლილებები გადაწყვეტილების მიღების და დამტკიცების უფლების დელეგირებაში მოწყვლადი სექტორის წარმომადგენლებისთვის, გამოყენებული რისკის

ფაქტორი დაზარალებული სექტორების ინდივიდუალური მსესხებლების შემოსავლებზე და მაკროეკონომიკური სექტორული მოლოდინების ინტეგრაცია შეფასების პროცესში ბიზნეს მსესხებლებისთვის.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტიტუტების მთავარი მიზანი მომგებიანობის ზრდაა, რასაც კომპანიამ შეიძლება გაზრდილი რისკიანობით მიაღწიოს. ამიტომ ამ რისკების ეფექტური მართვა მთავარი თიბისი ლიზინგის საქმიანობაში. მსგავსად სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა, თიბისი ლიზინგიც დგას ფინანსური რისკების წინაშე, განიცდის მათ სერიოზულ ზეგავლენას რაც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ლიზინგის, როგორც მომსახურების მახასიათებლებთან და ეკონომიკურ მოდელთან.

კომპანია დგას შიდა და გარე ფაქტორებით განპირობებულ რისკების წინაშე, სწორედ ამ რისკების დადგენის შედეგად მატერიალური ზარალის თავიდან აცილებას ან შემცირებას ემსახურება ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც თიბისი ლიზინგში ყოველდღიურად გამოიყენება.

თიბისი ლიზინგი, დასახული მიზნების მისაღწევად მოქმედებს წინასწარ შემუშავებული პრინციპების ფარგლებში, რომლებიც დეტალურად განხილულია შემდგომში.

ლიკვიდურობის რისკი

თიბისი ლიზინგისათვის ლიკვიდურობის რისკი პირველხარისხიდან წარმოადგენს გადახდისუნარიობას ან გადახდისუნარიანობას, მხოლოდ მაღალი ღირებულების დანახარჯებით. ვინაიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა ლიზინგით დაფინანსებაა, მისი იმპერატიული მიზანია მუდმივად უზრუნველყოს მოსალოდნელი მოთხოვნის შესაბამისად მხარეთა დაკმაყოფილება და უზრუნველყოს ძირითადი საქმიანობის მხარდაჭერა. რისკის მოცულობის გაზომვით და იდენტიფიცირებით, კომპანიას საშუალება აქვს დაუყონებლივ მიიღოს სათანადო საჭირო ზომები - აამუშავოს დაფინანსების გეგმა დესტრუქციის და გაუთვალისწინებელი დამატებითი გარემოებების შესაბამისად, ადგილობრივ ბანკებთან და უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებთან წარმატებული პარტნიორობის გამოცდილების და მხარდაჭერის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკის დონის გასაზომად თიბისი ლიზინგი რამდენიმე მეთოდს, მათ შორის - ლიკვიდური აქტივების და ფულადი სახსრების მოძრაობის მეთოდს მიმართავს. ინდივიდუალური და კომბინირებული შეფასების შედეგად ხდება ფულადი სახსრების მოძრაობის მოკლევადიან, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გადინების შემოდინებასთან შესაბამისობაში მოყვანა, სადაც გაითვალისწინება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული რესურსი - ლიზინგის ხელშეკრულების დაფარვებიდან და კომპანიისათვის ხელმისაწვდომი დაფინანსება. ლიკვიდური აქტივების მიდგომისას კი კომპანია ითვალისწინებს მართივად ხელმისაწვდომ საბალანსო აქტივებს, რომლებიც არაა დაგირავებული და თავისუფლად შეიძლება უტილიზირდეს, მაგალითისათვის ასეთი აქტივები კომპანიისათვის არის სხვადასხვა ბანკში განთავსებული ვადიანი ანაბრები, სადეპოზიტო ხელშეკრულებები და სხვა ინსტრუმენტები.

შიდა ინსტიტუციონალური და გარე ფაქტორების წინასწარ დადგენის საფუძველზე კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის სტრეს ტესტირებას ნაკადების მოძრაობის მამოძრავებელი ძალების და ბიზნეს ლანშაფტის ანალიზით. პროგნოზირების შედეგად აფუძნებს სტრატეგიულ ალტერნატივებს მსუბუქი, სისტემური და ძლიერი ზეგავლენის მიხედვით. ამასთანავე, თიბისი ლიზინგი ლიკვიდურობას გამოცდის მომსახურების ან დაფინანსების არასტაბილურობის წინააღმდეგ, ანალოგიურად კოვიდის გავლენაზე დაფუძნებული სცენარებისა.

სხვაობის ანალიზთან ერთად კომპანია აფასებს და უზრუნველყოფს რისკის შესაბამისობის კონტროლს 3 თვიდან 1 წლამდე პერიოდისათვის ფინანსური ინდიკატორების - მიმდინარე კოეფიციენტის, ვალდებულებების თანაფარდობის კოეფიციენტის, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის საშუალებით.

თიბისი ლიზინგის პორტფელის საშუალო ვადიანობა 36 თვეს შეადგენს, ინარჩუნებს რა იგი პოზიტიურ ლიკვიდურობის პორტფელს მოკლე და საშუალო ვადის ჭრილში. კომპანია განიზრახავს დანერგოს ახალი პროდუქტები, რომელთა ვადიანობა 72-120 თვე იქნება, შედეგად მოხდება ლიკვიდურობის სხვაობის დაბალანსება გრძელვადიანი ელემენტებისათვის.

ლიკვიდურობის ინდიკატორებს არსებული და სავარუდო პროგნოზირებისათვის ეცნობა კომპანიის ხელმძღვანელობა, სამეთვალყურეო საბჭო, დამფუძნებელი კომპანია და კრედიტორები.

თიბისი ლიზინგი ჩვეულებრივ ზღუდავს ფულადი სახსრების დონეს, რათა მიიღოს მაქსიმალური მომგებიანობა და უზრუნველყოს არსებული აქტივების ეფექტიანი ამონაგები. პანდემიისას ლიკვიდურობის კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კომპანიამ შეინარჩუნა ლიკვიდურობის მაღალი დონე (მოთიანი აქტივების 10%-ზე მეტი)



და როგორც მაჩვენებლები ადასტურებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას კომპანიის ფინანსურ სიტუაციასა და მომგებიანობაზე მხოლოდ მინიმალური უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა.

რისკის საფუძვლიანი შეფასების, ფულადი სახსრების მოძრაობის დეტალური პროგნოზირებისა და დივერსიფიცირებული ინვესტიციის მოზიდვის სტრატეგიის წყალობით კომპანიას საშუალება ეძლევა განახორციელოს გრძელვადიანი ორგანიზაციული და ფინანსური მიზნები.

კაპიტალის რისკი

კომპანია დგას კაპიტალის რისკის წინაშე, რაც გულისხმობს კრედიტორების მხრიდან დაწესებული მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, რამაც შეიძლება კომპანია დააყენოს „event of default“-ის წინაშე და კრედიტორებმა მოითხოვონ არსებული სესხების აქსელერაცია.

სალიზინგო საქმიანობა არ წარმოადგენს რეგულირებად ბიზნეს საქმიანობას საქართველოში და შესაბამისად, სალიზინგო კომპანიებზე არ ვრცელდება ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნები. თუმცა, ზოგადად სალიზინგო ბიზნესი ხასიათდება მაღალი ლევერიჯით და დაბალი კაპიტალიზაციით. მიუხედავად ამისა კომპანიას საერთაშორისო და ადგილობრივი კრედიტორების მხრიდან დაწესებული აქვს მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები რომელთაგანაც ყველაზე მაღალი 9%-ია Tier-1 კაპიტალის შემთხვევაში, ხოლო Tier1 + Tier2 კაპიტალის შემთხვევაში 18%. გამომდინარე იქიდან რომ კომპანიის აქტივების 51% დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, არსებობს რისკი რომ ლარის მყისიერი გაუფასურების შემთხვევაში შესაძლოა დაირღვეს დაწესებული ლიმიტები. აღსანიშნავია, რომ ლარის 10%-იანი გაუფასურების შემთხვევაში კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტის შემცირება მოსალოდნელია 0.45pp-ით. კომპანია მუდმივად აწარმოებს სტრესტესტებისა და სენსიტიურობის ანალიზს, რათა პროაქტიულად მოახდინოს საჭირო კაპიტალის ბუფერების განსაზღვრა და შექმნა. ამავდროულად კომპანიას გააჩნია მყისიერად ხელმისაწვდომი წინასწარ დამტკიცებული დამატებითი საემისიო კაპიტალი 2.5მლნ ლარის მოცულობით, რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროების შემთხვევაში.

კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში. კომპანიის ხელმძღვანელობის მიზანია შეინარჩუნოს კაპიტალის ადეკვატური დონე, როგორც კომპანიის ბიზნეს საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელების, ასევე კრედიტორების მიერ დაწესებული მოთხოვნებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. აღნიშნული რისკი შეიძლება წარმოიშვას განსხვავებით ცვლად განაკვეთში დაფინანსებული ლიზინგის ხელშეკრულებებსა და ცვლად განაკვეთში მოზიდულ ფინანსურ რესურსების მოცულობას შორის.

2020 წელს თიბისი ლიზინგმა მომხმარებელს პირველად შესთავაზა ცვლად განაკვეთიანი ლიზინგით სარგებლობის შესაძლებლობა, რის შედეგადაც შეამცირა საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედება - გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულებების განმსაზღვრელი ფაქტორების შეუსაბამობით. არსებული მდგომარეობით კომპანია ემსახურება მთლიანი პორტფელიდან 20%-ის ოდენობით ცვლადგანაკვეთიან ხელშეკრულებას. ასეთი ხელშეკრულებები ინდექსირებულია საბაზრო საპროცენტო საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. რეფინანსირების განაკვეთზე. კომპანიის მიერ გაცემული ცვლადგანაკვეთიანი ლიზინგებისა და წილი, კომპანიის მიერ ათვისებული ცვლადგანაკვეთიანი სასესხო ვალდებულებებიდან ერთმანეთთან შესაბამისობაშია, ამასთან, კომპანიის მიერ მოზიდული ცვლადგანაკვეთიანი ინვესტიციით დაფინანსებულია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სალიზინგო ხელშეკრულებები. შედეგად მიღწეულ იქნა სამართლიანი თანაფარდობა - ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იცვლება დაფინანსების ხარჯების შესაბამისად, ხოლო სალიზინგო გადასახადები საბაზრო განაკვეთის შემცირების შესაბამისად უმცირდებათ მომხმარებლებს, ამ მიდგომის წყალობით კომპანიას მიეცა საშუალება გაეუმჯობესებინა მნიშვნელოვანი შეფასების საკვანძო ინდიკატორები.

საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის ანალიზი მისაღები აქტივებისა და გადასახდელი ვალდებულებების ვადიანობის შეფასების საფუძველზე ხორციელდება. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს ნორმალური ტიპის შემოსავლიანობის მრუდი, რაც გრძელვადიანი და მოკლევადიანი შემადგენელი შესატყვისი კომპონენტების ჰეჯირებით მიიღწევა.

გარდა ჰეჯირების მიდგომისა, საკრედიტო რისკების მართვასთან ერთად კომპანია ინარჩუნებს დივერსიფიკაციის სტრატეგიას და უზრუნველყოფს ინდუსტრიის მიხედვით პორტფელის გამრავალფეროვნებას.

სავალუტო რისკი

თიბისი ლიზინგი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ამრიგად, მცურავი გაცვლითი კურსის ბაზარზე ოპერირებას კურსის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის უცხოურ ვალუტაში გაცხადებულ აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. სავალუტო რისკები წარმოიქმნება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამო პოზიციიდან, შედეგად, მოულოდნელმა რყევებმა და არასტაბილურობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მომგებიანობას. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად დადგენილი დასაშვები რისკის მოცულობის ზღვრების დაცვით ყოველდღიურად ხდება რისკის მართვა.

რადგან თიბისი ლიზინგი სავალუტო რისკების ზეგავლენას განიცდის მას გააჩნია კორპორატიული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს გავლენის აღმოფხვრას. პოლიტიკის სწორად განსასაზღვრად და ადეკვატური ზომების მისაღებად მნიშვნელოვანი ეტაპია რისკების გამოვლენა და იდენტიფიცირება სწორ დროს, რადგან ფინანსური რისკების მართვა შეუძლებელია ამ რისკების გაზომვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის გარეშე, რომელსაც კომპანიაში საფუძვლად ედება ყველა არსებული ფაქტი და მოსალოდნელი დაშვება.

მეთოდოლოგიის შესაბამისად ინდივიდუალურად და ჯამურად, მთავარ საოპერაციო ვალუტის - ევროსა და დოლარის ღია სავალუტო პოზიციებზე ხდება დაკვირვება. ადეკვატური შემოღებები ვრცელდება პოზიციებზე დამათი სათანადო მაჩვენებლების წარდგენა ხდება კომპანიის ხელმძღვანელობისა და ჯგუფის დონეზე.

კომპანიაზე სავალუტო რისკის ზემოქმედების ხარისხს მაკონტროლებელი მხარეები განიხილავენ ცალკეული ვალუტის რისკის კოეფიციენტის, საერთო სავალუტო რისკის კოეფიციენტის და ღია სავალუტო პოზიციის მაჩვენებლების მიხედვით. კომპანია სავალუტო ექსპოზიციას ზღუდავს მისი კაპიტალის მიხედვით, მისი მაქსიმალური დასაშვებობა განსაზღვრულია 10%-ით.

ყოველდღიური საქმიანობის და ვალუტის რყევამ შეიძლება გამოიწვიოს ზარალი რომლის აღმოფხვრა ხორციელდება ვალუტის ექსპოზიციის მართვის, მოლოდინების შეფასებისა და ჰეჯირების საშუალებით. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს დახურული პოზიცია, რისთვისაც იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ჰეჯირების ოპერაციები კომპანიის ჰეჯირების და რისკების მართვის სტრატეგიის შესაბამისად იწარმოება და მოიაზრებს ფორვარდული გარიგებების, სვოპ კონტრაქტების, სპოტ კონვერტაციებისა და ქართულ სავალუტო ბაზარზე არსებულ სხვა ფინანსური პროდუქტებით სარგებლობას. ფინანსური აქტივობა, ლიზინგის პორტფელის ცვლილება და მოზიდული უცხოური ინვესტიცია შეიძლება დაექვემდებაროს ჰეჯირებას შესაბამის ურთიერთობაში შესვლის მომენტიდან.

შედეგად დახურული სავალუტო პოზიცია იცავს კომპანიას არასასურველი რყევებისაგან და ლარის გამყარებისას თუ გაუფასურებისას ეხმარება პოტენციური ზარალის არიდებაში.

ბოლო წლების მანძილზე თიბისი ლიზინგი ინარჩუნებდა ჰეჯირებულ პოზიციას სავალუტო რისკებისგან თავის დასაცავად, რა დროსაც აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიცია საშუალოდ 4%-ის ფარგლებში მერყეობდა.

(ათასი ლარი)	2020 წლის 31 დეკემბერი		2019 წლის 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგებაზე გადასახადების გადახდამდე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე გადასახადების გადახდამდე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის ან ევროს გამყარება 10%-ით (2019:10%-ით)	233	233	(282)	(282)
აშშ დოლარის ან ევროს გაუფასურება 10%-ით (2019:10%-ით)	(233)	(233)	282	282

არაფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო რისკის მართვა

კომპანიის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის მოვლენების, არაადეკვატური პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის დესტაბილიზაციის და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იურიდიული, რეპუტაციული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზარალს.

კომპანიას შეეხება უნევს მრავალი სახის საოპერაციო რისკთან, მათ შორისაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, არსებობს ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება, როგორებიცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შენელება ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც კომპანია მომსახურებას გარე მომწოდებლისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს და როგორც ფინანსური მომსახურების, ისე პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ზარალის მიღების რისკი. მნიშვნელოვანი მექანიზმია რისკისა და კონტროლის თვითშეფასება (RCSA), რომლის მიზანია ოპერაციებისა და პროცესებში შესაძლო ნაკლოვანებების აღმოჩენა სათანადო გამოსასწორებელი ღონისძიებების შესათავაზებლად, რაც მოიცავს, როგორც პროცესების და პროცედურების სრულყოფას, ისე სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობას რისკების ტრანსფერისთვის.

საოპერაციო რისკის შემთხვევის იდენტიფიკაციის ხდება მისი რეპორტირება მშობელი კომპანიის ჯგუფის დონეზე, ხდება მათი სისტემური ანალიზი და სამომავლო აღმკვეთი და მიმდინარე გამოსასწორებელი გზების ძიება.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML)

კომპანიას აქვს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) მაღალი სტანდარტი და მოითხოვს ყველა თანამშრომელმა და ხელმძღვანელობამ დაიცვან აღნიშნული სტანდარტები თიბისი ლიზინგის პროდუქტების და მომსახურებების ფულის გათეთრების / ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების პრევენციისთვის. კომპანიის AML/CTF პროგრამა ეფუძნება მოქმედ იურიდიულ და ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება FATF რეკომენდაციებს, ევროკავშირის რეგულაციებს და საუკეთესო პრაქტიკას.

კომპანიის AML/CTF შესაბამისობის პროგრამა, რომელიც განხორციელდა, მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის და არა მხოლოდ: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; KYC და მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ჩამონათვალის მიხედვით; ფინანსური და სხვა სანქციების ჩამონათვალს, პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ინფორმირებულობის ამაღლებას; და კომპანიის მომხმარებლების საექსპო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს;

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, იურიდიული განყოფილება, რომელიც ასრულებს AML ფუნქციებს, უზრუნველყოფს რისკების მართვას კომპანიის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს ძლიერ რისკის კულტურას ორგანიზაციის მასშტაბით.

მარეგულირებელი ცვლილებების შემდეგ, კომპანიამ შეიმუშავა ახალი AML პოლიტიკა, რომელიც მოგვიანებით დამტკიცდა. ახალი რეგულაციით გაფართოვდა პოლიტიკურად გავლენიანი პირის (PEP) დეფინიცია, და დაწესდა დამატებითი მოთხოვნები „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC).

იურიდიული რისკი

კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მართავს ყველა იურიდიულ და დაკავშირებულ საკითხებს კომპანიის საქმიანობების შესახებ. მისიის შესრულებისას, რომელიც ითვალისწინებს ასეთი საქმიანობების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას ყველა მოქმედ კანონთან და რეგულაციებთან, იურიდიული ჯგუფი უზრუნველყოფს პროფესიულ იურიდიულ მომსახურებას:

(ii) მას ურთიერთკავშირი აქვს შიდა და გარე კლიენტებთან, გარეშე კონსულტანტებთან, მთავრობასთან და მარეგულირებელ ორგანოებთან; (iii) წარმოადგენს შენიშვნებს და დასკვნებს; (iii) ადგენს სტანდარტულ და ინდივიდუალურ კონტრაქტებს; (iv) ამზადებს კორპორატიულ გადაწყვეტილებებს (v) ახორციელებს რეგულარულ განახლებებს; და (vi) წარმოადგენს კომპანიას სასამართლოებში, დავის გადაწყვეტის სხვა ადგილებში და მესამე მხარეების წინაშე. იურიდიული ჯგუფი, რომელიც შედგება სხვადასხვა გამოცდილების მქონე იურისტებისგან, მოიცავს შემდეგ ძირითად განყოფილებებს: იურიდიული მხარდაჭერის და ადმინისტრირების; კრედიტის ადმინისტრირების; ინვესტორებთან ურთიერთობები / ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციების; კორპორატიული მართვის, AML / შესაბამისობის განყოფილებები. თითოეული განყოფილება მოქმედებს მკაფიო და კონკრეტული სამუშაო ინსტრუქციების ფარგლებში, მისი წევრების ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. დეპარტამენტი უზრუნველყოფს მისი მოვალეობების ეფექტურ განხორციელებას სხვადასხვა პროცესებით და პროცედურებით..

კომპანიის მთავარი იურისტ-კონსულტანტი მართავს იურიდიულ დეპარტამენტს. ის განსაზღვრავს ძირითად ბიზნეს მიზნებს ყველა იურიდიული ჯგუფისთვის, ნერგავს პოლიტიკას და უზრუნველყოფს მოვალეობების ეფექტურ შესრულებას. ის ანგარიშს პირდაპირ რისკის ოფიცერს აბარებს არსებული იურიდიული რისკების, მათი შერბილების სტრატეგიების და ეფექტური მართვის ხედვის შესახებ მომავალში.

ქცევის რისკი

ქცევის რისკი განმარტებულია, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

თიბისი ლიზინგის ქცევის კოდექსი, ყველა დასაქმებულისთვის ადგენს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომელიც უნდა დაიცვას თითოეულმა თანამშრომელმა.

თანამშრომლები ზედმიწევნით ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. იმისთვის, რომ შენარჩუნებული იყოს კომპანიის ოპერაციებისადმი ნდობა და დამატებლობა, როგორიცაა: ნდობა, ერთგულება, წინდახედულობა და სიფრთხილე თანამშრომლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

კომპანიის მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინვესტორების ჯგუფის წინაშე და სჭირდება წესებისა და მექანიზმების შემუშავება მომხმარებლის დასაცავად ინვესტორებისა და ფინანსური ბაზრების ნდობის შესანარჩუნებლად. კომპანიის დირექტორები ცდილობენ დანერგონ კარგი ქცევის პრინციპები და ამასთან დაკავშირებით აქტიური კომუნიკაცია აქვთ თანამშრომლებთან.

თიბისი ლიზინგის რისკების დეპარტამენტი, საოპერაციო დეპარტამენტი და HR განყოფილება თანამშრომლობენ ერთმანეთთან რათა შექმნან ქცევის რისკის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნეს მიმართულებებს და სხვა დეპარტამენტებს:

- პოლიტიკისა და პროცედურების დანერგვასა და მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამის დეპარტამენტებისა და ცალკეული თანამშრომლების, მიერ მარეგულირებელი დებულებების საუკეთესო პრაქტიკისა და „ქცევის კოდექსის“, „ეთიკის კოდექსის“ და ჯგუფის შიდა წესების დაცვა;
- მომხმარებლისთვის, თანამშრომლის მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაეცეს, (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიხედვით.
- მნიშვნელოვანია, კლიენტებთან ისეთი საუბრების და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვა, რომლებიც შეიცავს გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას კლიენტის მოზიდვაზე და რთული პროდუქტები შეთავაზებაზე არსებული და სავარაუდო კლიენტებისთვის.
- ახალი თანამშრომლებისთვის, გაცნობითი დროული ტრენინგის ჩატარება სათანადო ქცევის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად თანამშრომლებს უტარდებოდეთ ტრენინგები, სადაც გაეცნობიან შესაბამის სტანდარტებს, რომლებიც ვითარდება და სიახლეებს
- ჯანსაღი კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბება, ხელს უწყობს თანამშრომლების გახსნილობას, ისაუბრონ ღიათ . კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისთვის, ეთიკური წახალისებისა და ბონუსების ფორმირების შექმნას, მოტივაციისა და დისციპლინური პრაქტიკების შესაბამისობაში მოყვანას.
- ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქცევის რისკის მართვა, მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით კი არ შემოიფარგლებოდეს, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების დეპარტამენტებს და სრულად მოხდეს სათანადო ქცევის ინტეგრირება მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებში.

ფინანსური მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

წლის გარკალი/მოგება

2020	- 3.2 მლნ
2019	8.2 მლნ
	-138.7% pp YoY

წმინდა საპროცენტო მარჟა

2020	6.4%
2019	10.6%
	-4.2 pp YoY

უკუგება საშუალო კაპიტალზე

2020	-8.1%
2019	27.6 მლნ
	-35.7 pp YoY

უკუგება საშუალო აქტივებზე

2020	-0.8%
2019	2.6 მლნ
	-3.4 pp YoY

რისკის ღირებულება

2020	4.0%
2019	2.4 %
	1.6 pp YoY

ხარჯების შემოსავალთან ფარდობა

2020	52.9%
2019	42.9 მლნ
	10 pp YoY

სულ აქტივები

2020	406.5 მლნ
2019	342.3 მლნ
	18.7% YoY

სულ კაპიტალი

2020	35.5 მლნ
2019	39 მლნ
	-9.1% YoY

მთლიანი კორტჟალი

2020	281 მლნ
2019	260 მლნ
	8.3% YoY

უმოქმედო სასხები

2020	1.7%
2019	3.8%
	-2.1 pp YoY

მოგება ზარალის უწყისის ძირითადი მუხლები

მოგება ზარალის უწყისის მაჩვენებლები

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	45,578	49,174	-7.3%
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	3,218	3,122	3.1%
საპროცენტო ხარჯი	(25,466)	(20,680)	23.1%
ლიზინგის პირდაპირი ხარჯები	(8,220)	(7,701)	6.7%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	15,110	23,915	-36.8%
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი	(8,117)	(563)	1341.7%
სხვა ფინანსურ აქტივების გაუფასურების რეზერვი	(2,768)	(4,957)	-44.2%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(9,277)	(10,371)	-10.5%
შემოსავალი დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებიდან	2,438	262	830.5%
(წლის ზარალი)/ მოგება	(3,158)	8,166	-138.7%

საბალანსო უწყისის ძირითადი მუხლები

ათას ლარში	31.12.2020	31.12.2019	ცვლილება
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	281,321	259,762	8.3%
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(10,487)	(2,731)	284.0%
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	270,834	257,031	5.4%
ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	10,281	30,779	-66.6%
შენყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები	7,583	6,129	23.7%
ძირითადი საშუალებები	6,670	8,253	-19.2%
საინვესტიციო ქონება	2,359	2,210	6.7%
სხვა ფინანსური აქტივები	7,166	10,111	-29.1%
სულ აქტივები	406,471	342,318	18.7%
სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	264,246	242,196	9.1%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	58,114	-	100.0%
სუბორდინირებული სესხი	35,412	31,227	13.4%
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	8,623	18,836	-54.2%
სულ ვალდებულებები	370,978	303,273	22.3%
სულ კაპიტალი	35,493	39,045	-9.1%

შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გამოთქმებული წმინდა სალიზინგო შემოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირდა 36.8%-ით და შეადგინა 15.1 მლნ ლარი.

წმინდა შემოსავლის კლება განპირობებულია ერთი მხრივ, სალიზინგო შემოსავლის შემცირებით და მეორეს მხრივ, საპროცენტო ხარჯის ზრდით.

სალიზინგო შემოსავალი

კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა განაპირობა ეკონომიკური აქტივობის შემცირება, მათ შორის სალიზინგო პროდუქტებზე მოთხოვნის დროებითი კლება და შესაბამისად, დაგეგმილი საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპის შემცირება, რამაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია სალიზინგო შემოსავლის შემცირებაზე.

ასევე, ჩვენი კლიენტების მხარდაჭერისთვის კომპანია ჩაერთო მთავრობის მიერ პანდემიის უარყოფითი შედეგების შემსუბუქებისთვის განხორციელებულ პროგრამაში და მოწყვლად ბიზნეს სექტორებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალებულნი არიან პანდემიით, შესთავაზა საშეღავათო პერიოდით სარგებლობა.

საშეღავათო პერიოდით სარგებლობასთან დაკავშირებით დაფიქსირდა 2.7 მლნ ლარის მოდიფიკაციის უარყოფითი ეფექტი კომპანიის წმინდა მოგებაზე, რაც 2019 წლის წმინდა სალიზინგო შემოსავლის 14%-ს შეადგენს. ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის კლების მიუხედავად 2020 წლის ბოლოსთვის საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 8.3 %-ით, რამაც უზრუნველყო 45.6 მლნ ლარის შემოსავლის გენერირება, რაც 7.3%-ით ნაკლებია წინა წლის იგივე მონაცემზე.

საპროცენტო ხარჯები

პანდემიასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო ჩვენ გავზარდეთ ფულადი სახსრების მოცულობა და 2020 წლის განმავლობაში შევინარჩუნეთ ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებელი (მთლიანი აქტივების 20%-ზე მეტი), რაც უზრუნველყოფილი იქნა მოზიდული სახსრების მოცულობის ზრდის ხარჯზე. შესაბამისად, მოზიდული სახსრების საპროცენტო ხარჯების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ლიკვიდურობის დონის შენარჩუნებით. ასევე, 2019 წლის დეკემბერში დასრულებული პროსპექტუსის მიხედვით 2020 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ საფონდო ბირჟაზე განათავსა 58.4 მლნ ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები.

საერთო ჯამში 2020 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯები გაიზარდა 4.8 მლნ ლარით, რაც 23.1%-ით მეტია წინა წლის იგივე მაჩვენებელზე.

ამასთან, კომპანიამ არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები განათავსა საბანკო დეპოზიტებზე და მიმდინარე შემნახველ ანგარიშებზე. შედეგად, კომპანიის მიერ გაწეული საპროცენტო ხარჯების ზრდა ნაწილობრივ დაკომპენსირდა ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული შემოსავლებიდან, რაც შეადგენს 2.4 მლნ ლარს და ასახულია კომპანიის 2020 წლის მოგება ბარალში, როგორც სხვა შემოსავალი.

წმინდა სალიზინგო შემოსავლის შემცირების შედეგად 2020 წლის წმინდა საპროცენტო მარჟა 2019 წელთან შედარებით შემცირდა 4.2 pp-ით და შეადგინა 6.4%-ი.

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	45,578	49,174	-7.3%
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	3,218	3,122	3.1%
შემოსავალი დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან	2,438	262	830.5%
საპროცენტო ხარჯი	(25,466)	(20,680)	23.1%
ლიზინგის პირდაპირი ხარჯები	(8,220)	(7,701)	6.7%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	17,548	24,177	-27.4%
NIM- წმინდა საპროცენტო მარჟა	6.4%	10.6%	-4.2 pp YoY

2020 წელს კომპანია ორიენტირებული იყო მომხმარებლის მაქსიმალურ მხარდაჭერაზე, რამაც განაპირობა ძირითადი მომგებიანობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, შესაბამისად, საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი 2019 წელთან შედარებით შემცირდა 35.7 pp-ით და შეადგინა -8.1%, ხოლო უკუგება საშუალო აქტივებზე შემცირდა 3.4pp-ით და შეადგინა -0.8%. თუმცა კომპანია ინარჩუნებს სტაბილურობას, რასაც მოწმობს Fitch-ის განახლებული რეიტინგი. ასევე ქვეყანაში დაგეგმილ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად 2021 წლისთვის კომპანია მოელის გაზრდილ ეკონომიკურ და ბიზნეს აქტივობას.

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
წმინდა ზარალი/ მოგება	(3,158)	8,166	-138.7%
საშუალო კაპიტალი	38,907	29,604	31.4%
ROE - უკუგება საშუალო კაპიტალზე	-8.1%	27.6%	-35.7 pp YoY
ROE - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე	19.9%	46.2%	-26.3 pp YoY

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
წმინდა ზარალი/ მოგება	(3,158)	8,166	-138.7%
საშუალო კაპიტალი	377,631	309,913	21.9%
ROA - უკუგება საშუალო აქტივებზე	-0.8%	2.6%	-3.4 pp YoY

საკრედიტო ზარალის რეზერვი

2020 წლის განმავლობაში სულ რეზერვის ხარჯმა შეადგინა 10.9 მლნ ლარი. 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით მოხდა დამატებითი რეზერვის შექმნა, რამაც განაპირობა რეზერვის ხარჯის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად რისკის ღირებულების კოეფიციენტი (COR) შეადგენდა 4% -ს.

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვი	8,117	563	1341.7%
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	2,768	4,957	-44.2%
სულ რეზერვის ხარჯი	10,885	5,520	97.2%
COR-რისკის ღირებულება	4.0%	2.4%	1.6 pp YoY

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

წინა წელთან შედარებით ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა 10.5%-ით, რაც უკავშირდება პორტფელის ზრდის ტემპის შენელებას.

2020 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯების შემცირება განპირობებული იყო პროფესიული მომსახურებების, მარკეტინგის და საბანკო გადარიცხვებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებით.

ამასთან 2020 წელს მენეჯმენტმა უარი განაცხადა მიეღო ბონუსი სრული მოცულობით, შედეგად კოვიდ-19 პანდემიის უარყოფითი გავლენის მიუხედავად ჩვენ მოვახერხეთ პერსონალის სრულად შენარჩუნება.

ადმინისტრაციული ხარჯების კლების მიუხედავად, შემცირებული წმინდა სალიზინგო შემოსავლის ფონზე ხარჯის შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი გაიზარდა 10 pp-ით და შეადგინა 52.9%.

ათას ლარში	2020	2019	ცვლილება
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	45,578	49,174	-7.3%
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	3,218	3,122	3.1%
შემოსავალი დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებიდან	2,438	262	830.5%
საპროცენტო ხარჯი	(25,466)	(20,680)	23.1%
ლიზინგის პირდაპირი ხარჯები	(8,220)	(7,701)	6.7%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	17,548	24,177	-27.4%
პერსონალის ხარჯები	4,998	5,067	-1.4%
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,740	1,784	-2.5%
სხვა ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2,539	3,520	-27.9%
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	9,277	10,371	-10.5%
CIR-ხარჯების შემოსავალთან ფარდობა	52.9%	42.9%	10 pp YoY

პირველადი და მეორადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენს 11.3% -ს და 22.5%-ს, შესაბამისად, რაც 6.6% და 3.5%-ით განსხვავდება 2019 წლის იგივე მაჩვენებლებთან შედარებით

კაპიტალის ადეკვატურობა	2020	2019	ცვლილება
Tier 1	11.3%	12.1%	-6.6%
Tier2	22.5%	21.8%	3.2%

მიხეილ ჯიქია

ბონდის კოვენანტები

თიბისი ლიზინგსა და ბონდის მფლობელს შორის არსებული სახელშეკრულებო პირობების შესრულება მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

TYPE OF COVENANT	ლიმიტი	ფაქტობრივი 2020	ფაქტობრივი 2019
ღია სავალუტო პოზიცია	<20%	3.3%	-4.0%
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	>100%	435.3%	130.9%
კაპიტალის ადეკვატურობა 1	>9%	10.5%	12.1%
კაპიტალის ადეკვატურობა 2	>12%	17%	18.0%
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი*	<91%	88%	79.9%
დაკავშირებულ მხარეებთან ექსფოჟერი	<20%	5.2%	6.2%

საკრედიტო პორტფელის ხარისხი

2020 წელს კომპანიის ფოკუსი საკრედიტო პორტფელის ზრდიდან გადატანილი იყო პორტფელის ხარისხის შენარჩუნებაზე, რისთვისაც განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- 2020 წლის პანდემიის გამოწვევებიდან გამომდინარე მოწყვლად ბიზნეს სექტორებს კომპანიამ შეთავაზა საშელავათო პერიოდით სარგებლობა, ასევე
- საკრედიტო და პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის ძალისხმევით კომპანიამ შეინარჩუნა პორტფელის ხარისხის სასურველი დონე. შესაბამისად, უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი 2019 წელთან შედარებით გააუმჯობესდა 2.1 pp-ით.

ათასობით ლარში	2020	2019	ცვლილება
პორტფელი	281,321	259,762	8.3%
უმოქმედო სესხები	4,881	9,785	-50.1%
NPL- უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი	1.7%	3.8%	-2.1 pp YoY

კოეფიციენტების განმარტება

- **NIM** - წმინდა საპროცენტო მარჟა უდრის წმინდა საპროცენტო შემოსავალს, შეფარდებულს იმავე პერიოდის ფინანსური ლიზინგის ინვესტიციის ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **წმინდა სალიზინგო შემოსავალი** - ფინანსური მაჩვენებლების დათვლის მიზნებისთვის წმინდა სალიზინგო შემოსავალი ასევე მოიცავს შემოსავალს დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებიდან
- **ROE** - უკუგება საშუალო კაპიტალზე გამოითვლება კომპანიის წმინდა მოგება/ზარალის თანაფარდობით იმავე პერიოდის აქციონერთა კაპიტალის ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **ROE უკუგება საშუალო კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე** უდრის წმინდა მოგება/ზარალს ყველა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით გაყოფილი იმავე პერიოდის აქციონერთა კაპიტალის ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **ROA** - უკუგება საშუალო აქტივებზე უდრის კომპანიის წმინდა მოგება/ზარალს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან
- **COR** - რისკის ღირებულება უდრის მთლიანი საკრედიტო რეზერვის ხარჯს, შეფარდებულს იმავე პერიოდის ფინანსური ლიზინგის ინვესტიციის ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **CIR** - ხარჯის შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი უდრის პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების თანაფარდობას იმავე პერიოდის წმინდა სალიზინგო შემოსავალთან
- **NPL** - უმოქმედო სესხები გამოითვლება, როგორც 90 დღიანი ვადაგადაცილებული სალიზინგო პორტფელისა და 90 დღეზე ნაკლები არაჯანსაღი რესტრუქტურირებული სალიზინგო პორტფელის მოცულობის ჯამის თანაფარდობით ფინანსური ლიზინგის ინვესტიციასთან
- **Tier 1** - კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1 უდრის აქციონერთა მთლიანი კაპიტალის თანაფარდობას მთლიან აქტივებთან, გარდა ფულადი სახსრებისა და ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა
- **Tier 2** - კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2 უდრის აქციონერთა მთლიანი კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის ჯამის თანაფარდობას მთლიან აქტივებთან, გარდა ფულადი სახსრებისა და ბანკში განთავსებული დეპოზიტებისა

ბონდის კოვენანტების განმარტება

- **ღია სავალუტო პოზიცია** - OCP-ის თანაფარდობა აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების ჯამთან.
- **სესხის მომსახურების კოეფიციენტი** - ფულადი სახსრების, მოთხოვნები ბანკების მიმართ, 6 თვემდე ვადიანობის წმინდა სალიზინგო ინვესტიციის 10%-ის და დამტკიცებული ფინანსური რესურსების ჯამის ფარდობა კომპანიის 6 თვემდე ვადიანობის სასესხო ვალდებულებებთან.
- **კაპიტალის ადეკვატურობა 1** - აქციონერთა კაპიტალის ფარდობა კომპანიის ჯამურ აქტივებზე, ფულადი სახსრების გათვალისწინების გარეშე.
- **კაპიტალის ადეკვატურობა 2** - აქციონერთა კაპიტალისა და კომპანიის სუბორდინირებული ვალის ჯამის თანაფარდობა უცხოური ვალუტის წმინდა სალიზინგო ინვესტიციის 50%-ს პლიუს ჯამური აქტივები ფულადი სახსრების გათვალისწინების გარეშე.
- **ფინანსური ლევარიის კოეფიციენტი** - სასესხო ვალდებულებების და ასევე ობლიგაციების და სუბორდინირებული სესხების ჯამის თანაფარდობა მთლიან აქტივებთან.
- **დაკავშირებულ მხარეებთან ექსფოჟერი** - ექსფოჟერი დაკავშირებულ მხარეებთან შეფარდებული აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის ჯამთან.

გაბრიელ ჯიქია

მართვა

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი (შემდგომში „კომპანია“) არის ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტზე რეგისტრირებული კომპანიის, თიბისი ბანკის ჯგუფის მთავარი შვილობილი კომპანია. კომპანიის კორპორაციული მართვა შეესაბამება ყველა მოქმედ კანონს და რეგულაციას. გარდა ამისა კომპანიას გააჩნია ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა ზუსტი და სარწმუნო ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიას აქვს ანგარიშვალდებულების და უფლებამოსილების დელეგირების, ასევე პოლიტიკების და პროცედურების მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ფინანსურ დაგეგმვას და ანგარიშგებას, ყოველთვიური მართვის ანგარიშების მომზადებას, პროექტის მართვას, ინფორმაციის უსაფრთხოებას და ინფორმაციების მიმოხილვას წლიური ანგარიშის ფარგლებში და ანგარიშებს შესაბამისი ხელმძღვანელებიდან, წლის განმავლობაში ყველა შესაბამისი მიღწევის გამჟღავნების და სამართლიანი და ობიექტური წარმოდგენის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ ბანკის მართვის სტრუქტურა იძლევა ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების განაწილების შესაძლებლობას. მმართველობის ყველა დონის ჩართვა რისკის მართვაში, უფლებამოსილების მკაფიო სეგრეგაცია და ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას სტრატეგიული და რისკის მიზნების შესახებ, დადგენილი რისკის აპეტიტის, რისკის ბიუჯეტის და რისკის მართვის დაცვას. ცენტრალიზებული ორგანიზაციის რისკების მართვის (ERM) განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციასა და დანერგვას კომპანიის მასშტაბით.

კომპანიის ერთადერთი აქციონერი არის თიბისი ბანკი, სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებული საქართველოში, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს. თიბისი ბანკი არის უმსხვილესი კომერციული ბანკი საქართველოში.

ღირექტორთა საბჭო („ღირექტორთა საბჭო“) არის კომპანიის გადაწყვეტილების მიღების მთავარი ორგანო და ერთობლივად პასუხისმგებელია კომპანიის მიზნების, კულტურის, ღირებულების და გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიის ხელშეწყობაზე და მდგრადი ღირებულებების მიწოდებაზე აქციონერისთვის კომპანიის სტრატეგიული მიმართულების დადგენის და კონტროლის გზით.

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა განსაზღვროს გარემო კომპანიის ხელმძღვანელობის ზედარგოლში და აკონტროლოს დასახულ მიზნებთან შესაბამისობა, ხოლო ღირექტორთა საბჭო არეგულირებს და მართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობებს.

წინამდებარე ანგარიშის თარიღისთვის, „დამოუკიდებლობის“ დეფინიციის კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო შედგება ერთი დამოუკიდებელი წევრისგან: გიორგი თხელიძე (თავმჯდომარე); ნინო მასურაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე); თორნიკე გოგიჩაიშვილი და მერი ჩაჩანიძე (დამოუკიდებელი წევრები); ალექსი ხოროშვილი (დამოუკიდებელი წევრი / აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე).

სამეთვალყურეო საბჭომ შექმნა ქვე-კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი. ქვე-კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან, დამოუკიდებელი წევრი არის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე წარადგენს ანგარიშს კომიტეტის საქმიანობის შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რეკომენდებულ საკითხებს.

კომპანია აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და მნიშვნელოვან სარგებელად თვლის თავისი ბიზნესისთვის სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი ჯგუფის არსებობას, რომელიც შედგება სხვადასხვა ბიოგრაფიების მქონე პირებისგან, რადგან ეს საჭირო გამოცდილებას, კულტურულ მრავალფეროვნებას და სხვადასხვა პერსპექტივებს შეიტანს საბჭოს განხილვებში და ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების ხარისხს.

სამეთვალყურეო საბჭოში ორი ქალი წევრია. გარდა ამისა, ძირითად პოზიციებზე ბევრი ნიჭიერი ქალია წარმოდგენილი, რომლებსაც უკავიათ მნიშვნელოვანი პოზიციები და უშუალოდ ექვემდებარებიან კომპანიის გენერალურ ღირექტორს და მმართველი საბჭოს სხვა წევრებს კომპანიის ფარგლებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მმართველ საბჭოში წარმოდგენილი იყო ორი ქალი, კომპანიის შუა ხელმძღვანელი რგოლის ფუნქციების შემსრულებლებიდან 28%-ი ქალი, ხოლო კომპანიის თანამშრომლების 53% მთლიანობაში წარმოდგენილი იყო ქალებით.



სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



გიორგი ტხელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი 2014 წელს შემოუერთდა თიბისი ბანკს ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც ის 2011 წლის ივნისიდან იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცე პრეზიდენტი. უფრო ადრე კი, 2009 წლის სექტემბრიდან გიორგი იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურირების ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. ბარკლში, ლონდონში მისი კარიერის მანძილზე გიორგიმ იმუშავა და წარმატებით განახორციელა არაერთი აკვიზიციის და შერწყმის ოპერაცია, სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში გიორგის სხვადასხვა მენეჯერული თანამდებობა ეკავა სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“, ის ამ კომპანიის გენერალური დირექტორიც გახლდათ. გიორგიმ ლონდონის ბიზნეს სკოლაში მოიპოვა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხი (2009წ). ის ასევე ფლობს საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხს ნოტინგჰემის უნივერსიტეტიდან (2002) და სამართლის მაგისტრის ხარისხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2000).



ნინო გასურაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო თიბისი ბანკს 2000 წელს შემოუერთდა დაგეგმვის და კონტროლის დეპარტამენტის მენეჯერად, ხოლო 2002 წელს ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა. 2004-2005 წლებში ის იყო გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და საცალო საბანკო მომსახურების კოორდინატორი. 2006 წელს ნინო დაინიშნა გენერალური დირექტორის მოადგილედ საცალო, მცირე და საშუალო საწარმოთა საბანკო მომსახურების მიმართულებით. 2006-2008 წლებში ნინო იყო UFC-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011-2015 წლებში, თიბისი ბანკთან სრულ შერწყმამდე, მას ეჭირა ბანკი კონსტანტას სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობა. 2011 წლიდან ნინო არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. კარიერის დასაწყისში ის იყო საკრედიტო ანგარიშების მენეჯერი, საკრედიტო ოფიცერი, ფინანსური ანალიტიკოსი (საფინანსო დეპარტამენტში) და ფინანსური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თბილკომბანკში 1995-2000 წლებში. 1998-2000 წლებში ის ასევე იყო ბარენც ჯგუფის ბუღალტერი. ნინომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი 1996, მან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიიღო მართვის ევროპულ სკოლაში, თბილისში.

გიორგი ტხელიძე



თორნიკე გოგიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

თორნიკე თიბისის გუნდს 2018 წელს, გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად შემოუერთდა. ფინანსური სერვისებისა და ოპერაციების მართვის სფეროში მას 20 წლიანი გამოცდილება აქვს. 2016 წლიდან თიბისის გუნდში შემოერთებამდე, თორნიკე საქართველოს ბანკში გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად მუშაობდა. 2010-2016 წლებში თორნიკე საქართველოს ბანკის ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე იყო საერთაშორისო ბანკინგის ხელმძღვანელი საქართველოს ბანკის ჯგუფში. 2006-2008 წლებში, თორნიკე ალდაგის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებდა. ის ასევე მუშაობდა UEDC PA consulting-ში გენერალურ ფინანსურ დირექტორად და 1998-2004 წლებში იკავებდა სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას BCI Insurance Company-ში. თორნიკე გოგიაშვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი და ფლობს ოქსფორდის ბიზნესსკოლისა (Executive Diploma in Strategy and Innovation) და კავკასიის ბიზნესსკოლის (MBA) ხარისხს.



მერი ჩაჩანიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მერი ჩაჩანიძე თიბისი ბანკს კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მიმართულების დირექტორის მოადგილის რანგში 2017 წელს შემოუერთდა. ის ბანკის მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს მართავდა, 2020 წლის თებერვალში კი თიბისი კაპიტალის მმართველ დირექტორად დაინიშნა. თიბისიში მოსვლამდე მერი 10 წლის განმავლობაში იყო SEAF-ის (გლობალური საინვესტიციო კომპანია, რომლის სათაო ოფისიც ვაშინგტონში მდებარეობს) საინვესტიციო დირექტორი, სადაც მისი კურატორობის სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე განხორციელებული 20-ზე მეტი საინვესტიციო ტრანზაქცია შედიოდა. მერის ბიზნესის მართვაში აღებული აქვს ევროპის მენეჯმენტის სკოლის ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები. ის ფლობს CFA ინსტიტუტის ჩარტერს.



ალექსი ხოროშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი/აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ალექსი ხოროშვილი თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. ალექსი 2003 წლიდან 2009 წლამდე იკავებდა სხვადასხვა პოზიციას ერნსტ ენდ იანგში, ხოლო 2009 წლიდან შეუერთდა ლიბერთი ბანკს, როგორც აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე. 2015 წლიდან, იკავებდა ლიბერთი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას. 2018 წელს იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონსულტაციო კომიტეტის და 2019 წელს ბათუმში ქართულ-ამერიკული სკოლის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ალექსი ფლობს კავკასიის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფინანსებსა და ბუღალტერიაში, რომლის ფარგლებშიც 2002-2003 წელს ბუღალტერიის მიმართულებით ჩრდილოეთ დაკოტას უნივერსიტეტში შეიძინა ცოდნა. იგი ფლობს MIT Sloan & MIT CSAIL-ის სერთიფიკატს ბიზნეს სტრატეგიებში ხელოვნური ინტელექტის გავლენის მიმართულებით.

Handwritten signature of Aliyashi Khoroshvili

კომპანიის მენეჯმენტის ბიოგრაფია



გაიოზ გოგუა - გენერალური დირექტორი

გაიოზ (გაგა) გოგუა 2017 წლიდან თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორია. საბანკო სექტორში მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება მან თიბისი ბანკში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობისას დააგროვა. გაგამ კარიერა თიბისი გუნდში 2001 წელს, კრედიტ ოფიცერის პოზიციაზე მუშაობით დაიწყო. 2003-2004 წელს ის საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის პოსტს იკავებდა, ხოლო შემდეგ წლებში თბილისსა და რეგიონებში თიბისი ბანკის სხვადასხვა ფილიალის დირექტორად მუშაობდა. 2005-2008 წლებში გაგა თიბისის მარკეტინგის კომიტეტის წევრად დაინიშნა. 2008-დან 2016 წლამდე, ის სხვადასხვა ფილიალის რეგიონალურ დირექტორად მუშაობდა, შემდეგ კი, 2017 წელს რეგიონალური მართვის უფროსად დაინიშნა. გაგას დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფლობს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს ფიზიკის მიმართულებით, ასევე TACIS Tbilisi-ს ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტის მიმართულებით და თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრატურის ხარისხს.



ნუგზარ ლოლაძე - ფინანსური დირექტორი


ნუგზარ ლოლაძე თიბისი ლიზინგის გუნდს ფინანსური დირექტორის პოზიციაზე 2014 წელს შემოუერთდა. პარალელურად, 2017-2018 წლებში ის კომპანიის რისკების მართვის ხელმძღვანელიც იყო. თიბისი ლიზინგში გადმოსვლამდე, 2008 წელს მან აუდიტორულ კომპანია EY-ში, აუდიტის მიმართულებით დაიწყო მუშაობა და უფროსი აუდიტორის პოზიციაზე დაწინაურებამდე, აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა პოზიციას იკავებდა. 2012 წლიდან ამავე კომპანიაში გადაინაცვლა დსთ-ს ქვეყნების ტრანზაქციების საკონსულტაციო მიმართულების ხელმძღვანელად. აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისას ის ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა შემდეგი მსხვილი კომპანიების პროექტებში: BTA Georgia, VTB Georgia, SOCAR Energy Georgia, TAV Urban Georgia, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკი, GRDC, ჰაიდელბერგ ცემენტი, ყაზტრანსგაზი, V-Tell და სხვა. ნუგზარი ფლობს კავკასიის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფინანსური მიმართულებით.

გაიოზ გოგუა



ზურაბ გუგუშვილი – კომერციული დირექტორი

ზურაბ გუგუშვილი სს თიბისი ლიზინგის კომერციულ დირექტორად 2021 წლის მარტში დაინიშნა. თიბისი ლიზინგში გადმოსვლამდე, 2018 წლიდან, ზურაბი სადაზღვევო კომპანიის, “უნიონის” კომერციული დირექტორის პოზიციას იკავებდა. სადაზღვევოსფეროში მოღვაწეობამდე, ზურაბი 12 წლის განმავლობაში თიბისი ჯგუფის გუნდის წევრი იყო და 2006 წლიდან სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. 2008 წლიდან ზურაბის საქმიანობა ექსპერტების ზედამხედველობის მაგივრად, მოზიდვებმა და იურიდიულ პირთა მომსახურებამ შეცვალა. თიბისიში ყოფნის ბოლო 9 წლის განმავლობაში ზურაბ გუგუშვილი კორპორატიული სექტორის მსხვილ მიმართულებებს განაგებდა. მისი ძირითადი მიმართულება საცალო ვაჭრობასა და ავტოინდუსტრიას ეხებოდა, თუმცა პერიოდულად ებარა განათლების, hospitality-ს, კომერციული უძრავი ქონებისა და სხვა სექტორების ზედამხედველობა. 2016 წლიდან ჯგუფის გაზრდასთან ერთად, ზურაბი დაინიშნა სექტორის უფროსად და კორპორატიული ბიზნესის დაახლოებით 20% მისი დირექტორიის ქვეშ მოექცა.



გიორგი მაისურაძე - რისკების მართვის დირექტორი

გიორგი მაისურაძე თიბისი ლიზინგის გუნდს 2018 წელს შემოუერთდა, როგორც რისკების მართვის დირექტორი. გიორგი მაისურაძის გამოცდილება ფინანსურ სექტორში ჯამში 19 წელს ითვლის, აქედან მეცხრე წელია, რაც ის რისკების მიმართულებით მუშაობს. მისი კარიერა Baker Tilly-ს კომპანიაში დაიწყო, აუდიტის მენეჯერის პოზიციაზე. შემდეგ მან გამოცდილება დააგროვა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ბანკში: თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი, ბანკი რესპუბლიკა, პროკრედიტ ბანკი, პრივატ ბანკი და ბაზის ბანკი. 2010-2014 წლებში გიორგი მუშაობდა ეროვნულ ბანკში საკრედიტო რისკების მართვისა და საბანკო ზედამხედველობის განყოფილებების წამყვან სპეციალისტად და შემდგომ საკრედიტო რისკების მართვის მთავარ სპეციალისტად; 2015-2018 წლებში ის წამყვან მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა ბაზის ბანკში. გიორგი იყო საკრედიტო რისკების მენეჯერი, რისკებისა და პორტფელის ანალიზის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და შემდეგ უკვე ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მას განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აქვს მიღებული - ფლობს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს მაკროეკონომიკის მიმართულებით.

გიორგი მაისურაძე

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2020

მთავარი ხელმოწერა

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს თიბისი ლიზინგის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ობიექტურად ასახავს სს თიბისი ლიზინგის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულად ნაკადებს დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი აუდიტი ჩავატარეთ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც მოიცავს:

- ანგარიშგებებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებებს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებებს კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებებს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის; და
- შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, რომელიც

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტური მონაცემები საკმარისი და შესატყვისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტური დასკვნის საფუძველად.

დამოუკიდებლობა.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ასევე ვართ ვიცავთ ჩვენს ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის თანახმად.

აუდიტის ჩვენი მიდგომა

მიმოხილვა

არსებობა	• კომპანიის საერთო არსებობა დაახლოებით შეადგენს 1.2. მილიონ ლარს, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის 2.5% (შემოსავალი ინვესტიციაზე იჯარებში და შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან)
აუდიტის ძირითადი საკითხები	• წმინდა ინვესტიციის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსურ ლიზინგში

აუდიტის შემუშავების პროცესში დავადგინეთ არსებობა და შევაფასეთ ფინანსურ ანგარიშგებაში უზუსტობის არსებითი რისკები. კერძოდ, გავითვალისწინეთ რა შემთხვევაში იყენებდა ხელმძღვანელობა სუბიექტურ განსჯას; მაგალითად, მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებთან მიმართებით, რომელიც მოიცავდა დაშვებებსა და სამომავლო მოვლენებს, რომელთაც თანდაყოლილი განუსაზღვრელობა ახასიათებთ. როგორც ყველა აუდიტის მსვლელობისას, გავითვალისწინეთ ასევე ხელმძღვანელობის მიერ შიდა კონტროლის იგნორირების რისკი და სხვა საკითხებთან ერთად განვიხილეთ, არსებობდა თუ არა მიკერძოების მტკიცებულება, რაც განაპირობებდა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკს.

არსებითობა

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის მოქმედების სფეროზე გავლენა იქონია არსებობის გამოყენებამ. აუდიტის მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. ისინი არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე განვსაზღვრეთ არსებითობის გარკვეული რაოდენობრივი ზღვრები, მათ შორის მთლიანად ფინანსური ანგარიშგების საერთო არსებითობა, რომელიც ქვემოთ არის მოცემული. ზემოაღნიშნული, ხარისხობრივი საკითხების გათვალისწინებასთან ერთად, დაგვეხმარა აუდიტის მოქმედების სფეროს განსაზღვრაში, ასევე აუდიტორული პროცედურების ხასიათის, ჩატარების ვადებისა მოცულობის განსაზღვრაში და მთლიანად ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების, თუ ასეთი არსებობს, გავლენის შეფასებაში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

საერთო არსებითობა	1.2 მილიონი ლარი
როგორ განვსაზღვრეთ	შემოსავლის 2.5% % (შემოსავალი ინვესტიციაზე იჯარებში და შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან)
გამოყენებული არსებითობის საფუძველი	მთლიანი ამონაგები შევარჩიეთ, როგორც ნიშნული, რადგან, ჩვენი აზრით, ეს არის ნიშნული, რომელთან მიმართებაში აფასებენ მომხმარებლები კომპანიის საქმიანობის შედეგებს და ეს საყოველთაოდ მიღებული ნიშნულია. შევარჩიეთ 2.5%, რაც შესაბამისობაშია ამ სექტორში მოგებაზე ორიენტირებული კომპანიების მიერ გამოყენებული არსებითობის რაოდენობრივ ზღვრებთან.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხებია ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯით, ყველაზე მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის. ეს საკითხები განხილულ იქნა მთლიანად ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში, ასევე ჩვენს მიერ მოსაზრების ჩამოყალიბებისას და ჩვენ ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ აღნიშნულ საკითხებზე.

აუდიტის ძირითადი საკითხები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წმინდა ინვესტიციაზე ფინანსურ ლიზინგში („NIFL“)

ჩვენ ფოკუსირება მოვახდინეთ აღნიშნულ სფეროზე, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებების საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით („ECL“) არის კომპლექსური და მოითხოვს მნიშვნელოვან განსჯებს.

ფასს 9 შესაბამისად ხელმძღვანელობას მეოთხოვება განსაზღვროს, რომ საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში ან აქტივის დანარჩენ სასიცოცხლო ვადაში, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურია ქტივის კატეგორიაზე. კატეგორიები განისაზღვრება იმის შეფასებით მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“) ან მსესხებლის დეფოლტი იჯარის კონტრაქტის გაფორმებიდან. დამატებით, წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებმა განაპირობა (მაგ. გადახდის გადავადება) ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენების აუცილებლობა საკრედიტო ხარისხის ეტაპის განსაზღვრის პროცესში.

ასევე საჭიროა სხვადასხვა მომავალი მაკროეკონომიკური პირობების ზემოქმედების გათვალისწინება ECL-ს განსაზღვრისას. კოვიდ-19 ზემოქმედებამ ეკონომიკაზე დამატებით გაზარდა გაურკვევლობის დონე მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

ჩვენი მიდგომა აუდიტის ამ ძირითადი საკითხისადმი

ჩვენ შევაფასეთ არის თუ არა ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული ფასს 9 ECL მოდელის მეთოდოლოგია შესაბამისი, ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტების ჩართულობით და მრეწველობის და ბიზნესის სპეციფიკის შესახებ ცოდნის გამოყენებით. აღნიშნული მოიცავდა ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების შეფასებას იმის განსაზღვრისთვის იყო თუ არა SICR ან დეფოლტი და LGD, PD და FLI განსაზღვრაში გამოყენებულ კრიტიკულ განსჯებს და დაშვებებს.

ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ ECL გამოთვლის სიზუსტე და შევაფასეთ შეესაბამება თუ არა ECL გამოთვლები დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიებს.

ჩვენ კრიტიკულად შევაფასეთ მოდელის მონიტორინგის და ვალიდაციის ძირითადი ასპექტები (პროგნოზირებული ECL „უკუტესტირება“), რომელიც შეასრულა ხელმძღვანელობამ მოდელის ეფექტურობასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებით და კრიტიკულად შევაფასეთ მონიტორინგის შედეგები. სტატისტიკური მოდელების სატესტო შედეგები ინტერპრეტირებულია რელევანტური გარემოებების კონტექსტში (კოვიდ-19) და განმარტებული მიღებულია მოლოდინებიდან გადახვევასთან დაკავშირებით.

გაბრიელ ჯიქია

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და განახორციელა რიგი მოდულები ფასს 9 მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. მათ შორის ხელმძღვანელობამ გამოიყენა შეფასება მოდულებზე იმ გარემოებებში, სადაც წინა გამოცდილება არ იქნა მიჩნეული მომავალი შედეგების ამსახველად შეზღუდული ან არასაკმარისი მონაცემების გამო.

ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული მოდელის მეთოდოლოგიების და მოდელირებული ECL რეზერვის განსაზღვრაში გამოყენებული დაშვებების მართებულობა მნიშვნელოვანი:

- შესაბამისი ეტაპირების კრიტერიუმების განსაზღვრა, მათ შორის SICR და დეფოლტის დადგენა, კოვიდ-19 პანდემიის გამო მსესხებლებისთვის მინიჭებული გადახდის გადავადების ზემოქმედების გათვალისწინებით.
- დეფოლტის შემთხვევაში ზარალის (LGD) და დეფოლტის ალბათობის (PD) განსაზღვრაში გამოყენებული კრიტიკული დაშვებები.
- მოდელის შეზღუდვების შეფასება და პოსტ მოდელის შესწორებების („PMA“) გამოყენება თუ მოითხოვება ასეთი რისკების აღმოფხვრისთვის; და
- ძირითადი დაშვებების შეფასება მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციასთან („FLI“) დაკავშირებით, მათ შორის სცენარის შეწონილი მაჩვენებლების და მაკროეკონომიკური ცვლადი მაჩვენებლების მართებულობა კოვიდ-19 ზემოქმედების გათვალისწინებით.

იხილეთ გვერდები 81 – 91 (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა), გვერდები 92 (კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში) და გვერდები 100-104 (შენიშვნა 11: წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში).

ჩვენ ხაზი გავუსვით ხელმძღვანელობის მოსაზრებას მაკროეკონომიკური მოდულების მიზანშეწონილობასთან, ასევე თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარში გამოყენებულ შეწონილ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

ჩვენ ასევე გავითვალისწინეთ მოითხოვდა თუ არა PMA შესაბამისი რისკების აღმოფხვრას, რომლებიც არ იყო მოცემული მოდელირებულ დებულებებში.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს, მაგრამ არ მოიცავს ამ ფინანსური ინფორმაციას და ჩვენს აუდიტურ დასკვნას მასზე.

ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტურ შემოწმებასთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს არსებით უზუსტობებს. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობები ხელმძღვანელობის ანგარიშში, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს არ გვაქვს ასეთი განცხადების საფუძველი.

გარდა ამისა, ჩვენ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ვალდებული ვართ გამოვხატოთ მოსაზრება შესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი დასკვნით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ფინანსური წლისთვის, როდესაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებებს.
- ხელმძღვანელობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მ-6 პუნქტს.

ხელმძღვანელობის დამატებითი პასუხისმგებლობები, რომლებსაც ვალდებით ფინანსური ანგარიშგების მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე და ობიექტურ წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობები, განაგრძოს საქმიანობა როგორც მოქმედმა საწარმომ, წარმოადგინოს ინფორმაცია მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს აღრიცხვის მეთოდი მოქმედი საწარმოს საფუძველზე მანამ, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან მთლიანობაში, გონივრულ ფარგლებში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამომწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტური პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტური მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამომწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან თუ ასეთი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა ან გარემოებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების საერთო წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის ინფორმაციას და ვაფასებთ წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშგებები ძირითად ტრანზაქციებს და მოვლენებს ობიექტურად.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტური დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ოფიციალურად ვაცნობებთ, რომ დავიცავით შესაბამისი ეთიკის მოთხოვნები დამოუკიდებლობასთან მიმართებით და ვაწვდით ინფორმაციას ყველა იმ ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელთაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, დაკავშირებულ დამცავ ზომებზე ინფორმაციასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში.

იმ საკითხებიდან, რომელთა შესახებ ინფორმაცია მივანდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, გამოვყოფთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც აუდიტის ძირითადი საკითხებია. აღნიშნულ საკითხებს აუდიტის დასკვნაში აღვწერთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ან რეგულირებით დაუშვებელია ამ საკითხების გასაჯაროება და ძალიან იშვიათ შემთხვევებში ვადგენთ, რომ ესა თუ ის საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან მსგავსი ქმედების უარყოფითი შედეგები გონივრულად მოსალოდნელია, რომ გადააჭარბებს მსგავსი კომუნიკაციით საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილებიდან წარმოქმნილ სარგებელს.


აუდიტის, რომლის შედეგად მიღებულ იქნა წინამდებარე აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ლევან კანკავა.

“შპს ფრაის უოთერ ჰაუს კუპერს ჯორჯია“-ს სახელით (რეგ. # SARAS-F-775813)

ლევან კანკავა (რეგ. #SARAS-A-592839)

28 მაისი 2021 წ
თბილისი, საქართველო

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს, საქართველო
King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის ქ. #12,,
მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	69,974	19,357
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები	8	21,383	-
გადახდილი ავანსები	9	3,089	3,552
საგადასახადო აქტივები, წმინდა		2,795	2,974
ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	10	10,281	30,779
წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	11	270,834	257,031
ძირითადი საშუალებები	12	6,670	8,253
არამატერიალური აქტივები	13	2,381	1,725
საინვესტიციო ქონება	14	2,359	2,210
შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები	15	7,583	6,129
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	31	1,791	-
სხვა ფინანსური აქტივები	16	7,166	10,111
სხვა აქტივები		165	197
სულ აქტივები		406,471	342,318
ვალდებულებები			
სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	17	264,246	242,196
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	18	8,623	18,836
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	19	58,114	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	31	-	734
სუბორდინირებული სესხები	20	35,412	31,227
სხვა ვალდებულებები	21	4,583	10,280
სულ ვალდებულებები		370,978	303,273
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,659	3,659
დამატებითი შენატანი კაპიტალში	22	7,550	7,550
გაუნაწილებელი მოგება		24,516	27,674
ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	28	(232)	162
სულ კაპიტალი		35,493	39,045
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		406,471	342,318

აღმასრულებელი დირექტორი
გაიოზ გოგუა

28 მაისი 2021

80-135 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე



თიანისი ლიზინგი წლიური ანგარიში 2020

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან		45,578	49,174
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან		3,218	3,122
საპროცენტო ხარჯი		(25,466)	(20,680)
ლიზინგის პირდაპირი ხარჯები	25	(8,220)	(7,701)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი		15,110	23,915
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	(8,117)	(563)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შემდეგ		6,993	23,352
სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის რეზერვი	16	(2,768)	(4,957)
მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	14	149	91
შემოსულობა / (ზარალი) დასაკუთრებული აქტივების გაყიდვა/ რელიზინგიდან	15	702	(169)
შემოსულობა დაბრუნებული აქტივების თავდაპირველ აღიარებიდან		48	437
დაბრუნებული აქტივების ჩამოწრა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	15	(187)	(163)
ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა შემცირებული ზარალით / (ზარალი შემცირებული შემოსულობით)	31	6,077	(2,867)
სავალუტო კურსის კონვერტაციის (ზარალი შემცირებული შემოსულობებით)/ შემოსულობები შემცირებული ზარალით		(8,205)	1,544
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	26	(9,277)	(10,371)
სხვა შემოსავალი		3,310	1,269
წლის (ზარალი) / მოგება		(3,158)	8,166
წლის სხვა სრული (ზარალი) / შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:			
(ზარალი) / მოგება ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან	28	(394)	162
სულ წლის სრული (ზარალი) / შემოსავალი		(3,552)	8,328

80-135 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს		2,150	-	19,508	24,717
წლის შემოსავალი	3,059	-	-	8,166	8,166
სხვა სრული შემოსავალი		-	162	-	162
აქციების გამოშვება		5,400	-	-	6,000
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	7,550	162	27,674	39,045
წლის ზარალი		-	-	(3,158)	(3,158)
სხვა სრული ზარალი	-	-	(394)	-	(394)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		7,550	(232)	24,516	35,493

80-135 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მამუკა მჭედია

თიბისი ლიზინგი წლიური ანგარიში 2020

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან		176,007	206,675
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან, ლიზინგის დანაშაულები		10,086	13,050
ფულადი სახსრების მიღება დაბრუნებული აქტივების რეალიზაციიდან		5,708	9,549
ფულადი სახსრების შემოდინება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		3,574	-
ფულადი სახსრების მიღება შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან		2,732	1,431
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი		2,087	291
დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი		344	-
ფინანსური ლიზინგისთვის შეძენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული		(132,511)	(211,274)
ლიზინგის პირდაპირი ხარჯებისთვის გადახდილი ფული		(8,946)	(5,669)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯებისთვის გადახდილი ფული		(3,769)	(3,465)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,344)	(3,374)
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისგან ფულადი სახსრების გადინება		-	(1,912)
საოპერაციო ლიზინგისთვის შეძენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული		(119)	(605)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		52,849	4,697
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	27	(15,657)	(16,821)
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	27	(5,261)	(428)
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	27	(3,042)	(2,683)
გადახდილი გადასახადები		(6,827)	(10,124)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		22,062	(25,359)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(200)	(520)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(674)	(681)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(874)	(1,201)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ბანკებისგან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	27	192,057	177,879
გამოშვებული სავალო ფასიან ქაღალდები	27	57,796	-
დეპოზიტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		10,000	-
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების გადაფარვა	27	(203,291)	(147,531)
ფულადი სახსრების განთავსება დეპოზიტებზე		(31,439)	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(563)	(598)
შემოსულობები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან		-	6,000
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		-	(8,606)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		23,453	27,144
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე		4,869	134

80-135 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გაბრიელ ჯიქია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		50,617	718
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	19,357	18,639
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	69,974	19,357

80-135 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მისიონი ქიქოძე

1. შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სს „თიბისი ლიზინგისთვის“ („კომპანია“), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

კომპანია დაფუძნდა 2003 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს დახურულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საიდენტიფიკაციო ნომრით: 205016560.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ფინანსებისა და საოპერაციო ლიზინგის კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის მიწოდებაა. კომპანია ფართო სპექტრის სალიზინგო პროდუქციის ყველაზე დიდი მიმწოდებელია 2,800-ზე მეტი მსხვილი, კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების და ფიზიკური პირების კლიენტებისთვის საქართველოს მასშტაბით. კომპანიის პროდუქტები მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს აგრარულ, სამედიცინო, სამშენებლო, მომსახურების, სამრეწველო და საცალო ვაჭრობის სფეროებში. კომპანია თავის პროდუქციას მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა გაყიდვების არხების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს მშობელ კომპანიას, ოფიციალურ წარმომადგენლობებს, მიმწოდებლებს და პირდაპირი გაყიდვების არხებს. კომპანია ლიზინგის სახით გასცემს სხვადასხვა ტიპის აქტივებს, ინდუსტრიული მოწყობილობებიდან და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული მოწყობილობებიდან დაწყებული, სატრანსპორტო საშუალებებით დამთავრებული, რომლებიც შესყიდულია მომწოდებლებისგან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანია პარტნიორია ისეთი სამთავრობო სააგენტოებისა, როგორებიცაა აწარმოე საქართველოში და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA), რომლებიც ახდენენ კომპანიების სუბსიდირებას მათი ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად. კომპანიას მუდმივად ჰყავს 120-ზე მეტი თანამშრომელი და ოპერირებს სათაო ოფისში და სამ საცალო ვაჭრობის ფილიალში.

2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს თიბისი ბანკი („მშობელი კომპანია“). 2019, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ლიზინგს არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

რეგისტრაციის მისაღარი და ოფისის მისაღარი. კომპანიის ოფისის იურიდიული და ფაქტური მისამართია: საქართველო, 0160, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 76მ.

წარსაღვენი პალატა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საშუაო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. ქვეყნის ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ტურიზმის მიმართ. იურიდიული, სავადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობს განვითარებას და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებს და სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. საქართველოს ეკონომიკაზე კვლავ უარყოფითად მოქმედებს არსებული პოლიტიკური დაძაბულობა.

2020 წლის 12 მარტს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიამ რეაგირების ნიშნად და კოვიდ-19-ის გავრცელების და ზემოქმედების შესაჯავებლად საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა მოგზაურობის აკრძალვები და შეზღუდვები, ლოქდაუნი და ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვები, მათ შორის დროებითი დახურვა. ზემოაღნიშნული ზომები გაგრძელდა 2020 წლის უმეტეს ნაწილში, თუმცა თანდათანობით შემსუბუქდა 2021 წელს. აღნიშნულმა ზომებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა ეკონომიკური საქმიანობა საქართველოში და უარყოფითი გავლენა მოახდინა მასზე. ამასთან შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბიზნესებზე, ბაზრის მონაწილეებზე და ასევე ქართულ და გლობალურ ეკონომიკაზე გაურკვეველი ვადით.

ხელმძღვანელობა საჭირო ზომებს იღებს კომპანიის ოპერაციების მდგრადობის და მისი კლიენტების და თანამშრომლების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით.

რთულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის და ზემოაღნიშნული ზომების მომავალი შედეგების პროგნოზირება და ხელმძღვანელობის მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავებული იყოს ფაქტობრივი შედეგებისგან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) შეფასების მიზნით, კომპანია იყენებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, მათ შორის პროგნოზებს მაკროეკონომიკური ცვლადების შესახებ. შენიშვნაში 29 მითითებულია მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოადგინა კომპანიამ მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („ECL“) მოდელში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, თავდაპირველი ღირებულების მეთოდის მიხედვით, რომელიც შეიცავს სამართლიანი ღირებულების საფუძველზე შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებით მიღებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივების თავდაპირველი აღიარებით და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მითითებულია ქვემოთ.

მოქმედი საწარმოს პრინციპი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა თიბისი ლიზინგის მიერ, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ხელმძღვანელობისთვის ცნობილი არ არის რაიმე მატერიალური სახის გაუგებრობის შესახებ, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

შეფასების განხორციელებისას ხელმძღვანელობამ არსებითად განიხილა კოვიდ-19 პანდემიის ზემოქმედებები კომპანიის საქმიანობაზე და პროგნოზირებულ დაფინანსების და კაპიტალის პოზიციაზე. მოცემულ საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიამ შეინარჩუნა დაფინანსების და კაპიტალის ადეკვატური დონეები მომავლისთვის (რომელიც აღნიშნული მიზნისთვის არის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12 თვე).

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების მთავარი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადახდება საიმისოდ, რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ის ბაზარი, სადაც აქტივს ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების და ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რაოდენობის კვოტირებული ფასის პროდუქტი. ასეა მაშინაც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულის ნაკადების მოდელი, ან ბოლო დროს კომერციულ ოპერაციებზე დაფუძნებული მოდელი ან ინვესტიციების მიმდებარე ფინანსური მონაცემების ანაზღაურება, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია უცხოური საბაზრო ფასების ინფორმაცია. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივების ან ვალდებულებების მიმართ კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) შეფასებები. (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასებების მეთოდები, რომლებიც კი გამოიყენება აქტივების ან ვალდებულებების მიმართ პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ე.ი. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. ეს შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან ბაზარზე არარსებულ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემები ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 32.

ტრანზაქციის დანახარჯი არის ზღვრული ხარჯი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეძენაზე, გაცემაზე ან გასხვისებაზე. ზღვრული ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ წარმოიქმნებოდა თუკი არ განხორციელდებოდა ტრანზაქცია. ტრანზაქციის დანახარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები) კონსულტანტებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ ანაზღაურებას ან საკომისიოს, რომელიც განსაზღვრულია მარეგულირებელი სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მიერ, და საკუთრების გადაცემისთვის განსაზღვრულ გადასახადებსა და ბაჟს. ტრანზაქციის დანახარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკონტს, ფინანსურ ხარჯს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობასთან დაკავშირებულ ხარჯს.

ამორტიზებული ლიზაბულება („AC“) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირითადი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლიუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში – გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ჩამონერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებით გადავადებულ საოპერაციო ხარჯს და ნებისმიერი პრემიის ან გადასახდელი თანხის დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც მოიცავს როგორც დარიცხულ კუპონს, საამორტიზაციო დისკონტს ან პრემიას (წარმოქმნისთანავე გადავადებული გადასახადების ჩათვლით, თუკი არის), არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული პუნქტების საბალანსო ღირებულებაში.

მიხეილ ქიქოძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების ფულის ნაკადებს მომდევნო ფასების გადახედვის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში მითითებულ მცოცავ განაკვეთზე გავრცელებულ კრედიტს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ შეესაბამება საბაზრო განაკვეთებს. ასეთი პრემიები ან დისკონტები ამორტიზირებულია ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს (იხილეთ შემოსავლის და ხარჯის აღიარების პოლიტიკა). აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ შეძენილ ან შექმნილ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებელ აქტივებს („POCI“) თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება საკრედიტო რისკით, ე.ი. გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებისას კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდების ნაცვლად.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები FVTPL (სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში) თავდაპირველად აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიან ღირებულებით, ტრანზაქციის დანახარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. თავდაპირველი აღიარებისას, მოგება ან ზარალი აღიარდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რაც შეიძლება დადასტურდეს იმავე ინსტრუმენტში სხვა მიმდინარე საბაზრო ოპერაციებით ან შეფასების მეთოდით, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან მონაცემებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი აღიარებულია ფინანსურ აქტივებში, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და ინვესტიციებში სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია FVOCI-ით (სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში), რაც ინვესტ მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

იმ ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლებიც მოითხოვს რეგულაციით ან საბაზრო კონვენსიით დადგენილ ვადებში მიწოდებას (რეგულარული წესით“ შესყიდვები და გაყიდვები) რეგისტრირებულია გარიგების დღეს, რომელ დღესაც, კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო დებულებების ნაწილი.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შიდაგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შემდეგ შეფასების კატეგორიებად: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და ამორტიზირებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შიდაგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შიდაგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი ბიზნეს მოდელი ასახავს როგორ მართავს კომპანია აქტივებს ფულადი ნაკადების გენერირებისთვის - თუ კომპანიის მიზანია: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება აქტივებიდან („ამოსაღებად ფლობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები“) ან (ii) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოღება, რომელიც წარმოიშობა აქტივების გაყიდვის შედეგად ან თუ არცერთი (i) და (ii) პუნქტი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია „სხვა“ ბიზნეს მოდელის ნაწილად და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ საქმიანობების შესახებ ყველა რელევანტური მტკიცებულების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს კომპანია შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელისთვის განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, წინა გამოცდილებას თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებისთვის ფულადი ნაკადების ამოღება, როგორ განხორციელდა რისკების შეფასება და მართვა, როგორ შეფასდა აქტივების ეფექტურობა და როგორ განხორციელდა მენეჯერების კომპენსაცია. იხილეთ შენიშვნა 4 კომპანიის მიერ თავისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გამოყენებული მნიშვნელოვანი შეფასებებისთვის.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შიდაგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები. თუ ბიზნეს-მოდელი ითვალისწინებს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფლობას და გაყიდვას, კომპანია აფასებს წარმოდგენილი თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით („SPPI“). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით განიხილება მთლიანობაში იმის განსაზღვრისას შესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები SPPI მოთხოვნას. შეფასების გაკეთებისას, კომპანია განიხილავს შესაბამება თუ არა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL). SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა. იხილეთ შენიშვნა 4 SPPI ტესტის განხორციელებისას კომპანიის მიერ გამოყენებული მსჯელობებისთვის ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით:

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანობაში იცვლება. რეკლასიფიკაციას აქვს სამომავლო ეფექტი და იწყება პირველი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ბიზნეს-მოდელის ცვლილების შემდეგ. კომპანიამ არ შეცვალა თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შედარების პერიოდში და არ განახორციელა რეკლასიფიკაციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის რეზერვი ECL-თვის (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

კომპანია პროგნოზის საფუძველზე, აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ECL ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით (AC) და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) და რისკებისთვის, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებიდან. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ.

ამორტიზირებული ღირებულებით (AC) აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მინუს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი. საიჯარო ვალდებულებებისთვის და ფინანსური გარანტიებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ცალკე რეზერვი აღიარებულია ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის ცვლილებები ამორტიზირებულ ღირებულებაში, მინუს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი, აღიარებულია მოგება ზარალში და ყველა სხვა ცვლილება საბალანსო ღირებულებაში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) მოგების სახით, მინუს ზარალი სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI) შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებზე.

კომპანია იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

- ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1 ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1 ეტაპზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).
- ეტაპი 2: თუ კომპანია დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას („SICR“) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა 2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე, კერძოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვადამდე, მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს („ECL მოქმედების /არსებობის ვადა“). იხილეთ შენიშვნა 28 36 იმის აღწერისთვის, თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია პროგნოზულ საფუძველზე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის („SICR“) დადგომას.
- ეტაპი 3: თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებულია, აქტივი გადავა მე-3 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე. კომპანიის მიერ კრედიტ-გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის დეფინიციები განმარტებულია შენიშვნაში 29

საკრედიტო გაუფასურებით შეძენილი თუ შექმნილი ფინანსური აქტივებისთვის („POCI აქტივები“) ECL ყოველთვის გაიზომება როგორც სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის ECL. შენიშვნაში 29 წარმოდგენილია ინფორმაცია ECL-ის გამოშვების გამოყენებულ საწყის მონაცემებზე, ვარაუდებსა და შეფასების მეთოდებზე, იმის განმარტების ჩათვლით, თუ როგორც ჩაურთავს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას ECL-მოდელში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწერავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვალდამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

გაბრიელ ბერიძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - ალიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა (ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან (ბ) კომპანიის გასხვსებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (ი) ასევე ახორციელებს აქტივების მფლობელობით გამოწვეული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას ან (iii) არ ახორციელებს მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას და არც შენარჩუნებას, გარდა კონტროლის უფლების შენარჩუნებისა. კონტროლის უფლების შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა მიიღოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს გაყიდვებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები - მოდიფიკაცია. კომპანია პერიოდულად გადახედავს ან სხვაგვარად ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირებას. კომპანია აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, შემდეგი (და არა მხოლოდ) ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ. მოგების წილი ან აქციის სახით შემოსავალი), მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ცვლილება სავალუტო დენომინაციაში, ახალი უზრუნველყოფა ან კრედიტის ხარისხის გაზრდა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან ლიზინგის მნიშვნელოვანი გაგრძელება, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სირთულეები.

თუკი მოდიფიცირებული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების უფლებები იწერება და კომპანია წყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. ასეთი გადახედვის თარიღად მიიჩნევა საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისთვის, იმის განსაზღვრის ჩათვლით, წარმოიქმნა თუ არა SICR. კომპანია ასევე აფასებს, შეესაბამება თუ არა ახალი ლიზინგი ან სავალო ინსტრუმენტი SPPI კრიტერიუმს. იმ თავდაპირველი აქტივის ღირებულებას, რომლის აღიარებაც შეწყვეტილია, და ახალი არსებითად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიანი ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებას ან ზარალში, თუკი სხვაობა არ არის დაკავშირებული მფლობელებთან კაპიტალის გარიგებასთან.

სიტუაციები, როდესაც გადახედვა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით ან უუნარობით, აწარმოოს თავდაპირველად შეთანხმებული გადახდები, კომპანია ადარებს თავდაპირველ და გადახდილ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, თუ აქტივიდან გამომდინარე რისკი და სარგებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელშეკრულებო ცვლილების შედეგად. თუკი რისკი და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან, მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. კომპანია ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადათვლას მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც კორექტირებულია სესხის გათვალისწინებით, POCI ფინანსური აქტივებისთვის) და ახდენს მოდიფიცირებული მოგებისა თუ ზარალის აღიარებას.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კაბეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია შემდგომ შეფასებულად ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა (i) ფინანსური ვალდებულებებისა, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL): ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულ ინსტრუმენტებზე, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგალითად მოკლე პოზიცია ფასიან ქაღალდებში), პირობით ანაზღაურებაზე, რომელიც აღიარებულია შემდგომი მიერ ბიზნესის გაერთიანებაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ სახით თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისა და საიჯარო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - ალიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი ამოიწურება (ე.ი. როდესაც შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება). გაცვლა კომპანიასა და მის თავდაპირველ კრედიტორებს შორის სავალო ინსტრუმენტებით არსებითად სხვადასხვა პირობებით, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობებისა და დებულებების არსებითი მოდიფიკაციებით, ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. პირობები არსებითად განსხვავებულია თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის გადახდილი მოსაკრებლები, მიღებული და დისკონტირებული მოსაკრებლების გამოკლებით, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, არის მინიმუმ 10% სხვაობა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დანარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებიდან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია განისაზღვრება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან მოსაკრებლები აღიარებულია, როგორც დაფარვიდან მიღებული მოგების ან ზარალის ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიკაცია არ განისაზღვრება დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან მოსაკრებლები აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია მოდიფიცირებული ვალდებულების დანარჩენ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიკაციები, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აისახება, როგორც ცვლილება შეფასებაში კუმულაციური წინა რიცხვით ამორტიზაციის დარიცხვის პროცედურა, მოგება-ზარალში აღიარებული მოგებით ან ზარალით, თუ საბალანსო ღირებულებებში სხვაობის ეკონომიკური არსი არ უკავშირდება კაპიტალით ტრანზაქციებს მფლობელებთან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჰეჯირების აღრიცხვა. ჰეჯირების აღრიცხვის მიზანია წარმოადგინოს რისკის მართვის საქმიანობის გავლენა. ფინანსურ ინსტრუმენტები გამოყენებულია ისეთი ზემოქმედების სამართავად, რომელიც გამომდინარეობს გარკვეული რისკებიდან, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მოგება-ზარალზე (P&L), ან სხვა სრულ შემოსავალზე (OCI).

კომპანია იყენებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვას. რისკი, რომელიც ჰეჯირებულია ფულადი ნაკადების ჰეჯირებაში წარმოადგენს იმ ფულადი ნაკადების ცვალებადობაზე დაქვემდებარებას, რომლებიც მიკუთვნება გარკვეული რისკისათვის, რომელიც ასოცირდება აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, არა საბალანსო უწყისის არ აღიარებულ მტკიცე ვალდებულებებთან ან მაღალი ალბათობის საპროგნოზო გარიგებასთან და შეუძლია გავლენა იქონიოს მოგება-ზარალზე.

ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმი:

- ჰეჯირების ურთიერთობა მოიცავს მხოლოდ შესაბამის ჰეჯირების ინსტრუმენტებსა და შესაბამის ჰეჯირების მუხლს;
- ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას, ჰეჯირების ურთიერთობის მინიჭებული აქვს ფორმალური კლასიფიკაცია და დოკუმენტაცია და კომპანიის ჰეჯირების გამოყენების რისკების მართვის მიზანი და სტრატეგია. ეს დოკუმენტაცია მოიცავს ჰეჯირების ინსტრუმენტის იდენტიფიკაციას, ჰეჯირებულ მუხლს, ჰეჯირებული რისკის ბუნებას და იმას, როგორ შეაფასებს კომპანია, აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირების ურთიერთობა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს.

ჰეჯირების ურთიერთობა ჰეჯირების ეფექტურობის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, თუ:

- არსებობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის;
- აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით გამოწვეულ ღირებულების ცვლილებაში არ დომინირებს საკრედიტო რისკის გავლენა;
- განსახილველი ჰეჯირების ურთიერთობისთვის ჰეჯირების კოეფიციენტი იგივეა, რაც გამომდინარეობს ფაქტობრივად ჰეჯირებული მუხლების და ამ მუხლების ჰეჯირებისთვის ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტების ოდენობიდან.

კომპანიამ ჰეჯირების ურთიერთობა ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირების მუხლს შორის შეიმუშავა შემდეგნაირად: სავალუტო დერივატული კონტრაქტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, შესაძლებელია განსაზღვრული იყოს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი. არანაშრომებული ფინანსური აქტივები ან არანაშრომებული ფინანსური ვალდებულებები, როგორებიცაა სესხი და ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი. ჰეჯირებული მუხლად შეიძლება განხილულ იყოს აღიარებული აქტივი ან ვალდებულება, აუღიარებელი მტკიცე ვალდებულება, საპროგნოზო გარიგება ან უცხოურ ოპერაციაში წმინდა ინვესტიცია.

ამასთან, კომპანია ახდენს ფორვარდულ ხელშეკრულებაში ფორვარდული ელემენტისა და სპოტ ელემენტის განცალკევებას და ჰეჯირების ინსტრუმენტად მხოლოდ სპოტ ელემენტის ღირებულების ცვლილების კლასიფიცირებას და არა ფორვარდული ელემენტის ღირებულების ცვლილებას.

ასევე მთელი ჰეჯირების ინსტრუმენტის, მაგალითად, ნომინალური თანხის 50 პროცენტი, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირების ინსტრუმენტად ჰეჯირების ურთიერთობაში. თუმცა, ჰეჯირების ინსტრუმენტად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ დროის პერიოდის იმ ნაწილთან, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირების ინსტრუმენტი დაუფარავი რჩება.

ეფექტურობა ის დონეა, როდესაც ჰეჯირებული მუხლის ღირებულებაში ცვლილება და ჰეჯირების ინსტრუმენტი ერთმანეთს ურთიერთგადაფარავს. თუ ჰეჯირება ეფექტურია, ჰეჯირების ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებაში ცვლილებები თავდაპირველად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი. ჰეჯირების ინსტრუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამართლიანი ღირებულების ცვლილების არაეფექტური ნაწილი აღიარდება პირდაპირ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ოდენობა უნდა იყოს უმცირესი შემდეგი ჩამონათვალიდან:

- ჰეჯირების დაწყების მომენტიდან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული აკუმულირებული შემოსულობა ან ზარალი, და
- ჰეჯირების დაწყების მომენტიდან ჰეჯირების მუხლის სამართლიანი ღირებულების კუმულაციური ცვლილებები

ჰეჯირების ინსტრუმენტზე შემოსულობის ან ზარალის წილი, რომელიც განსაზღვრულია, რომ იქნება ეფექტური ჰეჯირება, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში. ნებისმიერი ჰეჯირებაზე დარჩენილი შემოსულობა ან ზარალი წარმოადგენს ჰეჯირების არაეფექტურობას, რომელიც აღიარებული უნდა იყოს მოგება-ზარალში. ჰეჯირების ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებების ცვლილება, რომელიც განსაზღვრულია ჰეჯირების ურთიერთობაში გამჟღავნებულია შენიშვნა 25-ში.

გაბრიელ ბიჭია

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ ჰეჯირებული გარიგება შემდგომში იწვევს არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების აღიარებას, კომპანიამ ეს თანხა უნდა ამოიღოს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან და პირდაპირ ჩართოს ის აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ ან საბალანსო ღირებულებაში. ეს არ არის რეკლასიფიკაციის შესწორება და, მაშასადამე, გავლენას არ ახდენს სხვა სრულ შემოსავალზე.

თანხა, რომელიც აღიარებულია კუმულატიურ სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიკირდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმავე პერიოდში ან პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირებულ მუხლს გავლენა აქვს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. თუმცა, თუ ეს თანხა ზარალია და კომპანია ამ ზარალის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას არ მოეწოდებს ერთ ან ორ სამომავლო პერიოდში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ თანხის რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება.

როდესაც კომპანია წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის, თანხა, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, დაუყოვნებლივ უნდა რეკლასიფიკირდეს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან მოგება-ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირდება ფულად თანხებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საღარიბოში ფულადი სახსრებს და ნაშთებს ბანკებში, რომელთა დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

წარმოშობისას სამ თვეზე მეტი ხნით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულში და ფულის ექვივალენტებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშსწორების მიზნებისთვის. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, როდესაც: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებით ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) ისინი არ არის განსაზღვრული FVTPL-ში.

ბანკები განთავსებული ფულადი სახსრები. ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები მოიცავს ბანკებში განთავსებულ სახსრებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა აღემატება სამ თვეს და შეზღუდულ ფულად სახსრებს, რომლებიც არ არის გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი აღნიშნულ ნაშთებზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ლიზინგის დაწყება. ლიზინგის ვადის დაწყებად ითვლება სალიზინგო ხელშეკრულების თარიღი ან ვალდებულების თარიღი, რომელიც უფრო ადრე დადგება. ამ განსაზღვრების მიზნებისთვის, ვალდებულება შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ხელმოწერილი გარიგებაში ჩართული მხარეების მიერ და სპეციალურად მიეთითოს გარიგების ძირითადი პირობები.

ლიზინგის ვადის დაწყება . ლიზინგის ვადის დაწყებად ითვლება თარიღი, საიდანაც მოიჭარეს უფლება აქვს ისარგებლოს სალიზინგო აქტივის გამოყენების უფლებით. ეს არის ლიზინგის თავდაპირველი აღიარების თარიღი.

წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. თუ კომპანია შეიჭარეა, რომელიც გადასცემს მოიჭარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ლიზინგით გაცემული აქტივები წარმოდგენილია როგორც წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარებში. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებულ თანხებს და სხვა ნებისმიერ არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დისკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის სამართლიან ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები ლიზინგის დაწყებამდე, აღირიცხება, როგორც ავანსები ლიზინგის ხელშეკრულებებში ან წინასწარი გადახდები, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ლიზინგის ვადის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თავდაპირველი თანხები აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

საოპერაციო ლიზინგები. როცა კომპანია არის მეიჭარე, რომელიც არ გადასცემს მოიჭარეს მფლობელობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, სალიზინგო გადასახადების დავალიანებები აღიარებულია, როგორც სალიზინგო შემოსავალი თანაბრად ლიზინგის ვადის განმავლობაში. ლიზინგის ვადა არის არაგაუქმებადი პერიოდი, როდესაც მოიჭარე აფორმებს

კონტრაქტს აქტივის ლიზინგით გაცემისთვის დამატებითი პირობებით, როდესაც მოიჭარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის ლიზინგით სარგებლობა, დამატებითი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც ლიზინგის დაწყებისას დადასტურებულია, რომ მოიჭარე გამოიყენებს ამ ოფციონს. სააღრიცხვო პოლიტიკა აქტივებისთვის საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში განისაზღვრება ძირითად საშუალებებში. სხვა შემოსავალი სალიზინგო აქტივების დამატებითი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების დასაფარად შეტანილია შემოსავალში საოპერაციო ლიზინგიდან.



3. SIGNIFICANT ACCOUNTING POLICIES CONTINUED

იჯარის აღრიცხვა კომპანიის, როგორც მოიჯარის მიერ. კომპანიის იჯარები აღიარებულია აქტივებად გამოყენების უფლების ფორმით და შესაბამის ვალდებულებად იმ თარიღიდან, როდესაც საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი გახდება გამოსაყენებლად კომპანიის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა ნაწილდება ვალდებულებას და ფინანსურ ხარჯს შორის. ფინანსური ხარჯი ირიცხება მოგება ზარალში იჯარის პერიოდში, მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის შექმნისთვის ვალდებულების დანარჩენ ნაშთზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლების ფორმით აქტივები აღიარებულია თვითღირებულებით და ამორტიზირებულია აქტივის სასიცოცხლო ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირეს პერიოდში პროპორციულ საფუძველზე.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში.
- შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს; და
- ჭარიშების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია ლიზინგის ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის შეძენისთვის საჭირო სახსრების სესხად აღებისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები; და
- აღდგენის ხარჯები.

ზემოაღნიშნულის გამონაკლისის სახით, კომპანია აღრიცხავს მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებს, საიჯარო გადახდების, როგორც საოპერაციო ხარჯის აღიარებით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არ-გამოყენების კუთხით.

ლიზინგის ხელშეკრულებაებისთვის გადახდილი ავანსები. ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს ლიზინგის აქტივების შესყიდვისთვის განხორციელებულ გადახდებს, რომლებიც გადადის ფინანსური ლიზინგის წმინდა ინვესტიციაში ლიზინგის ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის.

შენყვადილი ლიზინგის ხელშეკრულებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღები თანხები კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხვით/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებისა და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით.

ლიზინგის მიღებაზე გაცემული. შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. რეკლასიფიცირდება ლიზინგის მიმღებზე გაცემულ სესხებად კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც მისაღები თანხები გახდება გადავადებული და ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის ფორმდება ხელშეკრულება ძირითადი თანხის გადახდის შესახებ დარიცხვით პროცენტთან ერთად. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მისაღები თანხების თვითღირებულებით, მინუს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით, მინუს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

გადახდილი ავანსები წინასწარი გადახდილი ავანსები ძირითად მოიცავს ავანსებს, რომლებიც გადახდილია სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის, აქტივებისთვის, რომლებიც უნდა გაიცეს ლიზინგით საოპერაციო ლიზინგის საფუძველზე და სხვა წინასწარ გადახდებს. წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებით, მინუს გაუფასურების ზარალი. თუ წინასწარი გადახდის ანაზღაურებადი თანხა მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, წინასწარი გადახდის თანხის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. სხვაობა, რომელიც არის გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად მოგება ზარალში იმ წელს, როდესაც ის წარმოიქმნა. წინასწარი გადახდების გაუფასურება შეფასებულია ინდივიდუალურად.

სხვა დებიტორული დავალიანებები. სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მინუს

მიხეილ ქიქოძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ შეუძლია ყველა თანხის ამოღება დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი ვადების შესაბამისად. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, ალბათობა იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება ან მოხდება ფინანსური რეორგანიზაცია და დეფოლტი ან გადაუხდელობა ითვლება იმის ინდიკატორად, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები გაუფასურდა.

რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, და ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალში. როდესაც სხვა დებიტორული დავალიანებები არ ექვემდებარება ამოღებას, ხდება მისი ჩამოწერა სხვა დებიტორული დავალიანებების შეფასებული რეზერვის ანგარიშით. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ანაზღაურება კრედიტორებზეა მოგება-ზარალში.

შეფასებული ლიზინგის ხელშეკრულებებიდან დაბრუნებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები სალიზინგო შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე. კომპანია განსაზღვრავს აღნიშნული აქტივების სამართლიან ღირებულებას ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის შიდა შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასების საფუძველზე.

კომპანია განსაზღვრავს წმინდა რეალიზებად ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის, როგორც შეფასებულ გასაყიდ ფასს, მინუს ყველა შეფასებული ხარჯი, გაყიდვის განხორციელებისთვის. სამართლიანი ღირებულება და გასაყიდი ფასი განისაზღვრება შიდა და გარე შემფასებლების მიერ, ბაზრის შედარების, ხარჯის ან შემოსავლის მიდგომების გამოყენებით. საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისთვის, აქტივები კვალიფიცირდება ფიქსირებულ აქტივებად და თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის დებულებების შესაბამისად, გაუფასურებული საგადასახადო ღირებულება, რომელიც გამოთვლილია კომპანიის მიერ ლიზინგით გასაცემი აქტივის შესყიდვის თარიღიდან.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განეტვა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს აღიარებული თანხების ჩათვლა და აპირებს განახორციელოს ანგარიშსწორება ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა. ჩათვლის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და (ბ) უნდა იყოს იურიდიულად უზრუნველყოფილი ყველა შემდეგ გარემოებაში: (i) საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, (ii) დეფოლტის შემთხვევა (iii) გადახდისუუნარობის და გაკოტრების შემთხვევა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები მითითებულია თვითღირებულებით, გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს ხომ არ არის ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიანი ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯსა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურების თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება თუ ხორციელდება ცვლილება შეფასებებში, რომელიც გამოიყენება აქტივის ღირებულების განსაზღვრისთვის მისი გამოყენებიდან ან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით

მოგება და ზარალი გასხვსებიდან, რომელიც განსაზღვრულია შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულებებში გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაში, გარდა ლიზინგით გაცემული საოპერაციო ლიზინგს დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელიც იყენებს წრფივ მეთოდს. დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	წლები
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები საოპერაციო ლიზინგისთვის	5
ავეჯი და მოწყობილობები	5
საიტარო გაუმჯობესებები	6.5
აქტივები გამოყენების უფლებით	3

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის გასხვისებით, რეალიზაციის ხარჯის შემდეგ, თუ აქტივი უკვე ძველია და არის იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის უნდა იყოს მისი მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას მისი მომსახურების ფიზიკური ვადის ბოლომდე. აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული უზრუნველყოფა და ლიცენზიები კაპიტალიზდება მათ შეძენასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ხარჯის საფუძველზე.

განვითარების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელსაც აკონტროლებს კომპანია, აღრიცხულია არამატერიალურ აქტივებად იმ შემთხვევაში, თუ მზარდი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება აღემატება ხარჯს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფის პერსონალის ხარჯებს და შესაბამისი ზედნაღები ხარჯების სათანადო ნაწილს. კომპიუტერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი ე.ი. მისი ტექნომსახურება აღიარდება ხარჯში მათი წარმოქმნისთანავე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის პერიოდში:

	წლები
ლიზინგის ERP პროგრამა	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უმაღლესით, მინუს რეალიზაციის ხარჯი.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან იმ კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რომელშიც შედის ტრანზაქციის ხარჯები, და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი შეფასება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია ქონების გაცვლა ინფორმირებულ, მსურველ პირებს შორის გარიგებების ფარგლებში.

აქტიურ ბაზარზე მიმდინარე ფასების არარსებობის შემთხვევაში კომპანია განიხილავს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- მიმდინარე ფასები აქტიურ ბაზარზე სხვადასხვა სახის, პირობების ან ადგილმდებარეობის მქონე ქონებასთან დაკავშირებით, კორექტირებული აღნიშნული განსხვავებების ასახვის მიზნით.
- მსგავსი ქონების ახალი ფასები ნაკლებ აქტიურ ბაზარზე, კორექტირებით ნებისმიერი ცვლილების ასახვის მიზნით ეკონომიკურ პირობებში გარიგებების თარიღიდან, რომელიც განხორციელდა აღნიშნული ფასებით; და
- დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზები მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებების საფუძველზე, არსებული ლიზინგის და სხვა კონტრაქტების პირობებით დადასტურებული, გარე მტკიცებულების საფუძველზე, როგორიცაა მსგავსი, იმავე პირობებისა და ადგილმდებარეობის მქონე ქონების მიმდინარე საბაზრო სალიზინგო გადასახადები, და დისკონტირების განაკვეთების გამოყენება, რომელიც ასახავს გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს თითოეული ფულადი ნაკადის ოდენობით და ვადებით.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც გააჩნიათ აღიარებული და სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი ლოკაციის და კატეგორიის ქონების შეფასებაში.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების შედეგად, აისახება მოგება ზარალში წლის განმავლობაში და წარმოდგენილია ცალკე.

გაბრიელ ბერიძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კლიენტებისგან მიღებული ავანსები. მოიჭარებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დაწყებამდე მიღებულ გადახდებს და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ასეთი ავანსები იქვითება წმინდა ინვესტიციებით ფინანსურ ლიზინგში კლიენტისგან პირველი სალიზინგო გადახდის დღეს.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები ირიცხება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სასხაბი განაკვეთი და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზირებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს. სავალო ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. თუ კომპანია შეისყიდის თავის გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ისინი ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის შეტანილი იქნება ვალის დაფარვის შედეგად წარმოქმნილ მოგებაში.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როცა კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში არსებული მოვლენების გამო და აშკარაა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა ეკონომიკური სარგებლების მომცველი რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ვალდებულების საიმედო შეფასების გაკეთება.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები და არა-გამოსასყიდი პრივილეგირებული აქციები დისკრეციული დივიდენდებით, კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. ახალი წილის ან ოფციონის გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირმა ხარჯებმა ნაჩვენებია კაპიტალში, როგორც მიღებული თანხა, გადასახადის გარეშე. ნებისმიერი მიღებული ნამეტი, რომელიც მიიღება აქციების ნომინალურ ღირებულებასა და გამოშვების ფასს შორის სხვაობით აღირიცხება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, თუ შესაძლებელია რესურსების გადინების მოთხოვნა ვალდებულების დასაფარად და საიმედო შეფასების გაკეთება. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა გამჟღავნებულია, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლების შემოღინება.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაგენტ ბანკებთან ახორციელებს დეპოზიტების საკომპენსაციო შეთანხმებას. ამგვარი დეპოზიტები, თუმცა სამართლებრივად განკალკუვებულია, აგრეგირებულია და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) დეპოზიტები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნის მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად აღირიცხება, თუ სამართლიანი ღირებულება არის უარყოფითი. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ გამომუშავებულ მოგებაზე, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი (15%) გადასახდელია მთლიანი ღირებულებით (ე.ი. წმინდა დივიდენდების მთლიანი თანხა მიიღება 5%-იანი გადასახადის გამოქვითვით, თუკი გამოიყენება, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტ იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას ჯამური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, გამოთვლილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე, შედარებით იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებასთან, რომელიც გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე, თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა.

გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადასახდელზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ კომპანიებთან, აგრეთვე გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარი გადახდებზე ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება სხვა გადასახადები გარდა მოგებისა მუხლში საოპერაციო ხარჯების ქვეშ.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯის შეფასებაში, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად. კორექტირებები გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებით აღრიცხულია მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის, (ა) კლიენტებისგან მისაღები თანხების ამოღების ან (ბ) კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების თარიღებიდან რომელიც უფრო ადრე დადგება. ჩასათვლელი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე. ჩასათვლელი დღგ ძირითადი საშუალებების შესყიდვებთან დაკავშირებით, გადავადებულია 5-10 წლამდე იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც აქვთ 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, რომელიც გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სასესხო სახსრებზე გადახდილი სესხის გაცემის საკომისიო, თუ მნიშვნელოვანია, გადავადებულია (დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია, როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ შემოსავალში. საკომისიო შემოსავალი / ხარჯი აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციური და საპრეზენტაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ლარში ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გარიგებები ხორციელდება გარიგების თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსით. აღნიშნული გარიგებებიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი შეტანილია წმინდა მოგებაში სავალუტო ოპერაციებზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული სავალუტო კურსი დახურვისას იყო: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი (2019 წ: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი); 1 ევრო = 4.0233 ლარი (2019 წ: 1 ევრო = 3.2095 ლარი).

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაიროცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის კომპანიასა და სხვა მხარეს (თანამშრომლის ჩათვლით) შორის შეთანხმება, რომელიც უფლებას აკისრებს მეორე მხარეს მიიღოს საწარმოს ნაღდი ფული ან სხვა აქტივები, რომელიც ეფუძნება საწარმოს ან სხვა ჯგუფის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტის (მათ შორის აქციები ან აქციის ოფციები) ფასს (ან ღირებულებას). თითოეული საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ჯგუფი გადახდავს წილობრივ ინსტრუმენტების რაოდენობის შეფასებას. ზრდა კაპიტალში დარიცხულ აქციებზე, რომელიც მიიღება ანგარიშსწორების სქემის შედეგად, აღირიცხება წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვის ფარგლებში. სქემის მონაწილეებისთვის აქციების მინიჭების შემდეგ, წილობრივ ინსტრუმენტზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი გადადის სააქციო კაპიტალში და აქციის პრემიაში.

გაბრიელ ბერიძე

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანიის ხელმძღვანელობა აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომდევნო ფინანსურ წელს კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო მოცულობაზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც არსებულ გარემოებებში გონივრულადაა შეფასებული. შეფასებების მომცველი დაშვებების გარდა ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დაშვებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხებზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დაშვებები და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მნიშვნელოვანი ცვლილებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება არის მნიშვნელოვანი შეფასება, რომელიც მოიცავს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზები, უფრო მეტი მსჯელობები გამოიყენება ხელმძღვანელობის მხრიდან, რაც შესაძლოა გაურკვევლობის წყარო გახდეს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში. ქვემოთ მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საკრედიტო ზარალის რეზერვზე: დეფოლტის განსაზღვრება, მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), რისკის პოზიცია დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ასევე მაკრო-ეკონომიკური სცენარების მოდელები.

კომპანია რეგულარულად გადახედავს და ამოწმებს აღნიშნულ მოდელებს და მის მონაცემებს ნებისმიერი განსხვავების შესამცირებლად დეფოლტის ალბათობის ("PD") და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის ("LGD") პარამეტრებს შორის, რომლებიც წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. შესაბამისი მგრძნობელობის ეფექტები აღწერილია ქვემოთ:

ათას ლარში	2020	2019
10% ზრდა 2 ეტაპზე	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 192 ათასი ლარით	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა 95 ათასი ლარით
10% ზრდა (შემცირება) PD შეფასებებში	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 469 ათასი ლარით (469 ათასი ლარი)	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 125 ათასი ლარით (125 ათასი ლარი)
10% ზრდა (შემცირება) LGD შეფასებებში	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 937 ათასი ლარით (903 ათასი ლარი)	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 1,103 ათასი ლარით (611 ათასი ლარი)
10% გაუარესება (გაუმჯობესება) LGD შეფასებებში	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 423 ათასი ლარით (428 ათასი ლარი)	ლიზინგის საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (კლება) 30 ათასი ლარით (30 ათასი ლარი)

კომპანია ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას სამ მაკროეკონომიკურ სცენარში მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. ამ სცენარებს შორის ერთი არის საბაზისო სცენარი (დიდი ალბათობით) და ორი ნაკლები ალბათობის სცენარი, რომელიც მითითებულია როგორც ზედა (უკეთესი ვიდრე საბაზისო) და ქვედა (უარესი, ვიდრე საბაზისო).

კოვიდ-19 პანდემიის ზემოქმედების გაგრძელების და სიმწვავის გამო, აღნიშნული სცენარის ალბათობები ასევე შესწორდა ხელმძღვანელობის მოლოდინების ასახვის მიზნით მათი მომავალი რეალიზაციის შესახებ. საბაზისო, უკეთესი და უარესი სცენარების ალბათობის შეწონილი მაჩვენებელი 60%-ით, 10%-ით და 30%-ით (2019 წლის 31 დეკემბერს: 50%, 25% და 25%).

გაბრიელ ჯიქია

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაცია

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

შესწორება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში (გაცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). გადახედული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, სახელმძღვანელოს ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშგებაზე; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელოს - კერძოდ ვალდებულების განსაზღვრება; და განმარტებები მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა გონივრული, ფრთხილი ხელმძღვანელობის ფუნქციები და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბიზნესის განმარტება - შესწორება ფას 3-ში (გაცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეამცვლის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსების შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურას იმის შესაფასებლად როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებიც არ გამოიმუშავენ შედეგებს. ორგანიზებული მუშახელი წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნესად კლასიფიკაციის წინაპირობად, შედეგების არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „რესურსი“ განსაზღვრება შემოიფარგლება კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებებით და საქონლით, საინვესტიციო შემოსავლით და სხვა შემოსავლით და გამორიცხავს შემოსავლებს დაბალი ხარჯების ფორმით და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება შეუძლია თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების შეცვლა ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. კომპანიას შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად ყველა შეძენილი მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფი).

არსებითობის განმარტება - ბას 1-ის და ბას 8-ის შესწორება (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ). შესწორება განსაზღვრავს არსებითობის განმარტებას და მისი გამოყენების წესს, განმარტებით სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც აქამდე წარმოდგენილია ფას 3-ში. გარდა ამისა, გაუმჯობესდა თანდართული განმარტებები. და ბოლოს შესწორებები უზრუნველყოფს, რომ არსებითობის განმარტება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშგაღებული საწარმოს შესახებ.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - შესწორება ფას 9-ში, ბას 39-ში და ფას 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები განპირობებულია საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთები („IBORs“). შესწორებები ითვალისწინებს დროებით გათავისუფლებას კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომელზეც პირდაპირ ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.

6. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

კონკრეტული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გამოცემულია, და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და რომელიც კომპანიამ ვადადღე არ მიიღო.

ინვესტორსა და მისი ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან შეთანა – ფასს 10-სა და ასს 28-ის შესწორება (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და შედის ქალაქი წლიური კარიოდაბისთვის, რომელიც იწყება ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან შემდგომ). ეს შესწორებები აუქმებს შესაბამისად ფასს 10-სა და ასს 28-ს შორის – არსებულს, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან შეთანის მხრივ. შესწორების ძირითადი შედეგია, სრული მოგებისა თუ ზარალის აღიარება, როდესაც ტრანზაქციაში მონაწილეობს ბიზნესი. ნაწილობრივი მოგებისა ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ტრანზაქციაში მონაწილეობს აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, იმ შემთხვევაშიც თუკი ეს აქტივები ეკუთვნის შვილობილ კომპანიას. კომპანია აფასებს ცვლილებების შემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ქალაქი შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური კარიოდაბისთვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია თვლის, რომ ახალი სტანდარტი გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე - შესწორება ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ქალაქი წლიური კარიოდაბისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნილი კაპიტალში. „დაფარვა“ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამოწვევის კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებაზე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორება ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუზოგბანება ფასს-აბში 2018-2020 - შესწორება ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ქალაქი შედის წლიური კარიოდაბისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ). შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემომწებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

გაბრიელ ჯიქია

6. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მითითება, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მითითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებიანა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16 (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდიკისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ). შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქმის ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში. თუ მოიჯარე გადაწყვეტს გამოიყენოს პრაქტიკული წესი იჯარის მიმართ, პრაქტიკული წესი გამოიყენებული უნდა იქნას თანმიმდევრულად ყველა საიჯარო კონტრაქტის მიმართ, რომელსაც აქვს მსგავსი მახასიათებლები და ანალოგიურ გარემოებებში. ცვლილება გამოყენებული უნდა იქნას რესტროსპექტულად ბასს 8 შესაბამისად, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ მოახდინონ წინა პერიოდის მაჩვენებლების ხელახლა ფორმულირება ან ინფორმაციის წარდგენა ბასს 8 28(ვ) პარაგრაფის შესაბამისად. კომპანიამ გაიანგარიშა ახალი ცვლილებების ეფექტი და დაასკვნა, რომ ამ ცვლილებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიაზე.

6. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შესწორება ფას 17-ში და შესწორება ფას 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისის და ქალაქია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ქალაქია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფას 17-ის განხორციელების გადვლილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფას 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფას 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფას 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფას 4-ში ფას 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამონაწერის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გამრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება. როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ფიქსირებული გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებების ცვლილებისთვის ფას 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების ზემოქმედებას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ქალაქი შესვლის თარიღის გადავადება - შესწორება ფას 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისის და ქალაქი შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბას 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არა მიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო სააპზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რაფორმა - ფაზა 2 შესწორება ფას 9-ში, ბას 39-ში, ფას 7-ში, ფას 4-ში და ფას 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აპრილის და ქალაქია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

6. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველზე, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველზე, IBOR რეფორმის შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვეო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჭარებეს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

შესწორება ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის დაბუღება 2: სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (გამოცემული 2021 წლის 12 თებერვალს და ქალაქში წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შესწორდა და მოითხოვს კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებული ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. ცვლილება ითვალისწინებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციის განსაზღვრებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითია, თუ და მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგებაში მომხმარებლები შეძლებენ სხვა არსებითი ინფორმაციის გაგებას ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილება ითვალისწინებს სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის ილუსტრაციულ მაგალითებს, რომლებიც შესაძლოა ჩაითვალოს არსებითად. საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. გარდა ამისა ცვლილება ბასს 1-ში განმარტავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის არა არსებითი ინფორმაციის გამჟღავნება არ არის საჭირო. თუმცა მისი გამჟღავნების შემთხვევაში, გაურკვეველი არ უნდა იყოს სააღრიცხვო პოლიტიკის არსებითი ინფორმაცია. ამ ცვლილების დადასტურებისთვის, ასევე შესწორდა ფასს პრაქტიკის დებულება 2 „არსებითობის განსაზღვრა“, იმის სახელმძღვანელოს წარმოდგენისთვის, როგორ უნდა იქნას გამოყენებული არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის მიმართ. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 8-ში: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ქალაქში წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 8-ში განმარტავს როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებებისგან სააღრიცხვო შეფასებებში. კომპანია ამჟამად აფასებს აღნიშნული ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

COVID-19- სთან დაკავშირებული ქირავნობის დათმობა - ცვლილება ფასს 16-ში (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 აპრილს ან შემდეგ). 2020 წლის მაისში გამოიცა ცვლილება ფასს 16-ში, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მოქირავანისთვის შეაფასონ, არის თუ არა საიჯარო მოდიფიკაცია COVID-19- სთან დაკავშირებული ქირავნობის დათმობა, რამაც გამოიწვია საიჯარო გადასახადების შემცირება 2021 წლის 30 ივნისს ან ადრე. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთ გარიგებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებთან - ცვლილება ბასს 12-ში (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ქალაქში 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებში). ბასს 12-ში შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ოპერაციებზე, როგორცაა ლიზინგი და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, პირები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. აქამდე გარკვეული გაურკვეველობა იყო იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორცაა ლიზინგი და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებების ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითული დროებითი სხვაობის თანაბარ ოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გაბრიელ ჯიქია

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	69,974	19,357
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	69,974	19,357

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 23,700 ათასი ლარის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (2019წ: 16,993 ათასი ლარი) განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე სს თიბისი ბანკში.

31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შეჭამებულია შემდეგი სახით:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიმდინარე ანგარიშები "BB-" - "BB+" რეიტინგის მქონე ბანკებში	24,099	19,081
მიმდინარე ანგარიშები "B-" - "B+" რეიტინგების მქონე ბანკებში	45,581	23
მიმდინარე ანგარიშები რეიტინგის არმქონე ბანკებში	294	253
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	69,974	19,357

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე უზრუნველყოფის სახით დაგირავდა 50,385 ათასი ლარის ფულადი ნაშთები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი ნაშთები არ იყო დაგირავებული უზრუნველყოფის სახით.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 34.

საინვესტიციო და ფინანსური გარიგებები, რომელიც არ მოითხოვს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამოყენებას და ამოღებულია ფულადი ნაკადების ანგარიშებიდან, არის შემდეგი:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიტარო ვალდებულებების მიმართ აქტივის გამოყენების უფლების აღიარება	259	1,138
არაფულადი საინვესტიციო საქმიანობები	259	1,138

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საიტარო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება	259	1,138
არაფულადი ფინანსური საქმიანობები	259	1,138

8. ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები სამ თვეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით	21,383	-
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები	21,383	-

2020 წლის 31 დეკემბერს ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები მოიცავდა 16,383 ათას ლარის განთავსებას სს თიბისი ბანკის ანგარიშებზე.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 34.

9. გადახდილი ავანსები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	3,000	3,414
სხვა გადახდილი ავანსები	89	138
სულ გადახდილი ავანსები	3,089	3,552

10. ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები

ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები 2020 წლის ბოლოს შეადგენდა 10,281 ათას ლარს (2019წ: 30,779 ათასი ლარი). ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ყველა ავანსი მიმდინარეა და როგორც წესი ანგარიშგების თარიღის შემდეგ ერთიდან სამი თვის ვადაში რეკლასიფიცირდება როგორც წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში.

11. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში

წმინდა და მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში არის შემდეგი:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	353,425	341,474
გამომუშავებული ფინანსური შემოსავალი	(72,104)	(81,712)
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	281,321	259,762
საკრედიტო ბარალის რეზერვი	(10,487)	(2,731)
სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	270,834	257,031

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსურ ლიზინგში მთლიანი ინვესტიციების გადანაწილება დაფარვის ვადის შესაბამისად:

ათას ლარში	1 წლის ვადით	1-დან 2 წლამდე ვადით	2-დან 3 წლამდე ვადით	3-დან 4 წლამდე ვადით	4-დან 5 წლამდე ვადით	5 წელზე მეტი ვადით	სულ
მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში 2020 წელს	133,093	102,671	64,964	31,307	13,922	7,468	353,425
გამომუშავებული ფინანსური შემოსავალი	(33,072)	(20,783)	(10,894)	(4,656)	(1,712)	(987)	(72,104)
გაუფასურების რეზერვი	(3,729)	(3,053)	(2,016)	(994)	(455)	(240)	(10,487)
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით	96,292	78,835	52,054	25,657	11,755	6,241	270,834
მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში 2019 წელს	148,624	98,030	56,055	25,321	9,388	4,056	341,474
გამომუშავებული ფინანსური შემოსავალი	(41,988)	(23,482)	(10,482)	(3,922)	(1,091)	(747)	(81,712)
გაუფასურების რეზერვი	(1,121)	(784)	(479)	(225)	(87)	(35)	(2,731)
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით	105,515	73,764	45,094	21,174	8,210	3,274	257,031

2020 წელს კოვიდ-19 პანდემიის გამო კლიენტებს ჰქონდათ საშუავათო პერიოდით სარგებლობის შესაძლებლობა. 2020 წლის მარტში თითქმის ყველა ჩვენმა კლიენტმა გამოიყენა სამთვლიანი საშუავათო პერიოდი. 2020 წლის ივნისში საშუავათო პერიოდი გაგრძელდა მომდევნო სამი თვით მხოლოდ ჩვენი მოწყვლადი კლიენტებისთვის. სალიზინგო გადასახდელების გადავადება შეთავაზებული იქნა 2020 წლის დეკემბერშიც, ასევე მხოლოდ მოწყვლად კლიენტებისთვის, რომელიც შეადგენდა საერთო პორტფელის დაახლოებით 20%-ს. მომხმარებლებს მიეცათ გადავადების შესაძლებლობა პროცენტზე და ძირ თანხებზე, შედეგად წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2,709 ათასი ლარის წმინდა მოდიფიკაციების ბარალი.

წლის განმავლობაში 3000-ზე მეტმა მომხმარებელმა ისარგებლა საშუავათო პერიოდით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტიური კლიენტები, რომლებმაც ისარგებლეს საშუავათო პერიოდით 2,228-ია, პორტფელი კი 165,419 ათასი ლარი, რაც მთლიანი პორტფელის 59% -ს შეადგენს.

კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო გადაუხდელი თანხა ფინანსურ ლიზინგის წმინდა ინვესტიციაზე, რომელიც ჩამოიწერა 2020 წლის და 2019 წლის საანგარიშო პერიოდში და კვლავ ექვემდებარება აღსრულების ქმედებას.

გაბრიელ ჯიქია

11. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

შემდეგი ცხრილი ასახავს ცვლილებებს ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციის საკრედიტო ზარალის რეზერვსა და მთლიან საბალანსო ღირებულებებში, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის**)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის**)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ
ათას ლარში								
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,529	99	1,103	2,731	206,072	23,766	29,924	259,762
ტრანსფერები:								
- 12-თვიანი ECL (მე-2 და მე-3 ეტაპიდან პირველ ეტაპამდე)	14	(14)	-	-	5,564	(4,940)	(624)	-
- სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (პირველი და მე-3 ეტაპიდან მე-2 ეტაპამდე)	(117)	119	(2)	-	(42,092)	44,375	(2,283)	-
- კრედიტით გაუფასურებული (პირველი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპამდე)	(467)	(23)	490	-	(26,114)	(1,636)	27,750	-
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	1,212	528	807	2,547	86,812	18,419	10,031	115,262
აღიარების შეწყვეტა პერიოდის განმავლობაში	(329)	(49)	(485)	(863)	(41,883)	(13,544)	(11,139)	(66,566)
ნაწილობრივ დაფარვები	-	-	-	-	(24,902)	(10,936)	(9,592)	(45,430)
უცხოური ვალუტის ეფექტი	-	-	-	-	6,503	3,424	3,539	13,466
ცვლილებები ECL შეფასების მოდელის დაშვებებში	805	1,207	4,060	6,072	-	-	-	-
სხვა მოძრაობა	-	-	-	-	2,138	1,390	1,299	4,827
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,647	1,867	5,973	10,487	172,098	60,318	48,905	281,321

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

**ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში

11. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის**)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფას- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის**)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფას- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ
ათას ლარში								
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	627	229	1,599	2,455	176,933	10,860	18,372	206,165
ტრანსფერები:								
- 12-თვიანი ECL (მე-2 და მე-3 ეტაპიდან პირველ ეტაპამდე)	1	(1)	-	-	4,969	(2,972)	(1,997)	-
- სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (პირველი და მე-3 ეტაპიდან მე-2 ეტაპამდე)	(14)	14	-	-	(5,951)	6,598	(647)	-
- კრედიტით გაუფასურებული (პირველი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპამდე)	(241)	(58)	299	-	(22,099)	(2,941)	25,040	-
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	1,321	76	81	1,478	138,879	18,664	5,785	163,328
აღიარების შეწყვეტა პერიოდის განმავლობაში	(176)	(169)	(1,401)	(1,746)	(55,562)	(4,849)	(10,406)	(70,817)
ნაწილობრივ დაფარვები	-	-	-	-	(34,837)	(2,163)	(8,874)	(45,874)
უცხოური ვალუტის ეფექტი	-	-	-	-	2,714	175	1,057	3,946
ცვლილებები ECL შეფასების მოდელის დაშვებებში	11	8	525	544	-	-	-	-
სხვა მოძრაობა					1,026	394	1,594	3,014
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,529	99	1,103	2,731	206,072	23,766	29,924	259,762

* მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

** ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში.

კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებდა თითოეული ლიზინგის კლასიფიკაციას, როგორც „მიმდინარე და არა გაუფასურებული“ ან „ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული“, სანამ არ გამოვლინდება ლიზინგის გაუფასურების გარკვეული ობიექტური მტკიცებულება. მთავარი ფაქტორები, რომლის მიხედვითაც კომპანია ლიზინგს მიიჩნევს გაუფასურებულად, არის ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, ვადაგადაცილების სტატუსი და სალიზინგო აქტივის რეალიზებადობა.

ჩვეულებრივ კომპანია ახდენს ფინანსური ლიზინგის კონტრაქტების რესტრუქტურირებას ისე, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის ვადის დასაწყისში გადაიხადოს მინიმალური ავანსი, რაც შეადგენს სალიზინგო აქტივების ფასის 20%-ს. კომპანიას აქვს ლიზინგით გაცემული აქტივების განკარგვის უფლება, ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივის განკარგვის უფლება გადაეცემა ლიზინგის მიმღებს სახელშეკრულებო ვადის ბოლოს, და ექვემდებარება სალიზინგო ვალდებულებების სრულ გადახდას. ზოგადად სალიზინგო ვადები დაახლოებით ხუთი წელია.

შეფასებაზე. მიღებული საკრედიტო უზრუნველყოფის მთავარი ტიპებია:

- სალიზინგო აქტივები (ინვენტარი და მოწყობილობა)
- პირველადი შენატანი
- უძრავი ქონება.

უზრუნველყოფის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის ღირებულების მიხედვით ცალკე (i) იმ აქტივებთან დაკავშირებით, სადაც უზრუნველყოფა და სხვა საკრედიტო გაუმჯობესება ტოლია ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) აქტივები, რომელთა უზრუნველყოფა და სხვა საკრედიტო გაუმჯობესება ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები“).

გაბრიელ ქაჩია

11. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბერს უზრუნველყოფის ეფექტი ნაჩვენებია ქვემოთ:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ათას ლარში				
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	217,955	357,794	63,366	51,182

უზრუნველყოფის ეფექტი 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		ნაკლებად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ათას ლარში				
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	228,651	365,934	31,111	21,041

2020 წლის 31 დეკემბერს, ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის საკრედიტო ხარისხი, გაანალიზებულია ქვემოთ:

	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR-თვის)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფასურებული კრედიტისთვის)	სულ
<i>In thousands of Georgian Lari</i>				
ინვესტიციები ფინანსური ლიზინგის რისკის კატეგორიაში				
- ძალიან დაბალი	153,590			153,590
- დაბალი	18,508	55,264		73,772
- ზომიერი		4,733		4,733
- მაღალი		321		321
- დეფოლტი			48,905	48,905
მთლიანი საბალანსო ღირებულება	172,098	60,318	48,905	281,321
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,647)	(1,867)	(5,973)	(10,487)
საბალანსო ღირებულება	169,451	58,451	42,932	270,834

11. წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბერს, ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის საკრედიტო ხარისხი, გაანალიზებულია ქვემოთ:

ათას ლარში	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR-თვის)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფასურებული კრედიტისთვის)	სულ
ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში რისკის კატეგორია				
- ძალიან დაბალი	175,760	-	-	175,760
- დაბალი	30,312	16,008	-	46,320
- ზომიერი	-	4,015	-	4,015
- მაღალი	-	3,743	-	3,743
- დეფოლტი	-	-	29,924	29,924
მთლიანი საბალანსო ღირებულება	206,072	23,766	29,924	259,762
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,529)	(99)	(1,103)	(2,731)
საბალანსო ღირებულება	204,543	23,667	28,821	257,031

გაგრძელება

12. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მინა	შენიშვნები	კომპიუტერი და საოფისე მოწყობილობა	ავტო და ინვენტარი	სატრ. საშუალებები	სატრ. საშუალებები საოპერაციო ლიზინგის სთვის	საიჯარო საკუთრების გაუმჯობესება	აქტივები გამოყენების უფლებით	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	10	-	260	332	452	9,252	118	407	10,831
დაგროვილი ცვეთა	-	-	(108)	(116)	(84)	(823)	(15)	-	(1,146)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	10	-	152	216	368	8,429	103	407	9,685
შემოსვლები	13	7	142	71	85	605	55	731	1,709
გასვლები	-	-	-	-	(129)	(461)	-	-	(590)
ტრანსფერი ფინანსურ ლიზინგში და დაბრუნებულ აქტივებში	-	-	-	-	-	(1,036)	-	-	(1,036)
ცვეთის ხარჯი	-	(1)	(43)	(49)	(60)	(1,176)	(40)	(404)	(1,773)
გასვლებსა და ტრანსფერებზე დაგროვილი ცვეთის ანუღირება	-	-	-	-	21	237	-	-	258
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	23	6	251	238	285	6,598	118	327	7,846
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	23	7	402	403	408	8,360	173	1,138	10,914
დაგროვილი ცვეთა	-	(1)	(151)	(165)	(123)	(1,762)	(55)	(404)	(2,661)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	23	6	251	238	285	6,598	118	734	8,253
შემოსვლები	-	-	19	56	-	119	95	259	548
გასვლები	-	-	(5)	(2)	(41)	(83)	(56)	(407)	(594)
ტრანსფერი ფინანსურ ლიზინგში და დაბრუნებულ აქტივებში	-	-	-	-	-	(349)	-	-	(349)
ცვეთის ხარჯი	-	(1)	(55)	(54)	(57)	(1,071)	(24)	(465)	(1,727)
გასვლებსა და ტრანსფერებზე დაგროვილი ცვეთის ანუღირება	-	-	1	1	28	156	35	318	539
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	23	5	211	239	215	5,370	168	439	6,670
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	23	7	416	457	367	8,047	212	990	10,519
დაგროვილი ცვეთა	-	(2)	(205)	(218)	(152)	(2,677)	(44)	(551)	(3,849)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	23	5	211	239	215	5,370	168	439	6,670

* Vehicles for operating leasing

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საოპერაციო ლიზინგებიდან მისაღები თანხები ვადიანობის მიხედვით:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 წლამდე ვადით	2669	3095
1-დან 2 წლამდე ვადით	1939	2422
2-დან 3 წლამდე ვადით	713	1736
2-დან 4 წლამდე ვადით	20	631
4-დან 5 წლამდე ვადით	4	17
5 წელზე მეტი ვადით	-	3
სულ არადისკონტირებული გადასახდელები	5,345	7,904

13. არამატერიალური აქტივები

ათას ლარში	ლიზინგის ERP პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	1,136	24	1,160
შემოსვლები	576	-	576
ამორტიზაციის ხარჯი	(11)	-	(11)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,701	24	1,725
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,721	57	1,778
დაგროვილი ამორტიზაცია	(20)	(33)	(53)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,701	24	1,725
შემოსვლები	675	26	701
გასვლები	-	(32)	(32)
ამორტიზაციის ხარჯი	(8)	(5)	(13)
გასვლებზე და ტრანსფერებზე დაგროვილი ცვეთის ანუღირება	(29)	29	-
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	2,339	42	2,381
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	2,396	51	2,447
დაგროვილი ამორტიზაცია	(57)	(9)	(66)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	2,339	42	2,381

2019 და 2020 წლის 31 დეკემბერს ლიზინგის ERP პროგრამა იყო ტესტირების ფაზაში და შესაბამისად ამორტიზაციის ხარჯი არ იყო დარიცხული.

გაბრიელ ჯიქია

14. საინვესტიციო ქონება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონება შედგებოდა 2012 წლის 25 დეკემბერს კომპანიის მიერ აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთისგან (10,839 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისგან (3,047 კვ.მ). შეძენილი ქონების ღირებულება შეადგენდა 890,513 ლარს. თავდაპირველად ქონების აღიარება მოხდა ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების სახით, ლიზინგის მიმღების (გლდანულა სს) მიერ ფინანსურ ლიზინგში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის დაუფარავი ნაშთის გასასწორებლად. თუმცა, ლიზინგის მიმღებმა უარი თქვა არსებული ვალდებულების დაფარვაზე და აუქციონის შედეგების გასაუქმებლად მიმართა სასამართლოს. 2016 წელს სასამართლომ გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა და აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა ქონების ფლობის მიზანშეწონილობა და გადაწყვიტა მისი საკუთრებაში დატოვება კაპიტალის გაზრდის მიზნებისათვის, ამრიგად, მოხდა ქონების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად.

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა წყლის სადრენაჟე სამუშაოები და გაწეული ხარჯები 19 ათასი ლარის ოდენობით დაკაპიტალიზდა საინვესტიციო ქონების ღირებულებაზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაუწყია რაიმე სახის დევლოპერული თუ სამშენებლო სამუშაოები აღნიშნულ ქონებაზე და არ განუსაზღვრავს მისი მომავალი გამოყენება. შესაბამისად ასეთი შეძენილი ქონება ითვლება კაპიტალის გასაზრდელად ფლობილ ქონებად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2,359 ათას ლარით შეფასდა (2019 წ. 2,210 ათასი ლარი). შეფასება განხორციელდა შპს Baker Tilly Georgia-ს მიერ, რომელიც წარმოადგენს აკრედიტირებულ დამოუკიდებელ შემფასებელს საქართველოში, საერთაშორისო შეფასების სტანდარტების და ქვეყნის კოდექსის შესაბამისად, რომელიც გაცემულია საერთაშორისო შეფასების სტანდარტების კომიტეტის მიერ. შემფასებელმა გამოიყენა საბაზრო მიდგომა, რომელიც ეფუძნება საკუთრების საუკეთესო გამოყენების ანალიზს. 2020 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება 149 ათასი ლარის ოდენობით (2019 წ. 91 ათასი ლარი) აღიარებული იქნა მოგება ზარალში.

ათას ლარში	თვითღირებულებით გადატანილი დასაკუთრებული აქტივებიდან	სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	შეფასების მეთოდი	სხვა ძირითადი ინფორ- მაცია	არა- დაკვირ- ვებადი მონა- ცემები	არა-დაკვირ- ვებადი მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)	მონაცემების მგრძნობელობა სამართლიან ღირებულებაზე
საინვესტიციო ქონება	891	2,359	ანალო- გების მეთოდი	მიწა და შენობა	კვად- რატული მეტრის ფასი	160 - 180	ზრდა (კლება) კვადრატული მეტრის ფასში განპირობებს ზრდას (კლებას) სამართლიან ღირებულებაში

მგრძნობელობის ანალიზი. 10% ზრდა ან კლება კვადრატული მეტრის ფასში გამოიწვევს 236 ათასი ლარის ზრდას ან კლებას საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში.

საინვესტიციო ქონება 2019 წლის 31 დეკემბერს:

ათას ლარში	თვითღირებულებით გადატანილი დასაკუთრებული აქტივებიდან	სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	შეფასების მეთოდი	სხვა ძირითადი ინფორ- მაცია	არა- დაკვირ- ვებადი მონა- ცემები	არა-დაკვირ- ვებადი მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)	მონაცემების მგრძნობელობა სამართლიან ღირებულებაზე
საინვესტიციო ქონება	891	2,210	ანალო- გების მეთოდი	მიწა და შენობა	კვად- რატული მეტრის ფასი	120 - 150	ზრდა (კლება) კვადრატული მეტრის ფასში განპირობებს ზრდას (კლებას) სამართლიან ღირებულებაში

15. შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	6,129	7,805
შენყვეტილი ლიზინგებიდან წლის განმავლობაში დაბრუნებული აქტივები, სამართლიანი ღირებულებით	10,442	8,955
აქტივების რეალიზაცია	(3,129)	(6,327)
დასაკუთრებული აქტივების გადაცემა ახალი ლიზინგით	(5,192)	(4,141)
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	(187)	(163)
სხვა მოძრაობა	(480)	-
საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს	7,583	6,129

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა, რომელიც შეადგენს 187 ათას ლარს (2019 წ: 163 ათასი ლარი) არის შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გადაფასების ეფექტი ანგარიშგების თარიღისთვის. მოგება/(ზარალი) დაბრუნებული აქტივების გაყიდვიდან და რელიზინგიდან შეადგენდა 702 ათას ლარს და (169) ათას ლარს 2020 და 2019 წლებისთვის, შესაბამისად.

16. სხვა ფინანსური აქტივები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მთლიანი მოთხოვნები შეწყვეტილი ლიზინგებიდან	19,121	17,868
მინუს: შეწყვეტილი ლიზინგებიდან მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი	(14,616)	(11,908)
შენყვეტილი ლიზინგებიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	4,505	5,960
სხვა მოთხოვნები მთლიანად	3,576	6,107
მინუს: სხვა მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,346)	(3,051)
სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	1,230	3,056
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული მთლიანი სესხები	4,412	3,311
მინუს: ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,981)	(2,216)
ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება, შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	1,431	1,095
სულ სხვა ფინანსური აქტივები	7,166	10,111

გაბრიელ ჯიქია

16. სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფასს 9-ის მიხედვით, სხვა ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება და საკრედიტო ზარალის რეზერვის კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის)**	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის)**	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ
ათას ლარში								
2019 წლის 31 დეკემბერს	-	-	17,175	17,175	-	-	27,286	27,286
ფინანსური ლიზინგის წმინდა ინვესტიციიდან გადმოცემული	-	-	2,492	2,492	-	-	6,692	6,692
პერიოდის განმავლობაში აღიარების შეწყვეტა	-	-	(4,332)	(4,332)	-	-	6,139	(6,139)
ცვლილება საკრედიტო ზარალის ცვლილების გამო	-	-	4,608	4,608	-	-	-	-
სხვა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	(730)	(730)
2020 წლის 31 დეკემბერს	-	-	19,943	19,943	-	-	27,109	27,109

* მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

**ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL*)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (lifetime ECL SICR- თვის)	ეტაპი 3 (lifetime ECL გაუფა- სურებული კრედი- ტისთვის)	სულ
ათას ლარში								
2018 წლის 31 დეკემბერს	-	-	12,218	12,218	-	-	19,544	19,544
ფინანსური ლიზინგის წმინდა ინვესტიციიდან გადმოცემული	-	-	7,417	7,417	-	-	12,714	12,714
პერიოდის განმავლობაში აღიარების შეწყვეტა	-	-	(2,554)	(2,554)	-	-	(4,757)	(4,757)
ცვლილება საკრედიტო ზარალის ცვლილების გამო	-	-	94	94	-	-	-	-
სხვა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	(215)	(215)
2019 წლის 31 დეკემბერს	-	-	17,175	17,175	-	-	27,286	27,286

17. სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან

სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სესხები უცხოურ ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში	217,163	105,497
ლარი	57,059	20,772
აშშ დოლარი	56,354	56,394
ევრო	103,750	28,331
სესხები ადგილობრივ ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში	47,083	136,699
ლარი	44,897	69,215
აშშ დოლარი	2,185	37,663
ევრო	1	29,821
სულ სესხები ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში	264,246	242,196

სესხები ბანკებში და ფინანსურ ინსტიტუტებში უზრუნველყოფილია კონკრეტული ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, კონკრეტული ლიზინგებიდან მისაღები თანხებით და ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადასახდელი ავანსებით, რომლებიც მოცემულია შენიშვნაში 7, 11 და 10.

მთლიანი ინვესტიციის ოდენობა რომელიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით შეადგენდა 191,893 ათას ლარს (2019 წ: 203,899 ათას ლარს), ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსების თანხა, რომლებიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით, შეადგენდა 10,930 ათას ლარს (2019 წ: 55,665 ათას ლარს), ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების თანხა, რომლებიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით, შეადგენდა 50,385 ათას ლარს (2019 წ: 0 ათას ლარს).

კომპანია ვალდებულია შეასრულოს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებები. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შესაბამისობაში ხსენებულ შეთანხმებულ პირობებთან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე დარიცხული გადასახდელი პროცენტი შეადგენდა 2,861 ათას ლარს (2019 წ: 2,074 ათასი ლარი).

ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია შენიშვნაში 32, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მითითებულია შენიშვნაში 34.

გაბრიელ ქაჩუა

18. კლიენტებისგან მიღებული ავანსები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებისგან მიღებული ავანსები შეადგენდა 8,623 ათას ლარს (2019: 18,836 ათასი ლარი). კომპანია კლიენტებისგან ითხოვს ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულების მინიმუმ 20%-ის ავანსად გადახდას. ამ თანხებს კომპანიის კლიენტები ლიზინგის ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე წინასწარ იხდიან და განათავსებენ კომპანიის ანგარიშზე, საგირავნო დეპოზიტის სახით, კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ლიზინგით გაცემული აქტივების კლიენტისათვის გადაცემამდე. ლიზინგით გაცემული აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდგომ, კლიენტებისგან ავანსის სახით მიღებული თანხები იქვეთება იმავე კლიენტების მიერ სალიზინგო მოთხოვნის სახით განხორციელებულ წმინდა ინვესტიციებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,153 ათასი ლარი (2019: 15,050 ათასი ლარი) არის კლიენტებისგან წინასწარ მიღებული საგირავნო დეპოზიტი, ხოლო კლიენტებისგან მიღებული ავანსების დარჩენილი ნაწილი წინასწარ გადახდილი სალიზინგო შენატანები და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ავანსებია.

19. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციები	GEL	20.03.2023	58,114	-
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			58,114	-

2020 წლის მარტში კომპანიამ მოახდინა 58,400 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციების განთავსება.

2020 წლის 31 დეკემბერს, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების კუპონის განაკვეთი იყო 11.35%, ხოლო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 12.50% მათი გამოშვების ფასის საფუძველზე, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

2020 წლის 31 დეკემბერს, სავალო ფასიანი ქაღალდებზე დარიცხული გადასახდელი პროცენტი შეადგენდა 184 ათას ლარს.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია კონკრეტული ლიზინგებიდან მისაღები თანხებით და ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადასახდელი ავანსებით, რომლებიც მოცემულია შენიშვნაში 11 და 10. მთლიანი ინვესტიციის ოდენობა რომელიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით შეადგენდა 64,105 ათას ლარს (2019 წ: 0 ათას ლარს), ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსების თანხა, რომლებიც დაგირავებულია უზრუნველყოფის სახით, შეადგენდა 1,670 ათას ლარს (2019 წ: 0 ათას ლარს).

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია შენიშვნაში 32, ხოლო ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მითითებულია შენიშვნაში 34.

20. სუბორდინირებული სესხები

ათას ლარში	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სუბორდინირებული სესხები თიბისიდან	31.07.2023	2,448	2,448
სუბორდინირებული ობლიგაციები	25.01.2023	32,964	28,779
სულ სუბორდინირებული სესხები		35,412	31,227

2020 წლის 31 დეკემბერს, სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული და გადასახდელი პროცენტის ნაშთი შეადგენდა 390 ათას ლარს (2019 წ: 333 ათას ლარს).

სუბორდინირებული სესხების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია შენიშვნაში 32.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 34.

21. სხვა ვალდებულებები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებების აქტივის მომწოდებლების მიმართ	1,609	7,170
საიტარო ვალდებულებები	569	796
ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების მიმართ	419	520
დარიცხული ხარჯები	455	341
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,052	8,827
გადასახდელი ბონუსები	1,531	1,453
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	1,531	1,453
სულ სხვა ვალდებულებები	4,583	10,280

ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე წარმოადგენს ლიზინგის მიზნებისათვის მიღებული აქტივების სანაცვლოდ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების ნაშთს.

ქვემოთ ცხრილში კი წარმოდგენილია საიტარო ვალდებულებების დაფარვის ვადები 2020 და 2019 წლების დეკემბრისთვის:

ათას ლარში	2020	2019
1 თვემდე	36	92
1-დან 3 თვემდე	76	116
3 თვიდან 1 წლამდე	338	301
1-დან 5 წლამდე	119	287
სულ საიტარო ვალდებულებები	569	796

22. სააქციო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 3,659 ათას ლარს (2019 წ: 3,659 ათასი ლარი). 2019 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 600 ათასი ლარის ღირებულების ჩვეულებრივი აქციები. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 1,000 ლარით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართული, გამოშვებული და გადახდილი აქციების საერთო რაოდენობა შეადგენდა 3,659 ჩვეულებრივ აქციას, თითოეულის ნომინალური ღირებულება 1,000 ლარია. თითოეულ აქციას აქვს ერთი ხმის უფლება. 2020 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება მომხდარა.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამატებითი შენატანი კაპიტალში შეადგენდა 7,550 ათას ლარს, რაც გულისხმობს აქციების გამოშვებით მიღებული ნამეტს, რომელიც მიიღება აქციების ნომინალურ ღირებულებასა და გამოშვების ფასს შორის სხვაობით.

23. სხვა შემოსავალი

ათას ლარში	2020	2019
შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებიდან	2,438	262
სხვადასხვა შემოსავალი	872	1,007
სხვა შემოსავალი	3,310	1,269

24. საგმენდური ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტები კომპონენტებია, რომლებიც ჩართულია ბიზნეს საქმიანობებში, რომლებთან დაკავშირებით კომპანია გეგმავს ხარჯების გაწევას და შემოსავლების მიღებას.

ამჟამად კომპანია თავის ფინანსურ შედეგებს აღრიცხვას მთლიანობაში, და არა საოპერაციო სეგმენტების მიხედვით. ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ თავისი საქმიანობის ერთხაზოვანი მახასიათებლების გამო, კომპანიას არ შეუძლია განასხვავოს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტები. ამრიგად, მიმდინარე საანგარიშო წელს ხელმძღვანელობა არ გამოყოფს ბიზნეს მიმართულებებს რამდენიმე საოპერაციო სეგმენტად და თვლის, რომ ისინი აკმაყოფილებს აგრეგაციის კრიტერიუმების უმრავლესობას და მათი მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლების გამო, კომპანია აერთიანებს მათ ერთ საოპერაციო სეგმენტში.

ქვემოთ ცხრილში სალიზინგო შემოსავალი წარმოდგენილია პროდუქტების მიხედვით:

პროდუქტის ტიპები	2020	2019
კორპორატიული ლიზინგის პორტფელი	30,799	34,029
ახალი ავტომობილები	7,834	5,548
ახალი და მეორადი ავტომობილების დაფინანსება	1,617	1,609
მეორადი ადგილობრივი ავტომობილები	2,772	4,580
მეორადი იმპორტული ავტომობილები	2,556	3,408
სულ შემოსავალი ინვესტიციაზე იჯარებში	45,578	49,174

კომპანია არ ოპერირებს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში.

2020 წლის განმავლობაში, ერთ გარე მომხმარებელთან არსებული გარიგებიდან მიღებული შემოსავალი, სადაც საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების ჯგუფი განიხილება როგორც ერთ მომხმარებელად, არის კომპანიის მთლიანი შემოსავლის 5 პროცენტზე ნაკლები.

25. ლიზინგის პირდაპირი ხარჯები

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ლიზინგის პირდაპირი ხარჯები 2020 და 2019 წლებისთვის:

ათას ლარში	2020	2019
სადაზღვევო ხარჯები	5,427	4,468
სალიზინგო აქტივების ქონების გადასახადი	2,590	2,881
სხვა ლიზინგის ხარჯები	203	352
სულ პირდაპირი ლიზინგის ხარჯები	8,220	7,701

26. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	2020	2019
პერსონალის ხარჯები	4,998	5,067
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,740	1,784
პროფესიული მომსახურებები	475	562
აქტივების ტექმომსახურების ხარჯები	313	507
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	293	353
ბანკის საკომისიოები	252	508
ლიცენზიის და გამოწერის ხარჯი	247	272
განთავსება და იჯარა	164	116
სარეკლამო ხარჯები	133	362
სხვა ქონების დაზღვევის ხარჯები	149	19
მიწისა და შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა	27	95
სხვა ხარჯები	486	726
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	9,277	10,371

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიულ მომსახურებებში შედიოდა ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებული ხარჯი 193 ათასი ლარის ოდენობით (2019: 186 ათასი ლარი) და საგადასახადო აუდიტთან დაკავშირებული ხარჯი 15 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელი: 15 ათასი ლარი). წარმოდგენილი ხარჯები არ მოიცავს გადასახადებს.

27. ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეჯამება

ათას ლარში	ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან			
	სესხები ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში	გამოშვებული სავალდებულო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული სესხები	სულ
წმინდა ვალი 2019 წლის 31 დეკემბერს	242,196	-	31,227	273,423
ფულადი ნაკადები	(26,891)	52,534	(3,042)	22,601
უცხოური ვალუტის კორექტირებები	32,915	-	4,097	37,012
პროცენტის დარიცხვა	16,719	5,580	3,130	25,429
სხვა არაფულადი მოძრაობა	(693)	-	-	(693)
წმინდა ვალი 2020 წლის 31 დეკემბერს	264,246	58,114	35,412	357,772

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალდებულებები და მათთან მიმართებაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი თითოეული წარმოდგენილი პერიოდისათვის. ვალდებულებების მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში არის ასახული.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთების და ტრანზაქციების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 34.

გაბრიელ ჯიქია

28. ჰეჯირება

ჰეჯირების აღრიცხვის მიზანია მართოს ან თავიდან აიცილოს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ყოველდღიური ბიზნეს ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ ღია სავალუტო პოზიციასთან. ფინანსური ინსტრუმენტები გამოყენებულია ისეთი ზემოქმედების სამართავად, რომელიც გამომდინარეობს გარკვეული რისკებიდან, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მოგება-ზარალზე.

რისკის მართვის სტრატეგია და მისი გამოყენება რისკის მართვის მიზნით

კომპანია ჰეჯირების ურთიერთობაში ჩართულია ძირითადად ლიზინგის მთლიანი ციკლის განმავლობაში ორ პუნქტში, რათა მართოს შემდეგი რისკებისადმი დაქვემდებარება:²

1. ლიზინგის ხელშეკრულების დაწყების თარიღში, სანამ ლიზინგის აქტივების შესაძენად ფულადი სახსრები გადაეცემა მომწოდებელს, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე. მაშინ, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულების ვალუტა განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულების ვალუტისგან. სალიზინგო აქტივის შესყიდვის მტკიცე ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც ჰეჯირებული მუხლი და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (აქტივი) და წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი. თუ ლიზინგის ვალუტა დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში და სალიზინგო აქტივის ნასყიდობის ხელშეკრულება დენომინირებულია ფუნქციურ ვალუტაში (ლარი), ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის მტკიცე ვალდებულება (NIFL) კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირებული მუხლი და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (ვალდებულება) და სენიორ სესხები, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი.
2. ლიზინგის ხელშეკრულების გარიგების თარიღის შემდეგ, ე.ი. მაშინ, როდესაც მოხდება თანხების გადარიცხვა მომწოდებელთან, ლიზინგის აქტივის შესაძენად, კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულებისთვის გადახდილ ავანსს, როგორც არა-ფინანსურ აქტივს. შეუქცევადი ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, ავანსის გადარიცხვის თარიღისთვის არსებობს შეუქცევადი მტკიცე ვალდებულება ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებისთვის და იმ შემთხვევებში, როდესაც ლიზინგი დენომინირებულია გადახდილი ავანსის ვალუტისგან განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში, ჩნდება ღია სავალუტო პოზიცია. ამ რისკის სამართავად კომპანია იყენებს ჰეჯირების ინსტრუმენტებს. ამგვარად, ავანსის გადარიცხვის თარიღიდან ლიზინგის დაწყების თარიღამდე მტკიცე ვალდებულება NIFL-ში კლასიფიცირდება ჰეჯირებულ მუხლად, ხოლო სესხი-ჰეჯირების ინსტრუმენტად.

ჰეჯირების ინსტრუმენტი და ჰეჯირების აითვაი

ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებისთვის აქტივის ლიზინგის შესყიდვის მტკიცე ვალდებულება და NIFL-ის მტკიცე ვალდებულება წარმოადგენს ჰეჯირებულ მუხლებს. სვოპ ხელშეკრულებები, ფორვარდული ხელშეკრულებები, დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი, სენიორ სესხები და ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიყენება ღია სავალუტო პოზიციის ჰეჯირებისთვის და კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი. რადგან კომპანია ჰეჯირების ინსტრუმენტებს იყენებს საპროგნოზო გარიგებების ჰეჯირებისთვის, ის ჩართულია ფულადი ნაკადების ჰეჯირების ურთიერთობაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჰეჯირების პოზიციებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

28. ჰეჯირება (გაგრძელება)

თანხები გამოსახულია ათასობით ნომინალურ ვალუტაში.

ტიპი		ვალუტა	თანხა ნომინალში	განაკვეთი	მუხლი, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში
ჰეჯირებული მუხლი	ლიზინგის აქტივის შეძენის მტკიცე ვალდებულება	აშშ დოლარი	492		არა საბალანსო უწყისის მუხლი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	ფორვარდული ხელშეკრულებები	აშშ დოლარი	492	2.9%-3.3%	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი
ჰეჯირებული მუხლი	ლიზინგის აქტივის შეძენის მტკიცე ვალდებულება	აშშ დოლარი	905		არა საბალანსო უწყისის მუხლი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	აშშ დოლარი	905	12%-13.6%	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში
ჰეჯირებული მუხლი	ლიზინგის აქტივის შეძენის მტკიცე ვალდებულება	ევრო	116		არა საბალანსო უწყისის მუხლი

ჰეჯირების ინსტრუმენტი	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	ევრო	116	9.7%-11.5%	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში
ჰეჯირებული მუხლი	ლიზინგის აქტივის შეძენის მტკიცე ვალდებულება	აშშ დოლარი	3,915		არა საბალანსო უწყისის მუხლი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	სვოპ ხელშეკრულებები	აშშ დოლარი	3,254	3.0058-3.0455 USD/GEL	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	ფორვარდული ხელშეკრულებები	აშშ დოლარი	661	1.1215 EUR/USD	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი
ჰეჯირებული მუხლი	ლიზინგის აქტივის შეძენის მტკიცე ვალდებულება	ევრო	3,869		არა საბალანსო უწყისის მუხლი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	სვოპ ხელშეკრულებები	ევრო	3,869	3.3412-3.4166 EUR/GEL	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი
ჰეჯირებული მუხლი	NIFL -ის მტკიცე ვალდებულება	ევრო	451		არა საბალანსო უწყისის მუხლი
ჰეჯირების ინსტრუმენტი	სენიორ სესხი	ევრო	451	3.2829 EUR/GEL	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი

ჰეჯირებული მუხლი	NIFL -ის მტკიცე ვალდებულება	აშშ დოლარი	5,370	-	ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები
ჰეჯირების ინსტრუმენტი	სენიორ სესხი	აშშ დოლარი	5,370	5.7%-6%	სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან
ჰეჯირებული მუხლი	NIFL -ის მტკიცე ვალდებულება	ევრო	2,526	-	ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები
ჰეჯირების ინსტრუმენტი	სენიორ სესხი	ევრო	2,526	4%- 5.70%	სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან

გაბრიელ ჯიქია

28. ჰეჯირება (გაგრძელება)

იმისათვის რათა განისაზღვროს ჰეჯირებულ მუხლს და ჰეჯირების ინსტრუმენტებს შორის ურთიერთობა, კომპანია უპირველესად ახორციელებს ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ნომინალური ანგარიშის, ვალუტის და დაფარვის ვადების ანალიზს, არიან თუ არა ისინი ერთმანეთთან შესაბამისობაში, ან თითქმის გათანაბრებული. აღნიშნული გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე კომპანიას შეუძლია დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს გააჩნია ღირებულება, რომელიც ერთი და იმავე რისკის გამო საპირისპირო მიმართულებით იცვლება და, შესაბამისად, ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის არსებობს ეკონომიკური ურთიერთკავშირი.

ჰეჯირების კოეფიციენტი ასახავს იმ ჰეჯირებული მუხლის თანხასა და ჰეჯირების ინსტრუმენტის თანხას შორის თანაფარდობას, რომელსაც კომპანია ფაქტობრივად იყენებს. როგორც ეს ზემოთ მოცემულ ცხრილებშია ნაჩვენები, ჰეჯირების კოეფიციენტი არის 1:1, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მხოლოდ შესაბამისი წილია კლასიფიცირებული, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი რომელიც შესაბამეობა ჯეჰირებულ მუხლს. ჰეჯირების ინსტრუმენტების დარჩენილი წილი არ ექვემდებარება ჰეჯირების აღრიცხვას და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში. ასევე, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი რომელიც არის ჰეჯირების არაეფექტურობის წყარო, აღიარებულია მოგება ზარალში.

ჰეჯირების აღრიცხვის შედეგი სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე გამჟღავნებულია ქვემოთ:

ჰეჯირების მუხლის ტიპი	სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა (2020)	სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა (2019)
ლიზინგის აქტივის შესყიდვის მტკიცე ვალდებულება	(46)	188
NIFL -ის მტკიცე ვალდებულება	(348)	(26)
(ზარალი)/მოგება ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან	(394)	162

როგორ შეიძლება ჰეჯირების საქმიანობა იმოქმედოს სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობაზე, დროსა და გაურკვევლობაზე.

ჰეჯირების აღრიცხვა ამცირებს ღია სავალუტო პოზიციებთან დაკავშირებულ რისკებს, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჰეჯირების ინსტრუმენტები კომპანიას საშუალებას აძლევს იყოს მეტად დაცული იმ სავალუტო რისკებისგან, რომლებიც უკავშირდება ფულადი ნაკადების სავარაუდო გადინების პროგნოზს, გაურკვეველი სამომავლო გაცვლითი კურსით. ლიზინგის ხელშეკრულების დაწყებისას, კომპანია სამხრეთ ურთიერთობაში შედის. შეუქცევადი სალიზინგო ხელშეკრულების და შეუქცევადი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია სალიზინგო აქტივებისთვის იღებს თანხების გადახდის ვალდებულებას. შეთანხმების დასაწყისში, კომპანია ეთანხმება ამ ვალდებულებას, და რადგან სალიზინგო ხელშეკრულება ვერ შედგება თანხების გადახდის გარეშე, ამიტომ თანხების გადინების ანუ ვალდებულების შესრულების ალბათობა მაღალია.

29. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან (საკრედიტო, ლიკვიდურობის და ბაზრის რისკებთან) (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებთან), გეოგრაფიულ, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების განფენილობა აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის კონტრაქტების და სხვა გარიგებების გაფორმების შედეგად კონტრაგენტებთან, რომლებიც ქმნის ფინანსურ აქტივებს. მაქსიმალური ოდენობა საკრედიტო რისკის, შესაბამისაა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ. მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტი მონაწილეობს ფინანსური ლიზინგის გაცემის გადაწყვეტილებებში, რომლის ღირებულება აღემატება 1,500,000 აშშ დოლარს. კომპანიის დირექტორთა საბჭოს ან საკრედიტო

კომიტეტისთვის მიმართვამდე, ყველა რეკომენდაცია სალიზინგო პროცესებზე (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება ან შესწორებები სალიზინგო ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და დამტკიცდება რისკის მენეჯერის ან საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

კომპანია ჩვეულებრივ ადგენს თავის ფინანსური ლიზინგის კონტრაქტებს იმგვარად, რომ მოიჭარეხოს რისკები მოწყობილობის შესყიდვის ფასის 20%-ის წინასწარ გადახდას ლიზინგის ვადის დასაწყისში. კომპანია ფლობს საკუთრების უფლებას სალიზინგო აქტივებზე ლიზინგის ვადის განმავლობაში. უფლება აქტივებზე ფინანსური ლიზინგის კონტრაქტების შესაბამისად გადაეცემა მოიჭარეხებს აღნიშნული კონტრაქტების ვადის ბოლოს.

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკები, როგორცაა ზიანი სხვადასხვა მიზეზის გამო, ქურდობა და სხვა ზოგადად დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს მოიჭარეხების ფინანსურ ეფექტურობას დაუფარავი ვალეების მონიტორინგის და მათი ფინანსური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. მთავარი ფაქტორები, რომელსაც კომპანია განიხილავს არის თუ არა ლიზინგი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი, ლიზინგის მიმღების ფინანსური მაჩვენებლები და ლიკვიდურობა და სალიზინგო აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისთვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურია ანგარიშგების თარიღისთვის ლიზინგის პორტფელში არსებული პოტენციური ზარალის შთანთქმისთვის.

ხელმძღვანელობა ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას კვარტალურად, მოვალეობის ფინანსური მაჩვენებლების და სხვა ფაქტორების საფუძველზე, როგორცაა სასამართლო დავების შედეგები სასამართლოში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი რეზერვი ადეკვატურია ანგარიშგების თარიღისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის ამჟამინდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის მიუკერძოებელი და განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ეფუძნება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), და დისკონტირების განაკვეთი. შეფასებები ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) ასახავს მთავარი მაკროეკონომიკური ცვლადების ალბათობით შეწონილ განვითარებას, რომლებიც გავლენას ახდენს საკრედიტო რისკზე.

გაბრიელ ჯიქია

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, იყენებს სამ კატეგორიან მოდელს და კლასიფიცირებას უკეთებს მის მსესხებლებს ამ სამი ეტაპის მიხედვით: კომპანია ახდენს რისკების კლასიფიკაციას I კატეგორიის რისკებად, თუ თავდაპირველი აღიარებიდან საკრედიტო ხარისხში მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი არ იყო გაუფასურებული კრედიტის თვალსაზრისით თავდაპირველი აღიარებისას. რისკი კლასიფიცირდება II კატეგორიის რისკად იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოვლინდა თავდაპირველი აღიარებისას, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებულად. რისკები, რომელთან დაკავშირებით კრედიტის თვალსაზრისით გაუფასურებული ინდიკატორები გამოვლინდა, კლასიფიცირებულია III კატეგორიის ინსტრუმენტებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვის ოდენობა განსხვავდება ერთ-ერთი ეტაპისთვის განაწილებული რისკის მიხედვით. პირველი კატეგორიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს დეფოლტის მოვლენებს ანგარიშგების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში. მეორე კატეგორიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) წარმოადგენს მთლიანი პერიოდის ECL-ს, ე.ი. საკრედიტო ზარალს, რომელიც შესაძლოა მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი პერიოდის განმავლობაში. ზოგადად, მოქმედების ვადა ითვლება ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის ტოლად. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო დაფარვის განრიგების არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების ოფციონები და ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესები, გავლენას ახდენენ მოქმედების ვადის განსაზღვრაზე. მესამე კატეგორიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და მთლიანი პერიოდის ECL შეფასებულია მოსალოდნელი ამოღებების საფუძველზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ორ მიდგომას - ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასება. ინდივიდუალური შეფასება ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი იჯარებისთვის, საიჯარო ვალდებულებით, რომელიც შეადგენს მინიმუმ 2.5 მილიონ ლარს. დამატებით, კომპანიამ შესაძლოა თვითნებურად განსაზღვროს შერჩეული რისკები ECL-ს ინდივიდუალური შეფასებისთვის კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპანია იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდს ანაზღაურების თანხის განსაზღვრისთვის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ასანაზღაურებელი თანხის ზუსტი შეფასების უზრუნველყოფისთვის, კომპანიამ შესაძლოა გამოიყენოს სცენარის ანალიზის მიდგომა. სცენარები შესაძლოა განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკისა და მომავალი პერსპექტივების, იმ სექტორის გათვალისწინებით სადაც მსესხებელი ოპერირებს ან უზრუნველყოფის ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით. სცენარის ანალიზის შემთხვევაში, კომპანია პროგნოზირებას ასანაზღაურებელ თანხას თითოეული სცენარისთვის და აფასებს შესაბამის ზარალს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალის შეწონილი საშუალო მაჩვენებლის სახით, რომელიც შეწონილია სცენარის დადგომის ალბათობით.

მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში ("SICR"): თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის და თითოეულ

ანგარიშგების დღეს, ლიზინგის კომპანია აფასებს არის თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარებიდან (SICR მახასიათებელი). SICR მახასიათებლის დადგენისთვის ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, ლიზინგის კომპანია ახორციელებს ფაქტორების ყოვლისმომცველ ანალიზს, მათ შორის კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის და ლიზინგის მიმრებისთვის დამახასიათებელი ფაქტორების ანალიზს.

გაბრიელ ჯიქია

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მიერ გამოყენებული მიდგომის დეტალები.

SICR ინდიკატორი	შესვლის პირობები	გამოსვლის პირობები	ლიზინგის კომპანია
1. DPD 30 ზღვარი	გადავადებული დღეების რაოდენობა აღემატება 30 დღიან ლიმიტს (გადავადებული თანხის მიუხედავად). კორპორატიული/ SME მსესხებლების შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილება შესვლის პირობა მინიმუმ ერთ კონტრაქტზე, მსესხებლის ყველა კონტრაქტი კლასიფიცირდება მეორე კატეგორიაში.	გადავადებული დღეების რაოდენობა (კლიენტის ნებისმიერ კონტრაქტზე) არ აღემატება 30-ს (გადავადებული თანხის მიუხედავად).	მოქმედი
2. რესტრუქტურზაცია	მოხდა კონტრაქტის რესტრუქტურზაცია, თუმცა არ არის პრობლემური, ე.ი. არ არის დეფოლტი ("კარგი" რესტრუქტურზაცია)	6 მომდევნო თვე, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილება რესტრუქტურზაციის თარიღიდან	მოქმედი, SICR დადგინდება თუ კონტრაქტის რესტრუქტურზაცია კლასიფიცირდება, როგორც "კარგი რესტრუქტურზაცია" შიდა კლასიფიკაციაში. "კომერციული რესტრუქტურზაციის" კლასიფიკაცია არ ითვლება SICR ფაქტორად.
3. დეფოლტის გამოსვლის პერიოდი (დეფოლტის გამოსაცდელი პერიოდი)	6 მომდევნო თვე, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილება DPD 90 თარიღიდან ან "ცუდი" რესტრუქტურზაციის თარიღიდან.	6 მომდევნო თვე, არაუმეტეს 60 დღით ვადაგადაცილება დეფოლტის გასვლის შესვლის თარიღიდან	მოქმედი

ზემოთ ცხრილში აღწერილი სტანდარტული SICR კრიტერიუმის გარდა, გლობალური პანდემიის გამო, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ლიზინგის პორტფელზე გამოიყენება შემდეგი: კოვიდი-19-ით ზემოქმედებული სექტორების ყველა კლიენტი (რომელიც განისაზღვრა ჩვენი საკრედიტო რისკების დეპარტამენტის მიერ, სექტორის პროგნოზების გამოყენებით, სადაც აღნიშნული სექტორები განიცდიან მნიშვნელოვან კლებას), გადავიდა მეორე კატეგორიაში (თუ ისინი თვალნათლივ არ ხვდებიან მესამე კატეგორიაში). დამატებით, რესტრუქტურზაციები რომლებსაც მინიჭებული ქონდათ კარგი რესტრუქტურზაციის სტატუსი საშეღავათომდე, არ იყვნენ გადაყვანილები მეორე კატეგორიიდან საშეღავათო პერიოდის გავრცელების გამო.

დეფოლტის კრიტერიუმი. კოვიდ-19-დან გამომდინარე, კომპანიამ გამოიყენა ახალი კრიტერიუმი გაუარესებული კონტრაქტებისთვის, ადრეული დეფოლტის დაიდენტიფიცირების გასაადვილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აღმოჩენილი საშეღავათო პერიოდების გამო. კრიტერიუმი დაფუძნებულია გადახდების მოცულობის ისტორიაზე პანდემიის დაწყების შემდეგ და ასევე მეორე საშეღავათო პერიოდის დასრულებიდან. შედარებით დიდი კლიენტები შეფასდნენ ბოლოდროინდელი ფინანსური მონიტორინგის და შესაბამისი სესხის მომსახურების კოეფიციენტის საფუძველზე.

დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში (EAD). დავალიანება დეფოლტის შემთხვევაში (EAD) წარმოადგენს საკრედიტო რისკის პოზიციის შეფასებას დეფოლტის დროს, რომელიც დგება ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების პერიოდში. EAD პარამეტრი, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გამოთვლის მიზნებისთვის, დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, ე.ი. კომპანია ითვალისწინებს პარამეტრის სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენებას მომდევნო დროის პერიოდებში რისკის არსებობის პერიოდში. EAD -ს ასეთი სტრუქტურა გამოიყენება პირველი და მეორე კატეგორიის ყველა ფინანსურ ინსტრუმენტზე. III კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, EAD ვექტორი არის ერთი-ელემენტი მოქმედი EAD-ით, მხოლოდ ღირებულების სახით.

დეფოლტის ალბათობა (PD). დეფოლტის ალბათობის პარამეტრის აღწერს დეფოლტის ალბათობას კონკრეტული დროის განმავლობაში და წარმოადგენს იმ ალბათობის შეფასებას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს კონტრაქტით გათვალისწინებულ სავალო ვალდებულებების დაკმაყოფილებას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დამოკიდებულია დროის ფაქტორზე (ე.ი. გააჩნია კონკრეტული დროის სტრუქტურა) და გამოიყენება ყველა არა-დეფოლტში მყოფ კონტრაქტებზე.

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

აღნიშნული მოდელი ეფუძნება მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასებებს. აღნიშნული ფასდება წლიური დეფოლტის განაკვეთის საფუძველზე იმ პერიოდში, რომელიც ითვლება მოკლევადიანი დეფოლტის ტენდენციის ამსახველად. ლიზინგის მიმღების რისკის ჯგუფი განასხვავებს აღნიშნულ პარამეტრს. ეს უკანასკნელი ასახავს ლიზინგის კომპანიის კლიენტების გრძელვადიანი დეფოლტის ტენდენციას რისკის ჯგუფის მიკუთვნების მიუხედავად.

ლიზინგის კომპანია განსაზღვრავს რისკის ჯგუფებს შერჩეული კრიტერიუმების საფუძველზე (მაგ. ლიზინგის მიმღების მიმდინარე დღეების ვადაგადაცილების სტატუსი) იმგვარად, რომ ცალკე რისკის ჯგუფები მნიშვნელოვნად განსხვავებულია დეფოლტის ტენდენციის თვალსაზრისით. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს, რომ დეფოლტის ალბათობა მომდევნო წლიური პერიოდისთვის ანგარიშგების თარიღის შემდეგ შეადგენს მოკლევადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასებას და დამოკიდებულია რისკის ჯგუფზე. გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება გამოიყენება წლიური

პერიოდებისთვის, რომელიც იწყება ანგარიშგების თარიღიდან მე-4 წელს, ხოლო დეფოლტის ალბათობის ხაზოვანი ინტერპოლაცია ხორციელდება შუალედში.

გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისთვის, ლიზინგის კომპანია იყენებს დეფოლტის განაკვეთებს. დეფოლტის განაკვეთები გამოითვლება დეფოლტისას რისკების მოცულობის სახით მოცემული პერიოდის ფარგლებში, რომელიც დაყოფილია საერთო შესრულების რისკებზე საერთო პერიოდის დასაწყისში.

ბარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD). ბარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) პარამეტრი წარმოადგენს რისკის პოზიციის წილს, რომელიც დაუბრუნებლად დაიკარგება მსესხებლის დეფოლტის შემთხვევაში. პირველი და მეორე კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ბარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეულ პერიოდში ინსტრუმენტის არსებობის ვადაში და ასახავს მოსალოდნელი EAD-ის წილს აღნიშნულ პერიოდში, რომელიც არ ანაზღაურდება ინსტრუმენტის დანარჩენ მოქმედების ვადაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. მესამე კატეგორიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ბარალის დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს EAD-ის წილს ანგარიშგების თარიღისთვის, რომელიც არ ანაზღაურდება ამ ინსტრუმენტის დანარჩენ მოქმედების ვადაში.

2020 წლამდე ბარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება სალიზინგო აქტივის / უზრუნველყოფის მიდგომის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ მოსალოდნელი ბარალი დეფოლტის შემთხვევაში ითვლება სხვაობად დეფოლტის თარიღისთვის EAD-ს და სალიზინგო აქტივის დისკონტირებულ / გაუფასურებულ ღირებულებას შორის (პლუს დამატებითი უზრუნველყოფა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმავე თარიღისთვის.

2020 წლიდან, ვთვლით, რომ საკმარისი მონაცემები შეგროვდა სარწმუნო და თანმიმდევრული აღრიცხვის და ანგარიშგების გარემოში და შესაძლებელი გახდა სტატისტიკური ბარალის დეფოლტის შემთხვევაში (LGD) გამოთვლა და გამოყენება. ამ ცვლილებამ წვლილი შეიტანა შემდგომ გაუმჯობესებასა და დახვეწაში ჩვენი დარეზერვების მოდელის და არის შესაბამისობაში საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან და ჯგუფის დონეზე გამოყენებულ მიდგომებთან. გაუმჯობესება უფრო მნიშვნელოვანი გახდა მასთან ერთად რაც ECL შეიქმნა უფრო კრიტიკული ნაწილი აღრიცხვის და რეპორტირების პროცესების კოვიდ-19 დან გამომდინარე.

მოვალეობა ორიენტირებული ინფორმაცია. მიუკერძოებელი, ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის (ECL) შეფასება მოითხოვს მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის არსებობას, რომელიც მოიპოვება არამიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის მიზნებისთვის კომპანია განსაზღვრავს სამ მაკრო სცენარს. აღნიშნული სცენარები არის საბაზისო სცენარი (დიდი ალბათობით), ზედა (უკეთესი ვიდრე დიდი ალბათობით) და ქვედა (უარესი, ვიდრე დიდი ალბათობით) საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის სცენარები, თითოეული სცენარისთვის მინიჭებული წონითი მაჩვენებლებით: 60%, 10% და 30% შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და 50%, 25% და 25% - 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. საბაზისო მაკრო-ეკონომიკური სცენარის მისაღებად კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროების პროგნოზებს, ეს წყაროებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ("IMF"), თიბისი კაპიტალი და ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ("IFI"), რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის მოლოდინებთან კონსენსუსი. ზედა და ქვედა მხარის სცენარები განსაზღვრულია თიბისი ჯგუფის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემის ფარგლებში. მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია შეტანილია როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ შეფასებაში და იყო მთავარი ფაქტორი კოვიდ-19-თან დაკავშირებული ზრდისა რეზერვის შექმნაში 2020 წელს.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან ვალუტაში და საპროცენტო განაკვეთში, ყველა მათგანი წარმოადგენს საერთო და კონკრეტულ საბაზრო დინამიკას. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის მისაღებ დონეებზე, რომელიც კონტროლდება ყოველთვიურად. თუმცა ამ მიდგომის გამოყენება არ ახდენს ბარალის პრევენციას, აღნიშნული ლიმიტების ფარგლებს გარეთ უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო დინამიკის შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ცვლილებები ღომინანტ გაცვლით კურსებში.

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო აკონტროლებს სავალუტო რისკს ღია სავალუტო პოზიციის მართვით, ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების შეფასების საფუძველზე, რომელიც კომპანიას აძლევს შესაძლებლობას მინიმუმამდე შეამციროს ეროვნული ვალუტის მიმართ გაცვლითი სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი რყევებით გამოწვეული ზარალი.

კომპანიის სავალუტო გაცვლითი კურსის რისკი 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

ათას ლარში	ლარი	აშშ.დ	ევრო	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	48,094	466	21,373	41	69,974
სახსრები ბანკებში	5,000	16,383	-	-	21,383
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	111,647	101,071	58,116	-	270,834
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	17,189	1,638	22,867	-	41,694
სხვა ფინანსური აქტივები	1,929	5,112	125	-	7,166
სულ ფინანსური აქტივები	183,859	124,670	102,481	41	411,051
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	101,956	58,539	103,751	-	264,246
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	58,114	-	-	-	58,114
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	6,864	355	1,404	-	8,623
სუბორდინირებული სესხი	2,448	32,964	-	-	35,412
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	13,022	26,881	-	-	39,903
სხვა ფინანსური ვალდებულებები	895	1,605	552	-	3,052
სულ ფინანსური ვალდებულებები	183,299	120,344	105,707	-	409,350
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტამდე	560	4,326	(3,226)	41	1,701
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი*	9,280	(2,817)	4,050	-	10,513
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	9,840	1,509	824	41	12,214

* არაფულადი ავანსები, რომელიც გარდაიქმნება ლიზინგის პორტფელში დაწყების თარიღიდან. ავანსების მოკლე ვადის და შორეული ალბათობის გათვალისწინებით, რომლებიც არ გარდაიქმნა უცხოური ვალუტის იჯარებში, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ისინი წმინდა ღია სავალუტო პოზიციის ანალიზისთვის.

კომპანიის სავალუტო გაცვლითი კურსის რისკი 2019 წლის 31 დეკემბერს, რომელიც რეკლასიფიცირებულია, წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

გაბრიელ ჯიქია

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის სავალუტო გაცვლითი კურსის რისკი 2019 წლის 31 დეკემბერს, რომელიც რეკლასიფიცირებულია, წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

ათას ლარში	ლარი	აშშ.დ	ევრო	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	17,856	762	700	39	19,357
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	122,453	89,550	45,028	-	257,031
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3,195	30,928	25,676	-	59,799
სხვა ფინანსური აქტივები	5,706	4,405	-	-	10,111
სულ ფინანსური აქტივები	149,210	125,645	71,404	39	346,298
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	89,987	94,057	58,152	-	242,196
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	7,183	9,269	2,384	-	18,836
სუბორდინირებული სესხი	2,448	28,779	-	-	31,227
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	56,681	-	3,852	-	60,533
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,102	1,409	6,316	-	8,827
სულ ფინანსური ვალდებულებები	157,401	133,514	70,704	-	361,619
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტამდე	(8,191)	(7,869)	700	39	(15,321)
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი*	26,271	5,009	(663)	-	30,617
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	18,080	(2,860)	37	39	15,296

* არაფულადი ავანსები, რომელიც გარდაიქმნება ლიზინგის პორტფელში დაწყების თარიღიდან. ავანსების მოკლე ვადის და შორეული ალბათობის გათვალისწინებით, რომლებიც არ გარდაიქმნა უცხოური ვალუტის იჯარებში, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ისინი წმინდა ღია სავალუტო პოზიციის ანალიზისთვის.

სავალუტო რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად განიხილავს მოკლევადიან და გრძელვადიან სავალუტო პოზიციას მოცემული ლიმიტების ფარგლებში.

ვალუტის კურსის ცვლილებისადმი მგრძნობელობის ანალიზი. ქვემოთ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა ლარის მიმართ აშშ დოლარის 10% (2019წ: 10%) ზრდის და კლების თვალსაზრისით. 10% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკის ანგარიშგებისას შიდა ფარგლებში ძირითადი ხელმძღვანელი პერსონალისთვის, სავალუტო გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულებს და აკორექტირებს მათ გაცვლას პერიოდის ბოლოს 10% ცვლილებით სავალუტო კურსებში.

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარი/ ევრო გამყარდა 10%-ით (2019: 10%)	233	233	(282)	(282)
აშშ დოლარი/ ევრო შესუსტდა 10%-ით (2019: 10%)	(233)	(233)	282	282

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას აქვს რისკი, რომელიც დაკავშირებულია თავის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოქმედ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებების ზემოქმედებასთან. მარჟები გამომჟღავნებულ ფინანსურ შემოსავალსა და გადახდილ საპროცენტო ხარჯებს შორის შესაძლოა გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული მოცულობა საბალანსო ღირებულებებით 2020 წლის 31 დეკემბერს, რომელიც კლასიფიცირდება იმ დროს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგ თარიღებს შორის: სახელშეკრულებო პროცენტის ფასების გადახედვის ან დაფარვის ვადები.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	69,974	-	-	-	69,974
სახსრები ბანკებში	-	-	21,383	-	21,383
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	10,034	13,109	73,150	174,541	270,834
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	29,089	-	12,605	-	41,694
სხვა ფინანსური აქტივები	4,969	263	670	1,264	7,166
სულ ფინანსური აქტივები	114,066	13,372	107,808	175,805	411,051
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებში და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში	2,804	11,509	66,047	183,886	264,246
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	167	-	-	57,947	58,114
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	5,715	2,506	402	-	8,623
სუბორდინირებული სესხი	295	-	-	35,117	35,412
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	28,529	-	11,374	-	39,903
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,520	75	338	119	3,052
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,030	14,090	78,161	277,069	409,350
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტიამდე	74,036	(718)	29,647	(101,264)	1,701
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი	6,682	2,801	1,030	-	10,513
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა	80,718	2,083	30,677	(101,264)	12,214

გაბრიელ ჯიქია

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული მოცულობა საბალანსო ღირებულებებით 2019 წლის 31 დეკემბერს, რომელიც კლასიფიცირდება იმ დროს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგ თარიღებს შორის: სახელშეკრულები პროცენტის ფასების გადახედვის ან დაფარვის ვადები.

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	19,357	-	-	-	19,357
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	19,747	15,743	70,025	151,516	257,031
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	35,832	8,603	15,364	-	59,799
სხვა ფინანსური აქტივები	7,487	125	1,746	753	10,111
სულ ფინანსური აქტივები	82,423	24,471	87,135	152,269	346,298
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	1,909	31,815	141,616	66,856	242,196
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,591	1,312	933	-	18,836
სუბორდინირებული სესხი	103	-	-	31,124	31,227
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	35,589	8,603	16,341	-	60,533
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,778	119	643	287	8,827
სულ ფინანსური ვალდებულებები	61,970	41,849	159,533	98,267	361,619
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტამდე	20,453	(17,378)	(72,398)	54,002	(15,321)
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი	24,474	4,939	1,204	-	30,617
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა	44,927	(12,439)	(71,194)	54,002	15,296

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას არ აქვს ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საკმარისი რესურსები, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როცა მათი შესრულების დრო დადგება. ამ ტიპის რისკები იმართება ღირებულოთა საბჭოს მიერ (შიდა ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის: CEO, CRO, CFO, CCO) დაფარვის ვადის

ანალიზის გზით, და კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრით მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტების და კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი დანარჩენი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	3,979	14,878	77,248	202,629	298,734
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	167	1,622	4,814	66,424	73,027
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	5,715	2,506	402	-	8,623
სუბორდინირებული სესხი	766	392	2,325	38,869	42,352
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	28,529	-	11,374	-	39,903
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,520	75	338	119	3,052
სულ პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	41,676	19,473	96,501	308,041	465,691

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი დანარჩენი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	3,620	35,333	149,755	70,488	259,196
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,591	1,312	933	-	18,836
სუბორდინირებული სესხი	3,859	7,027	17,878	44,468	73,232
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	35,589	8,603	16,341	-	60,533
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,778	119	643	287	8,827
სულ პოტენციური მომავალი გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	67,437	52,394	185,550	115,243	420,624

კომპანია არ იყენებს ზემოხსენებულ დაფარვის ვადების ანალიზს დისკონტირების გარეშე, ლიკვიდურობის მართვისთვის. სანაცვლოდ კომპანია აკონტროლებს ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს დისკონტირებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მოსალოდნელი დაფარვის ვადების საფუძველზე. მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	69,974	-	-	-	69,974
სახსრები ბანკებში	-	-	21,383	-	21,383
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	10,034	13,109	73,150	174,541	270,834
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	29,089	-	12,605	-	41,694
სხვა ფინანსური აქტივები	4,969	263	670	1,264	7,166
სულ ფინანსური აქტივები	114,066	13,372	107,808	175,805	411,051
ფინანსური ვალდებულებები	2,804	11,509	66,047	183,886	264,246
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	167	-	-	57,947	58,114
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	5,715	2,506	402	-	8,623
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	295	-	-	35,117	35,412
სუბორდინირებული სესხი	28,529	-	11,374	-	39,903
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	2,520	75	338	119	3,052
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,030	14,090	78,161	277,069	409,350
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი	6,682	2,801	1,030	-	10,513
ლიკვიდურობის დეფიციტი	80,718	2,083	30,677	(101,264)	12,214
მოლიანი ლიკვიდურობის დეფიციტი	80,718	82,801	113,478	12,214	

გაბრიელ ჯიქია

29. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი ლიკვიდურობის დეფიციტი 2019 წლის 31 დეკემბერს, რომელიც რეკლასიფიცირებულია, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათას ლარში	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	19,357	-	-	-	19,357
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	19,747	15,743	70,025	151,516	257,031
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	35,832	8,603	15,364	-	59,799
სხვა ფინანსური აქტივები	7,487	125	1,746	753	10,111
სულ ფინანსური აქტივები	82,423	24,471	87,135	152,269	346,298
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	1,909	31,815	141,616	66,856	242,196
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,591	1,312	933	-	18,836
სუბორდინირებული სესხი	103	-	-	31,124	31,227
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	35,589	8,603	16,341	-	60,533
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,778	119	643	287	8,827
სულ ფინანსური ვალდებულებები	61,970	41,849	159,533	98,267	361,619
ეკონომიკური ჰეჯირების ეფექტი	24,474	4,939	1,204	-	30,617
ლიკვიდურობის დეფიციტი	44,927	(12,439)	(71,194)	54,002	15,296
მთლიანი ლიკვიდურობის დეფიციტი	44,927	32,488	(38,706)	15,296	

გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია ზოგადად სტაბილურია, რადგან კომპანია არ ოპერირებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. კომპანიას არ აქვს აქტივები საქართველოს ფარგლებს გარეთ.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების რისკი. კომპანიას აქვს დაკავშირებული მხარეებისგან დაფინანსების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის რისკი. კომპანია არის მსხვილი საბანკო ჯგუფის წევრი. მოქმედი საწარმოს რისკი შერბილებულია კომპანიის მფლობელების ვალდებულებით შეინარჩუნონ სტაბილური დაფინანსების მხარდაჭერა კომპანიისთვის.

30. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უნარის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და აქციონერებს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალური ხარჯების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისათვის, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების თანხის კორექტირება, აქციონერებისათვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან ვალის შესამცირებლად აქტივების გაყიდვა. კომპანია კაპიტალს სუბორდინირებული სესხების ჩათვლით განიხილავს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი 70,905 ლარი (2019 წ: 70,272 ათასი ლარი).

31. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივ ბიზნეს გარემოში, კომპანია იყენებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რათა მართოს სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები.

სავალუტო ფორვარდებისა და მთლიანი სავალუტო სვოპების ანგარიშსწორების ოპერაციები. სავალუტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც კომპანია წარადგენს ზოგადად ვაჭრობას ექვემდებარება არა საბირჟო ბაზარზე, პროფესიონალი კონტრაქტების მეშვეობით სტანდარტიზებული საკონტრაქტო ვადებითა და პირობებით. წარმოებულებს აქვთ პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები საბაზრო ბაზრის საპროცენტო განაკვეთების, უცხოური ვალუტის კურსის ან სხვა ცვლადების ცვალებადობის პირობებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაჩვენებს კომპანიის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდებისა, მთლიანი სავალუტო სვოპებისა და დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხების მოთხოვნებისა და დავალიანებების სამართლიან ღირებულებებს საბალანსო თარიღზე.

ცხრილი ასახავს მთლიან პოზიციებს ნებისმიერი კონტრაგენტის პოზიციების (და გადახდების) გადანეტვამდე და მოიცავს კონტრაქტებს რომელთა კონტრაქტებს ანგარიშსწორების თარიღი შესაბამისი საბალანსო ანგარიშის წარდგენის თარიღის შემდეგაა. კონტრაქტები თავისი ბუნებით მოკლევადიანია.

ათას ლარში	2020	
	კონტრაქტები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	კონტრაქტები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვარდები და სვოპები: სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს		
- ანგარიშსწორებისას აშშ დოლარში მისაღები თანხები (+)	-	1,638
- ანგარიშსწორებისას ლარში გადასახდელი თანხები (-)	-	(1,648)
- ანგარიშსწორებისას ლარში მისაღები თანხები (+)	17,189	-
- ანგარიშსწორებისას აშშ დოლარში გადასახდელი თანხები (-)	(17,038)	-
- ანგარიშსწორებისას ევროში მისაღები თანხები (+)	10,261	-
- ანგარიშსწორებისას აშშ დოლარში გადასახდელი (-)	(9,842)	-
- ანგარიშსწორებისას ევროში მისაღები თანხები (+)	12,605	-
- ანგარიშსწორებისას ლარში გადასახდელი თანხები (-)	(11,374)	-
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება	1,801	(10)
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება	1,791	

31. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ათას ლარში	2019	
	კონტრაქტები დადებითი სამართლიანი ღირებულებით	კონტრაქტები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ფორვარდები და სვოპები: სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს		
- ანგარიშსწორებისას აშშ დოლარში მისაღები თანხები (+)	30,177	
- ანგარიშსწორებისას ლარში გადასახდელი თანხები (-)	(29,726)	
- ანგარიშსწორებისას ევროში მისაღები თანხები (+)		25,676
- ანგარიშსწორებისას ლარში გადასახდელი თანხები (-)		(26,955)
- ანგარიშსწორებისას ლარში მისაღები თანხები (+)	1,695	
- ანგარიშსწორებისას ევროში გადასახდელი თანხები (-)	(1,605)	
- ანგარიშსწორებისას აშშ დოლარში მისაღები თანხები (+)	2,251	
- ანგარიშსწორებისას ევროში გადასახდელი თანხები (-)	(2,247)	
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება	545	(1,279)
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება		(734)

2020 წლის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა შემცირებული ზარალით შეადგენდა 6,077 ათას ლარს. 2019 წელს ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან შემცირებული შემოსულობებით შეადგენდა 2,867 ათას ლარს.

32. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას.

(ა) სამართლიანი ღირებულებით განმეორებითი შეფასება

სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასებები არის ის შეფასებები, რომელსაც მოითხოვს სააღრიცხვო სტანდარტები ან დაშვებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. დონე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, რომელშიც კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასებები, არის შემდეგი:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020				31 დეკემბერი 2019			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები სამართლიანი ღირებულებით								
ფინანსური აქტივები								
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	1,791	-	1,791	-	-	-	-
არაფინანსური აქტივები								
საინვესტიციო ქონება	-	2,359	-	2,359	-	2,210	-	2,210
სულ აქტივები სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასებები		4,150	-	4,150		2,210	-	2,210
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები								
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-	734	-	734
სულ ვალდებულებები სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასებები	-	-	-	-	-	734	-	734

32. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია (გაგრძელება)

შეფასების მეთოდის აღწერილობა და სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული მონაცემების აღწერა 2 დონის შეფასებებისთვის:

ათას ლარში	2020	2019	შეფასების მათოდი	გამოყენებული მონაცემები
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
ფინანსური აქტივები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,791		ფორვარდული ფასწარმოქმნა ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშების გამოყენებით	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, ოფიციალური გაცვლითი კურსი
არაფინანსური აქტივები				
საინვესტიციო ქონება	2,359	2,210	საბაზრო მიდგომა, რომელიც ეფუძნება საკუთრების საუკეთესო გამოყენების ანალიზს	ფასი კვადრატულ მეტრზე
სულ აქტივების სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასება	4,150	2,210		
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	734	ფორვარდული ფასწარმოქმნა ამჟამინდელი ღირებულების გაანგარიშების გამოყენებით	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, ოფიციალური გაცვლითი კურსი
სულ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასება	-	734		

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეფასების მეთოდში არ ყოფილა არანაირი ცვლილება მე-2 დონის სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასებებისთვის (2019 წ: არ არის).

სამართლიანი ღირებულების შეფასების ანალიზი დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, წარმოდგენილია შენიშვნაში 3.

32. სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია (გაგრძელება)

(ბაჟითივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია

სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დონის მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში და აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილია ქვემოთ:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2020				31 დეკემბერი 2019			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
ფული და ფულის ექვივალენტები	69,974	-	-	69,974	19,357	-	-	19,357
სახსრები ბანკებში	-	21,383	-	21,383	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	274,964	270,834	-	-	265,515	257,031
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	6,766	7,166	-	-	9,562	10,111
სულ აქტივები	69,974	21,383	281,730	369,357	19,357	-	275,077	286,499
ფინანსური ვალდებულებები								
სესხები ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში	-	262,841	-	264,246	-	240,429	-	242,196
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	58,400	-	58,114	-	-	-	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	-	4,153	-	4,153	-	15,050	-	15,050
სუბორდინირებული სესხი	-	35,213	-	35,412	-	31,124	-	31,227
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	3,052	-	3,052	-	8,827	-	8,827
	-	274,108	-	275,520				
სულ ვალდებულებები	-	363,659	-	364,977	-	295,430	-	297,300

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც ტოლია მიმდინარე სამართლიანი ღირებულების. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში და სხვა ფინანსური აქტივები წარდგენილია გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სესხები ბანკებში და სუბორდინირებული სესხები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. აღნიშნული ფინანსური აქტივების შეფასებული სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ თანხას. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მიმდინარე საბაზრო განაკვეთებით სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც მითითებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეზე, შეფასდა დისკონტირებული ფულადი სახსრების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცურავი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის კვოტირებული ბაზარზე შეფასდა მათი საბალანსო ღირებულებით. არაკვოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც მიიღება მოქმედი საპროცენტო განაკვეთის დისკონტით ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკით და დაფარვის დარჩენილი ვადით. შეტყობინების პერიოდის შემდეგ ან მოთხოვნის საფუძველზე გადასახდელი ვალდებულებების („მოთხოვნადი ვალდებულებები“) სამართლიანი ღირებულება ფასდება მოთხოვნის საფუძველზე გადასახდელი თანხით, რომელიც დისკონტირებულია პირველი დღიდან, როდესაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნას აღნიშნული თანხის გადახდა. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები შეესაბამებოდა კომპანიის საკრედიტო რისკს და ასევე დამოკიდებულია ინსტრუმენტის დაფარვის ვადაზე და ვალუტაზე.

33. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

სასაბარტო პროცესები. პერიოდულად და საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, შესაძლოა მიღებული იქნას მოთხოვნები/სარჩევები კომპანიის მიმართ. საკუთარი შეფასებების და შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ არანაირი ზარალი არ დადგება აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით და შესაბამისად არანაირი რეზერვი არ განხორციელებულა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა ხშირი ხასიათი ჰქონდეს. კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა ორგანოებმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისათვის რეზერვები არ შექმნილა.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ტექნიკურად კომპლექსურია და შესაბამისობაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მიერ მიღებულ საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან. კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კორექტირებები და განსაზღვრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებად ოპერაციებთან მიმართებაში (ოპერაციები ზოგიერთ დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ოპერაციის ფასი მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებების პრინციპით არ არის განსაზღვრული.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან გაატარა შიდა კონტროლის ღონისძიებები სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების განხორციელების პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, კომპანიის სატრანსფერო ფასების ნებისმიერი პრობლემის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და/ან საერთო ოპერაციებისთვის.

შეთანხმების ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული შეთანხმებების ვალდებულებები, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია მის ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი შეთანხმებების ვალდებულებების არ შესრულებამ, შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, ნასესხების სახსრების ხარჯების ზრდის და არსებული სახსრების გადაფარვის დროის ჩათვლით.

2020 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან შეთანხმებით კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული რესტრუქტურისაციები არ იყო გათვალისწინებული ფინანსური კოვენანტების გაანგარიშებაში, თუმცა მონიტორინგის მიზნებისთვის ცალკე იყო წარდგენილი. კომპანიამ შეასრულა ყველა მოქმედი ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

საიჯარო ვალდებულებების შესრულება. საიჯარო ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიის ვალდებულება იქნება გადაიხადოს 369 ათასი აშშ დოლარი, თუმცა კომპანიის მიერ არ განიხილება საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

34. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის შინაარსს.

“სხვა დაკავშირებული კომპანიები” გულისხმობს სხვა კომპანიებს საერთო კონტროლის ქვეშ და მშობელი კომპანიის მნიშვნელოვან აქციონერებს. მთავარი ხელმძღვანელი პერსონალი მოიცავს კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებს.



34. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

31 დეკემბერს დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათას ლარში	2020			2019		
	მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული კომპანიები	მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული კომპანიები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23,700	-	-	16,993	-	-
ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრები	16,383	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 15.0%-40.0%)	-	-	164	-	-	373
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 6%-12,5%)	14,899	-	-	73,858	-	-
სუბორდინირებული სესხები	2,448	135	-	2,448	-	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,063	455	-	-	-	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,760	-	-	87	-	-
სხვა ფინანსურია აქტივები	-	368	-	1	95	-
წინასწარი გადახდები	-	2,629	-	-	2,667	-
სხვა ვალდებულებები	54	-	-	-	-	-

შემოსავლის და ხარჯის მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 და 2019 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

ათას ლარში	2020			2019		
	მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული კომპანიები	მშობელი კომპანია	კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული კომპანიები
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-	-
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	1,519	-	-	1,377	-	-
ფინანსური შემოსავალი	-	-	48	-	-	60
სხვა შემოსავალი	1,921	54	-	242	338	-
საპროცენტო ხარჯი	5,409	191	-	5,467	53	-
საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯი	-	-	-	-	-	-
მოგება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	2,009	-	-	322	-	-
სხვა ხარჯები	66	111	-	71	3,830	-
წინასწარი გადახდები	-	2,629	-	-	2,667	-
სხვა ვალდებულებები	54	-	-	-	-	-

გაბრიელ ქაჩია

34. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ძირითადი ხელმძღვანელობის კომპენსაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ათას ლარში	2020		2019	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი	798	257	940	422

2019 და 2020 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლებისთვის ძირითადი ხელმძღვანელი რგოლის წევრების, რომლებიც წარმოადგენენ დირექტორთა საბჭოს წევრებს, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს, პრემიებს და დაზღვევის და სამსახურებრივი მივლინების ხარჯების კომპენსაციას.

35. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქვეყანაში კვლავ მიმდინარეობს პანდემიის გავრცელება, თუმცა 2021 წლის დასაწყისიდანვე საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები ქვეყანაში მოსახლეობის მობილობის შესამცირებლად. კვლავ მოქმედებს კომენდანტის საათი, ასევე გამოცხადდა უქმე დღეები. მთელი რიგი ამ ქმედებებისა ხელს უწყობს პანდემიის გავრცელების ტემპის შენელებას. ასევე დაიწყო ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაციის პირველი ეტაპი და მოსახლეობის ვაქცინაცია გაგრძელდება მთელი 2021 წლის განმავლობაში.

პანდემიის დაწყებიდან დღემდე ჩვენი კომპანია აქტიურად არის ჩართული მთავრობის პროგრამებში.

დისტანციურ რეჟიმზე სწრაფი ადაპტირება, კომპანიის მომხმარებლების და თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა, თანამშრომლების ტრანსპორტირება და ყოველკვირეული სამუშაო გეგმის შემუშავება - ეს ის არა ფინანსური საკითხებია რომლებსაც კომპანიის მენეჯმენტი წარმატებით ართმევს თავს.

ფონდების მოძიების მიზნით კომპანია კვლავ აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, რაც სტაბილურობის და ლიკვიდურობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია. ამასთან 2021 წლის პირველ კვარტალში კომპანიამ მოიპოვა 3.6 მილიონი დოლარის დაფინანსება EBR ისგან.

ორიანთა ოცდაერთი წლის ოცდაცხრა მაისს, მე, ნოტარიუს დავით იმნაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №49, მომმართა თარჯიმანმა გრიგორ ქაჯაიამ. მან წარმოადგინა დოკუმენტის თარგმანი ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე (სს თბილისი ლიზინგის 2020 წლის წლიური ანგარიში) და მოითხოვა თარგმანზე თავისი ასოცდათორმეტი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ, მე ნამდვილად გრიგორ ქაჯაიამ (დაბ.24.07.1954წ. პირ. №01009023011, რეგ. მის.: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 51, ბინა 15), მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი Γ-I №185052, გაცემული 1978 წლის 1 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის მიერ, ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის გერმანული ენის და ინგლისური ენის სპეციალობით, რეგისტრაციის №314) და ვადასტურებ, რომ იგი ნამდვილად უფლებამოსილია თარგმნოს. თარჯიმანი გაფრთხილებულია ნოტარიუსის მიერ, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს.

მე, ნოტარიუსმა, თარჯიმანს განვუმარტე არასწორი თარგმანის სამართლებრივი შედეგები და გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. თარჯიმანმა დაადასტურა, რომ არ არსებობს თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებები და მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტის თარგმანს. მე, ნოტარიუსი, ვამოწმებ მხოლოდ თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე.

სანოტარო მომსახურების საზღაური 264 (ორასსამოცდაოთხი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის, აგრეთვე 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლის 1 პუნქტისა, 47,52 (ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის მ. 166. სულ 313,52 (სამასცამეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი).

On this day of twenty nine of May, twenty and twenty one year, I, Notary David Imnadze, at my notary bureau located at the address: 49, V.Gorgasali Street, Tbilisi, applied the translator Grigor Kajaia. He submitted translation of the document from English into Georgian (JSC TBC Leasing Annual Report 2020) and asked to certify his one-hundred and thirty-two signature on translation by the notary rule. I established his identity with identity documents presented by him and was convinced that I was really applied by Grigor Kajaia (born on 24.07.1954, P.N #01009023011, registered at the address: Tbilisi, Aleksandre Kazbegi Avenue, #51, apt. 15). I checked his authority (Diploma Γ-I №185052, issued on July 1, 1978 by Ilia Chavchavdze State Pedagogical Institute, Master of Academic Degree in German and English Languages, Registration # 314) and certify that he is really entitled for translation. Translator was warned by notary that he is responsible for the correctness of translation. He personally signed on document's translation in my presence.

I, notary, explained to the translator legal results in the case of non-accurate translation and warned about excluding circumstances of the translator. The translator confirmed that there is no exclusion of circumstance to the translator and he signed this document in my presence.

I, notary, certify just authenticity of the translator's signature and am not responsible for the content of this document and its legal consequences.

Paid notary tariff 264 (Two-hundred and sixty-four) GEL/Laris according to the articles 31 of Georgian Government Resolution #507 dated December 29, 2011 about "Notary Actions fulfillment payment and according to Georgia Notary Palate payment about their payment rule and service terms establishment", also 2.00 (two) GEL/Lari according above mentioned resolution (#507, dated December 29, 2011) article 39 p.1. 47,52 (forty-seven Lari and fifty-two tetri) (VAT) according to the Tax Code Art. 166, total: 313,52 (three-hundred and thirteen Lari and fifty-two tetri).

ნოტარიუსი:
Notary:

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N210529572



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.05.2021 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით იმნაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასალის ქ. 49

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

+995 032 2477879

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

96634446837720



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



2020

Intelligent before